

ISSN 0132-5981

# საბჭოთა საპარტიალო



178  
988

1988

3

მთავარი რედაქტორი

ლერი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე

ანზი არსენაშვილი

(მეცნიერ-რედაქტორი)

გელა ბერძენიშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი)

ანზორ გაბიანი

უმთა გორგოძე

აკაკი კარანაძე

დურმიუხან ლორია

ვახტანგ რაჭვეაძე

გრიგოლ როინიშვილი

თამაზ შავგულიძე

ვიქტორ შარაშენიძე

ირაკლი ჩიქოვანი

სერგო ჯორჯენაძე

Главный редактор

Талаквადзе Л. Г.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.

Арсенашвили А. Г.

(научный редактор)

Бердзенишвили Г. Д.

(ответственный секретарь)

Габiani А. А.

Горгодзе Ш. В.

Джорбенадзе С. М.

Каранадзе А. Г.

Лория Д. А.

Размадзе В. А.

Роинишвили Г. В.

Чиковани И. П.

Шавгулидзе Т. Г.

Шарашенидзе В. А.

178  
1988



პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

# საჭმომთა სამართალი

N<sup>o</sup> 3

მადის  
ივნიანი

1988 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საპარტველო სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების,  
რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს  
მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

სკკ ცენტრალურ კომიტეტში გარდაქმნა დროის მოთხოვნა	3
დ. სილაგაძე — საპროკურორო ზედამხედველობის სადღეისო ამოცანები მეურნეობა და სამართალი	7
ი. ლეკვეიშვილი — საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემა და ფუნქციები პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში	12
გ. გიორგაძე — ახალი სანიმუშო წესდება და კოლმეურნეობის ძირითადი უფლებები 9 მაისი გამარჯვების დღეა!	16
ვ. ხიონიძე — ომის ვეტერანები კვლავ მწყობრში არიან სასამართლო მასპარტიზა: სიხალენი და პრაქტიკა	21
გ. კახანაძე — პიროვნების იდენტიფიკაცია მეტყველების დიალექტური ნიშნების საფუძ- ველზე	23
ნ. ფალიაშვილი — ექსპერტის შეცდომები და მათი პროფილაქტიკა	28
ვ. სიმონიშვილი — შევქმნათ დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის ახალი სისტემა	34
ა. ჭინჭარაძე — გენეტიკური „დაქტილოსკოპია“ სამართლის სამსახურში მოკმე სოციალისტურ ქვეყნებში	37
ზიონგ დანგ გუიუ — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის შემხვედრი ხელშეკ- რულების თავისებურებანი ვიეტნამში	40
თეორიის საკითხები	
მ. ჭურდაძე — მტკიცების ფარგლების საკანონმდებლო რეგლამენტაციისათვის	44
ჭ. ხურბაძე — სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ახალი დებულება	51
სამართალწარმოების კულტურა	
ა. კვაშილაძე, ბ. სალუქვაძე — კანონის ენა ნათელი და გასაგები უნდა იყოს პრიტიკა და ბიგლიობრაფია	55
ვ. თორდია — საჭირო წიგნი ინფორმაცია	59
სანობარო და მხარის ორგანოების პრაქტიკა	
სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება საცხოვრებელ სახლზე მემკვიდრეობის მოწმობის გა- ცემის დროს	65
ვ. კოლუაშვილი — მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა აღდგენის წესის განმარტებისათვის	66
რეპლიკა	
გ. ნადარეიშვილი — საჯაროობა თუ საქვეყნოობა?	67
ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“	69
პრიმინალისტიკის ისტორიიდან	
ცნობილი სიხლის სამართლის საქმეები	75

## СОДЕРЖАНИЕ

В Центральном Комитете КПСС	3
<b>ПЕРЕСТРОЙКА — ВЕЛЕНИЕ ВРЕМЕНИ</b>	
Д. Силагაძე — Задачи прокурорского надзора на современном этапе	7
<b>ХОЗЯЙСТВО И ПРАВО</b>	
И. Лекვიშვილი — Система и функции Госагропрома ГССР	12
<b>ПЕРВЫЕ ШАГИ В НАУКЕ</b>	
Г. Геორგაძე — Новый примерный устав и основные права колхозов	16
<b>9 МАЯ — ДЕНЬ ПОБЕДЫ!</b>	
В. Хиონიძე — Ветераны войны вновь в строю	21
<b>СУДЕБНАЯ ЭКСПЕРТИЗА: НОВШЕСТВА И ПРАКТИКА</b>	
Г. Капанაძე — Идентификация личности на основании признаков диалекта речи	23
Н. Палиაშვილი — Ошибки экспертизы и их профилактика	28
В. Симоიშვილი — Создадим новую систему дактилоскопической регистрации	34
А. Джинчараძე — Генетическую «дактилоскопию» на службу праву	37
<b>В БРАТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ СТРАНАХ</b>	
Зюнг Данг Гнуе — Особенности встречных договоров скупки сельскохозяйственной продукции во Вьетнаме	40
<b>ВОПРОСЫ ТЕОРИИ</b>	
М. Курდაძე — Законодательная регламентация пределов доказывания	44
Д. Сурмава — Новое положение государственной пожарной охраны	51
<b>КУЛЬТУРА ПРАВОСУДИЯ</b>	
А. Кვაшиლაва, Б. Салукваძე — Язык закона должен быть ясным и понятным	55
<b>КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ</b>	
В. Тордия — Нужная книга	59
Информация	61
<b>ПРАКТИКА ОРГАНОВ ЗАГСа И НОТАРИАТА</b>	
Оплата государственной пошлины в случаях выдачи свидетельства о наследовании жилого дома	65
В. Когуаშვილი — Правило восстановления актов гражданского состояния	66
<b>РЕПЛИКА</b>	
Г. Надареиშვილი — Публичность или гласность?	67
Э. Кициანი, Т. Шавгулиძე — Право для всех	69
<b>ИЗ ИСТОРИИ КРИМИНАЛИСТИКИ</b>	
Известные уголовные дела	75



© „საბჭოთა სამართალი“, 1988 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, პლანანოვის პრ. 103, ტ. 95-88-49, 95-58-87.

გადაცემა წარმოებას 16.05.88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.06.88 წ.,  
 ფორმატი 70×108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
 ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.  
 შეკვ. № 1309 ტირაჟი 42.900 უფ 04765

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.  
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.



# სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების დამატებით ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1988 წლის 2 აპრილს მიიღო დადგენილება „ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნა, რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, თანამიმდევრული დემოკრატიზაცია და საჭაროობა ორგანულად არის დაკავშირებული სოციალისტური დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცებასთან და მოითხოვს საბჭოთა მართლწესრიგის ყოველი დარღვევისათვის მტკიცე წინააღმდეგობის გაწევას. გარდაქმნის პირობებში მშრომელები სამართლიანად გამოთქვამენ აღშფოთებას უკანონობისა და ბიუროკრატიზმის, ხალხის დოვლათის, შრომითი კოლექტივების კანონიერი ინტერესების, პიროვნების პატიოსნებისა და ღირსების ხელყოფის ფაქტების გამო.

ყოველივე ეს მოითხოვს თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიყვანოთ სამართალდარღვევებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა, გავააქტიუროთ პარტიული და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა ჩვენი საზოგადოების ცხოვრების სოციალისტური საფუძვლების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების კოლექტიური და პირადი ინტერესების დაცვისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრლობის შემდეგ ამ მიმართულებით გაშლილი მუშაობის შედეგად ქვეყანაში რამდენადმე განმტკიცდა დისციპლინა, საზოგადოებრივი წესრიგი და კანონიერება. გაძლიერდა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მუშაობა სამართალდარღვევათა აღმოფხვრისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის, ლოთობისა და ნარკომანიის დაძლევისათვის. 1985 წლიდან მოყოლებული მიმდინარეობს დამნაშავეობის თანამიმდევრული შემცირების პროცესი. შარშან დანაშაულობათა საერთო რიცხვი 9,5 პროცენტით შემცირდა, მათ შორის მძიმე დანაშაულობებისა — 14 პროცენტით. უფრო აქტიურად წარმოებდა ბრძოლა სახალხო დოვლათის დაცვების, სპეკულაციის, ტრანსპორტზე სამართალდარღვევების წინააღმდეგ, უკეთ იყო უზრუნველყოფილი გარემოს დაცვის შესახებ კანონების შესრულება.

ამავე დროს უკანასკნელ ხანს სამართალდარღვევებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სულ უფრო შესამჩნევი გახდა ისეთი უარყოფითი ტენდენციები, რომლებიც არ შეიძლება არ აწუხებდეს პარტიასა და საზოგადოებას. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ მნიშვნელოვნად გავრცელდა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ქონების ქურდობა, მექრითაობა, მთელ რიგ ადგილებში ძალადობის სასტიკი აქტების ჩადენა, გაი-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. აკადემიისთვის

ზარდა არასრულწლოვანთა, რეციდივისტთა, აგრეთვე იმ პირთა მიერ დანაშაულებრივი გამოვლინებანი, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. მეტი წილი დანაშაულობანი კვალვინდებურად დაკავშირებულია ლოთობასთან, არყის გამოხდასთან, ნარკომანიასთან, უსრომელი შემოსავლის მიღებასთან.

ბევრმა პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, თავი დაიმშვიდა რა საერთო დადებითი ძვრებით დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, უკანასკნელ ხანს შეანელა ყურადღება შრომითს კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას აღმზრდელობითი, პროფილაქტიკური მუშაობისადმი, არ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა აქტიურობის გაძლიერებას. შინაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციის ორგანოები და სასამართლოები ჯერ კიდევ ნელა გარდაქმნიან თავიანთ საქმიანობას, მთლიანად არ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს დანაშაულებრივ ხელყოფასთან ბრძოლაში, სუსტად ეყრდნობიან მშრომელთა, ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის დახმარებას. ცენტრალურ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში მოდის ბევრი წერილი იმის შესახებ, რომ ცუდად მუშაობენ მილიცია, საგამოძიებო ორგანოები, სათანადოდ არ იცავენ საბჭოთა ადამიანების პირად და ქონებრივ უფლებებს.

ხაზგასმით აღინიშნა რა, რომ შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს დამატებითი ეფექტიანი და ზუსტად კოორდინირებული ღონისძიებების განხორციელებას პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, სამართალდაცვითი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ, სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ დაუშვებელია თვითდამშვიდება და გულარტინობა დამნაშავეობასთან დაკავშირებული საქმის ვითარების შეფასების დროს. პარტიული კომიტეტების მუშაკები და საზოგადოებრივი აქტივი უნდა ითვისონ წინებდნენ იმას, რომ მთლიანად დამნაშავეობის დონე კვლავ მაღალია. პოზიტიური ცვლილებანი, რომლებიც გამოწვეულია უმთავრესად წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშაობის გაძლიერებით, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ძირეულ გარდატეხას დამნაშავეობის წარმომშობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის საქმეში, განსაკუთრებით წარმოებისა და ყოფა-ცხოვრების სფეროში ახალგაზრდობასა და ყმაწვილებს შორის.

თითოეულ პარტიულ კომიტეტს წინადადება მიეცა ვითარების გათვალისწინებით ღრმად გააანალიზოს სამართალდარღვევასთან დაკავშირებული საქმის მდგომარეობა. შეიმუშაოს და თანამიმდევრულად განხორციელოს კანონიერების შემდგომი განმტკიცების ყველა საჭირო ღონისძიება. პარტიული ორგანოები ნაიდაგ უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ თითოეულ ქალაქსა და რაიონში, თითოეულ შრომითს კოლექტივში სკკ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის მითითებათა შესაბამისად გაიშალოს ფართო ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, მოსახლეობის იურიდიული საყოველთაო სწავლების განხორციელებისათვის, იმ პირთა მიმართ ინდივიდუალური ზემოქმედების უზრუნველყოფისათვის, რომლებიც არღვევენ საბჭოთა კანონებისა და სოციალის-

ტური მორალის მოთხოვნებს. განსაკუთრებით უნდა გაიზარდოს ამ საქმეში პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების როლი. კომუნისტები და კომკავშირელები უნდა იყვნენ თითოეულ კოლექტივში ისეთი პრინციპული, მომკითხველი ვითარების შექმნისათვის ბრძოლის პირველ რიგებში, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ მოღუწებას, უდისციპლინობას და სამართალდარღვევას. განუზრგელად უნდა იცავდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნას იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის წესით დასჯადი გადაცდომის ჩამდენი კომუნისტები გაირიცხებიან პარტიის რიგებიდან.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებზე მიუთითა პარტიის საოლქო კომიტეტების ბიუროებსა და პირადად პირველ მდივნებს—ჯამბულისა (ამხ. ა. კ. უაკუპოვს), შაპოროვიჩს (ამხ. ა. პ. საზონოვს), მარეთისა (ამხ. ჩ. გეჯენოვს) იმის გათვალისწინებით, რომ ამ ოლქებში 1987 წელს ყველაზე არასასიკეთო ვითარება შეიქმნა მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მხრივ.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს რეკომენდაცია მიეცათ გააძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა ყველა შრომითს კოლექტივში და მოქალაქეთა საცნოვრებელ ადგილას სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ კანონების შესასრულებლად. საჭიროა უფრო სრულად გამოიყენონ შესაძლებლობანი, რომლებსაც იძლევა ქვეყანაში მიმდინარე სახალხო განათლების გარდაქმნა, ყმაწვილი თაობის აღზრდის ძირეული გაუმჯობესებისათვის არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის. უნდა გააძლიერონ მომკითხველობა, რათა გაუმჯობესდეს მუშაობა ბავშვთა უზედამხედველობის პროფილაქტიკისათვის, რომელსაც ეწევიან ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციები, სასწავლებლები და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები. უნდა გაძლიერდეს აგრეთვე შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩამდენ თითოეულ ყმაწვილთან ინდივიდუალური აღმზრდელობითი მუშაობის გაწევისათვის.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მთელ რიგ ადგილებში გაუმართლებლად შესუსტდა ყურადღება საზოგადოებრივი ფორმირებებისადმი, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში მშრომელთა ჩაბმასთან. ამასთან დაკავშირებით დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა მნიშვნელოვნად გააქტიურდეს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელების, ამხანაგური სასამართლოების, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მთელი სისტემის მუშაობა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ იმ პირთა რიცხვის თანამიმდევრული შემცირების პირობებში, რომლებიც ისჯებიან ჩადენილი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით, ბევრად იზრდება შრომითი კოლექტი-


ვების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების პასუხისმგებლობა იმათ მხრივ სამართალდარღვევებისა და ხელახალი აღზრდის პროფილაქტიკისათვის, ვინც მართალსაწინააღმდეგო მოქმედება ჩაიდინა. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სისხლის სამართლის სასჯელმონდილ, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის თავისამრიდებელი მოქალაქეების, აგრეთვე სხვა არამომუშავე მოქალაქეების შრომითი დასაქმების უზრუნველყოფას, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა ზუსტ დაცვას.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის პროკურატურას, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს რჩევა მიეცათ ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ აღმოფხვრან დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის მათს საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ღრმა ანალიზური მუშაობის ორგანიზაციას, რომელიც საშუალებას იძლევა დროულად გამოვავლინოს ყველაზე არასასიკეთო უბნები და სამართალდაცვითი, სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი ღონისძიებანი მოვანმართო მართლწესრიგის მდგომარეობაში ნეგატიური ტენდენციების მტკიცე დაძლევის.

პარტია ხელმძღვანელობს იმით, რომ სამართალდაცვითი ორგანოების ყოველი მუშაკი მოვალეა იყოს საბჭოთა კანონების უმკაცრესი დაცვის, მართლწესრიგის განმტკიცებისათვის დიდი პასუხისმგებლობის, ადამიანთა საჭიროებებისა და მოთხოვნების მიმართ გულისხმიერებისა და ყურადღების მავალითი.

სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელებსა და პარტიულ ორგანიზაციებს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის პოლიტორგანოებს დავალათ გულმოდგინედ აამაღლონ მუშაკთა პროფესიული მომზადების დონე, ინიციატივა და პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის, სამართალდარღვევების პროფილაქტიკასთან, დანაშაულობების, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობების დროულ განხილვასთან, სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვის საფუძველზე სამართალდამრღვევთა დასჯის აუცილებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მათი საქმიანობის კონკრეტული შედეგებისათვის. შეურიგებლად ებრძოლონ ლოთობის ნიადაგზე დამნაშავეობას, არყის შინ გამოხდას, ნარკომანიას, საზოგადოებრივი დისციპლინისა და წესრიგის დარღვევებს.

აღინიშნა, რომ საჭიროა პროკურატურის ორგანოებმა და სასამართლოებმა უფრო ხშირად მიაწოდონ ინფორმაცია პარტიულ კომიტეტებს კანონიერების განმტკიცების პრობლემებზე, უფრო სრულად გამოიყენონ თანამდებობის პირთა და სახელმწიფო ორგანოთა მიმართ კერძო განჩინებებისა და გაფრთხილების გამოტანის უფლება, პარტიულ-საბჭოთა ორგანოებთან ერთად მიაღწიონ დანაშაულობათა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების უთუო აღკვეთას.





**გარდაქმნა დროის მოთხოვნა!**

**საპროკურორო ზედამხედველობის  
სადღეისო ამოხანაუი**

დავით სილაბაძე,

აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

სკკპ XXVII ყრილობამ დასაბამი მისცა ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროში რევოლუციურ გარდაქმნათა ღონისძიებების ერთობლივ სისტემას. გარდაქმნის ყოველსომომცველ პროცესში აქტიურად ჩაებნენ სამართალდამცველი ორგანოები და, კერძოდ, პროკურატურა, რომელსაც სსრ კავშირის კონსტიტუციის 164-ე მუხლის შესაბამისად ევალება სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი ორგანოების, კოლმეურნოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და ცალკეული მოქალაქეების საქმიანობაში კანონიერების დაცვაზე უმაღლესი ზედამხედველობის განხორციელება.

პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ძირეულად გარდაქმნასა და მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად განახლება-დახვეწის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“ და „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში საპროკურორო ზედამხედველობის როლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პროკურატურის ორგანოები ახლო წარსულში ვერ უზრუნველყოფდნენ კანონების ერთგვაროვან შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობის განხორციელებას, რაც სერიოზული ორგანიზაციული ნაკლოვანებების, კონტროლისა და სამსახურებრივი დისციპლინის დაბალი დონით იყო გამოწვეული.

პარტიის მითითებათა რეალიზაციის სახელმძღვანელო პროგრამად იქცა პროკურატურის ორგანოებისათვის საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის 1987 წლის 15 სექტემბრის ბრძანება „საერთო ზედამხედველობის ძირეული გარდაქმნისა და კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში მისი როლის ამაღლების შესახებ“. ამ დოკუმენტში საზედამხედველო საქმიანობის მთავარ მიმართულებად დასახულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში სამართლებრივი ბერკეტებისა და საპროკურორო უფლებამოსილებათა სრულად გამოყენება, საჯაროობის პირობებში სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავება.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პროკურატურა, მისი რაიონული და საქალაქო ორგანოები ყოველმხრივ ცდილობენ ცხოვრებაში გაატარონ პარტიისა

და დირექტიული ორგანოების მითითებები. ამ მიზნით გაუმჯობესდა კონტაქტები სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებთან, იმატა ინფორმაციამ მაკონტროლებელი ორგანოებისაგან, უფრო ეფექტიანად ხორციელდება მათი მუშაობის კოორდინაცია პროკურატურის ხელმძღვანელობით. ამასწინათ ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობამ და საერთო ზედამხედველობის განყოფილებამ ჩაატარა მაკონტროლებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელზედაც მოწვეული იყო 26 მსხვილი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. აქ პირუთენელი, საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა იმ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტაც ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. გადაწყდა, რომ მაკონტროლებელი ორგანოები სისტემატურად მიაწვდიან ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილებას თავიანთ სამუშაო გეგმებს, რომელთა ანალიზი და კორექცია გამორიცხავს ისეთ მანკიერ ვითარებას, როცა ერთსა და იმავე საწარმოს ან ორგანიზაციას ზედიზედ ამოწმებენ სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენლები. ასეთი მეტისმეტი „ყურადღების“ შედეგად ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებში ხელოვნურად იქმნება დაძაბული ატმოსფერო, რაც იწვევს შრომის ნაყოფიერების დაქვეითებას. ამასთან, თათბირის მონაწილეებმა დაადგინეს, რომ ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში წარადგინონ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის იმ ანგარიშების ასლები, რომლებსაც ისინი აწვდიან ხოლმე ზემდგომ ორგანოებს. ამ ინფორმაციების გულდასმითი შესწავლა, ღრმა ანალიზი და განზოგადება საშუალებას მოგვცემს სწორად გავერკვეთ ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ რეალურ სიტუაციაში, შეუცდომლად განვსაზღვროთ კანონიერებისა და მართლწესრიგის დინამიკის მიმართულება და ტენდენციები. ყოველივე ეს იმის გარანტიას მოგვცემს, რომ პროკურატურა და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები თავიანთ სამუშაო გეგმებში გაითვალისწინებენ სამართალდარღვევებით ყველაზე მეტად „დაავადებულ“ საწარმოთა, გაერთიანებათა ან უწყებათა კომპლექსურ შემოწმებებს და დროს ფუჭად არ დაკარგავენ შემთხვევით შერჩეულ ობიექტებში უსაფუძვლო წრიალით.

თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ ინფორმაციების ასეთ ურთიერთ გაცვლას მიეცეს სისტემატური ხასიათი და აფხაზეთის ასსრ პროკურატურის ხელმძღვანელობას ურჩიეს მსგავსი საკოორდინაციო თათბირები ჩაატაროს წელიწადში ორჯერ მაინც.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხსენებული დადგენილებების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 16 ივნისის ბრძანებულებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა პროკურატურის ორგანოების მუშაკთა უფლებამოსილებანი. კერძოდ, სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ კანონს დაემატა მუხლი 9<sup>1</sup>, რომლის შესაბამისადაც პროკურორებს უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების კოლეგიებისა და სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების სხდომათა მუშაობაში. ამ საკანონმდებლო აქტის მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაევალიათ დროულად გვაცნობონ

კოლეგიის მორიგი სხდომის ზუსტი დრო და დღის წესრიგი. შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაევალოთ რაიონებისა და ქალაქების პროკურორებსაც.

საქმისადმი ასეთი მიდგომა პროკურატურის მუშაებს შესამჩნევად გაუადვილებს კანონიერებისა და მართლწესრიგის შესახებ საჭირო ინფორმაციის დროულად მოპოვებას და სერიოზულად აამაღლებს საპროკურორო ზედამხედველობის ღონისძიებათა ოპერატიულობასა და ქმედითობას.

საპროკურორო ზედამხედველობის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 16 ივნისის ბრძანებულებით პროკურორებისათვის იმის უფლების მინიჭებას, რომ სპეციალური მიწერილობით დაავალდებულონ სათანადო ორგანოები ან თანამდებობის პირები აღმოფხვრან კანონების აშკარა დარღვევის ფაქტები. აღნიშნული ბრძანებულებით კანონს სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ დაემატა მუხლი 24<sup>1</sup>, რომლის მიხედვითაც პროკურორის მიწერილობა კანონის აშკარა დარღვევის ფაქტის აღმოფხვრის თაობაზე სავალდებულოა შესასრულებლად. მართალია, თანამდებობის პირებს ან კოლეგიალურ ორგანოებს, რომლებმაც მიიღეს პროკურორის მიწერილობა, უფლება აქვთ მისი პროკურატურის ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისა, მაგრამ გასაჩივრების ფაქტი არ აჩერებს მიწერილობის მოთხოვნათა დაუყოვნებლივ შესრულებას. ამით პროკურორის მიწერილობა განსხვავდება საპროკურორო ზედამხედველობის ისეთი აქტებისაგან, როგორცაა პროტესტი ან წარდგინება, რომელთა მოთხოვნებიც შეიძლება დაკმაყოფილდეს ან, პირიქით, უარყოფილ იქნას. მიწერილობის მოთხოვნათა უარყოფის უფლება თანამდებობის პირებს ან კოლეგიალურ ორგანოებს არ გააჩნიათ და ისინი ვალდებული არიან ეს მოთხოვნები უყოყმანოდ შეასრულონ.

საპროკურორო ზედამხედველობის სწორედ ეს ღონისძიება გამოვიყენეთ „ნოვოროსიისკმშენის“ მე-9 მცურავი სამშენებლო რაზმის ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც სპეციალური აკრძალვის მიუხედავად განაგრძობდნენ საშენი მასალების მოპოვებას მდინარე კოდორის შესართავის მიდამოებში, რითაც სერიოზულ ზიანს აყენებდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ფლორასა და ფაუნას. ჭერ ერთი, მნიშვნელოვნად აფერხებდნენ მდინარის აუზში კალმახისა და ორაგულის აღწარმოებას და ფაქტობრივად აუფასურებდნენ საბჭოთა კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს მთავართევზმშენის თევზის ამ ძვირფასი ჯიშების აღსადგენად გატარებულ ძვირადღირებულ საქმიანობას. მეორეც, (ეს კი პირველ მოტივზე უფრო მნიშვნელოვანია) მდინარე კოდორის შესართავთან ზღვის ფსკერიდან ინერტული მასალების უთავბოლო მოპოვებამ მნიშვნელოვნად დაარღვია ოჩამჩირის რაიონის საკურორტო სოფლების სკურჩის, წყურგილის, კინდლისა და ტამიშის სანაპირო ზოლში ამ ინერტული მასალების ბუნებრივი ბალანსი, რამაც სანაპიროს ინტენსიური დანგრევა და ჩამორეცხვა გამოიწვია.

ჩვენმა ღონისძიებამ დროებით შეაჩერა ბუნებისადმი ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულება, მაგრამ ამ საკითხის საბოლოო გადაჭრას აფხაზეთისა და საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების უშუალო ჩარევა დასჭირდება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა გასულ წელს საგრძნობლად გააქტიურეს ბრძოლა სახელმწიფო ანგარიშგებაში

წამატებებისა და გეგმების შესრულების თაობაზე სხვა განზრახ დამახინჯებული საანგარიშო მონაცემების წარდგენების წინააღმდეგ. მაგალითად, 1987 წელს „აფხაზშენის“ № 6 ტრესტის მუშაკების მიმართ აღიძრა ექვსი სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სსკ 163<sup>1</sup> მუხლის მიხედვით. დამნაშავეები თავიანთი უყაირათობისა და უუნარობის დასაფარავად და მოჩვენებითი კეთილდღეობის ილუზიის შექმნის მიზნით საექსპლოატაციოდ აბარებდნენ დაუმთავრებელ ობიექტებს, ხოლო მიმღები კომისიის წევრები და სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არ ავლენდნენ საჭირო პრინციპულობასა და სიმტკიცეს, რითაც ფაქტობრივად ხელს უწყობდნენ მშენებლებს დანაშაულებრივ საქმიანობაში.

მსგავსი დანაშაულობები გამოვლინდა აგროსამრეწველო კომპლექსის ობიექტებშიც. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა სოფელ ათარის ჭანბას სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი ხელმძღვანელების მიმართ, რომლებმაც შესრულებულად უჩვენეს 16 პექტარი ჩაის პლანტაციის გაშენების 1986 წლის გეგმა, მაშინ, როცა ფაქტობრივად, ჩაის პლანტაცია 1987 წლის გაზაფხულზე გაშენდა.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები განიხილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში და დამნაშავეები სათანადოდ დაისაჯნენ. წინასწარი გამოძიების ორგანოებმა და სასამართლომ წარდგინებებსა და კერძო განჩინებებში მიუთითეს უწყებრიობის იმ უარყოფით შედეგებზე, რომლებიც მსგავს დანაშაულთა ჩადენის ხელშემწყობ პირობებს ქმნიდნენ და უადვილებდნენ მსჯავრდებულებს კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას.

გასული წლის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს საერთო საპროკურორო ზედამხედველობის ხაზით. ოთხასზე მეტი შემოწმების საფუძველზე გაროტესტდა 145 კანონსაწინააღმდეგო აქტი, სათანადო ორგანოებს გაეგზავნა სამასამდე წარდგინება მათს საქმიანობაში გამოვლენილ კანონდარღვევათა აღმოსაფხვრელად; 329 თანამდებობის პირს გამოეცხადა ოფიციალური გაფრთხილება და მიეთითა, რომ თუ ისინი შემდგომშიც გააგრძელებენ კანონების უხეშად დარღვევას, მიეცემათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში; 165 კაცს დაედო მატერიალური სასჯელი. საერთო საპროკურორო ზედამხედველობის წესით მოპოვებული მასალების საფუძველზე აღიძრა ოცდახუთამდე სისხლის სამართლის საქმე, სამოქალაქო სამართლის წესით სახელმწიფოს აუნაზღაურდა 205 ათასამდე მანეთის ზარალი და პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში გაიგზავნა ასზე მეტი ინფორმაცია, რომელთა საფუძველზეც გასულ წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორჯერ მიიღო სპეციალური დადგენილება. ლაპარაკია ინფორმაციებზე, რომლებშიც შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესრულებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე იყო მითითებული. ერთი სიტყვით, საერთო საპროკურორო ზედამხედველობა ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოცოცხლდა და პროკურატურის ორგანოების გარდაქმნის პროცესი სწრაფად იკრებს ძალებს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დარჩა გადაუჭრელი პრობლემა. კერძოდ, პროკურატურის ორგანოების ბევრმა მუშაკმა ჯერ კიდევ ვერ აუწყო ფეხი გარდაქმნათა ძლევამოსილ მოძრაობას, ვერ მოახერხა უწყებრიობის ტყვეობისაგან

თავის დაღწევა, სიახლეთა სწორად აღქმა და ძველებურად მუშაობასა და აზროვნებას განაგრძობს. სწორედ ამის შედეგია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურატურის საქმიანობაში არ შეიმჩნევა სოციალისტური საკუთრების დატაცებებთან, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებთან, უყაირათობასთან, მიწერებსა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის სხვა დარღვევებთან თანმიმდევრული და პრინციპული ბრძოლის გამწვავება. მართლაც, რა შეიძლება ითქვას, როცა აფხაზეთის სახელმწიფო აგრომრეწვისაგან ამასწინათ მიღებული ცნობიდან ირკვევა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის 49 საბჭოთა მეურნეობიდან ცამეტს, ანუ 26 პროცენტზე მეტს, გასული სამეურნეო წელი 1 მილიონ 717 ათასი მანეთის წაგებით დაუთმავრებია. ამ ცამეტი მეურნეობიდან ყველაზე „მოწინავედ“ უნდა ჩაითვალოს გაგრის ზონის რუსთაველის სახელობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც გასული წლის საერთო შემოსავალმა 111 ათას მანეთს ძლივს მიაღწია, ხოლო მარტო ხელფასის ხარჯებმა 303 ათასს გადააჭარბა და საერთო შემოსავლის 273 პროცენტი შეადგინა. „რეკორდსმენს“ დიდად არ ჩამორჩება გალის რაიონის რეფო-შეშელეთის მეცხოველეობის მეურნეობაც, სადაც გასულ წელს გაწეულმა მარტო ხელფასის დანახარჯებმა საერთო შემოსავლის 210 პროცენტს გადააჭარბა.

ასეთსავე სავალალო მდგომარეობაშია სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონების 12 საბჭოთა მეურნეობაც.

ამ რეგიონების პროკურორების ვალია სათანადო სპეციალისტების მეშვეობით შეამოწმონ ასეთ მეურნეობებში კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობა და ყოველგვარი ადგილობრივი ზემოქმედებისა და უწყებრიობის გავლენის მიუხედავად სამზგოზე გამოიტანონ და სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცენ კანონდარღვევათა და ბოროტმოქმედების იმ ფაქტებს, რომლებმაც ამ მეურნეობათა სავალალო ფინანსური მდგომარეობა განაპირობეს.

აფხაზეთის ასსრ პროკურატურის კოლეგიამ მიმდინარე წლის 24 მარტის სხდომაზე მკაცრად იმსჯელა ქალაქ გაგრის პროკურორის თანაშემწე ვ. პ. სულყენკოს, გულაუთის პროკურორის თანაშემწე გ. დ. შენგელიას, სოხუმის რაიონის პროკურორის თანაშემწე ნ. ვ. სარქისიანის, აფხაზეთის პროკურორის თანაშემწეების რ. პ. ზვედელავასა და თ. დ. წაბრიას მიმართ და დაავალდებულა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ოპერატიული მუშაკი გაააქტიურონ მუშაობა უხარისხო, უსტანდარტო ან უკომპლექტო პროდუქციის გამოშვების, უხარისხო მშენებლობის, პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებების სისტემატური შეუსრულებლობის, მიწერებისა და გეგმების შესრულების ანგარიშგებაში სხვა დამახინჯებების, ბუნების დაცვის კანონების დარღვევის, სოციალისტური საკუთრების დატაცებებისა და სამსახურებრივ დანაშაულობათა ფაქტების დროულად გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით.

დასახული პრაქტიკული ღონისძიებები და ის ერთსულოვნება, რასაც აფხაზეთის ასსრ პროკურატურის შრომითი კოლექტივები ავლენენ სკკპ XIX კონფერენციის შესახვედრად იმის ურყევ გარანტიას იძლევა, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ ავტონომიურ რესპუბლიკაში სოციალისტურ კანონიერებისა და მართლწესრიგის გასამტკიცებლად.

## მეურნეობა და საბართალი

# საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემა და უწყეხიები

ირაკლი ლეკვიშვილი,

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი პროკურორი,  
იუსტიციის მრჩეველი

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი შეიქმნა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის, საქართველოს სსრ კვების მრეწველობისა და საქართველოს სსრ ზორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების, აგრეთვე საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობისა და ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტების ბაზაზე, რითაც დაიწყო ამ დარგის მართვის სისტემის სრულყოფის ახალი ეტაპი.

რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი მმართველობის ცენტრალური ორგანოა, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დანიშნული თავმჯდომარე, მას ჰყავს მოადგილეები მინისტრების რანგით და მათაც უმაღლესი საბჭო ნიშნავს. აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე ერთდროულად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედაც ითვლება.

სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შემადგენლობაში შედიან მისი თავმჯდომარე, მოადგილეები და წევრები, რაც დადგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის დებულების მე-7 პუნქტით.

კომიტეტის სხდომები ტარდება საჭიროების მიხედვით, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც. მასზე განიხილება რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის სისტემაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის საკითხთა გადაწყვეტისათვის შექმნილია კოლეგია. მის შემადგენლობაში შედიან სახაგრომრეწვის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილეები, აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. კოლეგიის შემადგენლობას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც თანამდებობით შედიან მასში (თავმჯდომარე და მისი მოადგილეები), ამტკიცებს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

კოლეგია თავის სხდომებზე იხილავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და მომსახურების ძირითად საკითხებს, შეუძლია შეეხოს აგრეთვე კომიტეტის საქმიანობის სხვა სფეროსაც. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკულ ხელმძღვანელობას, შესრულების შემოწმებას, ადრების შერჩევასა და ვანაწილებას.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ავტონომიურ რესპუბლიკურ რგოლებს, კერძოდ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო გაერთიანებას.

ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი თავის საქმიანობაში ექვემდებარება, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ისე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს. მის უშუალო დაქვემდებარებაშია რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები, სოფლის მეურნეობის საწარმოები, აგრეთვე კვების, ზორცის, რძისა და მრეწველობის სხვა გადამამუშავებელი დარგების ორგანიზაციები, სამშენებლო, სარემონტო, მომარაგების, სატრანსპორტო, დამამზადებელი, სავაჭრო, საპროექტო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა რესპუბლიკური (ავტონომიური) დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები.

ავტონომიური რესპუბლიკის სახაგრომრეწვი პასუხისმგებელია ავტონომიური რესპუბლი-

კის აგროსამრეწველო კომპლექსის სტაბილური განვითარებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის. მისი ვალია მაქსიმალურად გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რაც ადგილზე არსებობს კვების პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის და გააუმჯობესოს ამ პროდუქტებით ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგება.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის პირველად რგოლს წარმოადგენს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს მართვის საკუთარი ორგანოების მეშვეობით და ეყრდნობა დარგობრივ და ტერიტორიულ პრინციპებს. ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან „მართვის ტერიტორიულ-დარგობრივი პრინციპი უზრუნველყოფს ორმხრივი ამოცანის გადაწყვეტას ერთის მხრივ, სხვადასხვა უწყებების საწარმოთა საქმიანობის კოორდინაციასა და ინტეგრაციას, მეორეს მხრივ, მათ მაქსიმალურ დამოუკიდებლობას და ინიციატივას“.

გაერთიანებისა და მასში შემავალი ყველა საწარმოს თუ ორგანიზაციის პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, მათი ინტერესების დასაცავად და დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად იქმნება გაერთიანების საბჭო, რომელიც რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის უმაღლესი ორგანოა. დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში ეს საბჭო ახორციელებს მმართველობით ფუნქციებს.

საბჭოს შემადგენლობაში შედიან რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე (საბჭოს თავმჯდომარე), მისი მოადგილეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და გაერთიანებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, აგრეთვე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი სხვა საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დებულებით გაერთიანების საბჭოს მუშაობაში, თუ საჭირო შეიქმნა, მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აგრეთვე რაიონის სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

გაერთიანების თავმჯდომარეს ნიშნავს და ათავისუფლებს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო, რომელიც საკითხს ათანხმებს რესპუბლიკის, ოლქის აგრომრეწვთან. საბჭოს თავმჯდომარე, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე, ერთდროულად რაიადმას-კომის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა.

საბჭო კოლექტიური ორგანოა. იგი გაერთიანების საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტს ამ ორგანოს წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. მიღებული გადაწყვეტილების იურიდიული ძალა ვრცელდება გაერთიანებაში შემავალ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაზე.

იმის მიუხედავად, რომ არსებობდა საკავშირო დებულება, საქართველოს აგროსამრეწველო გაერთიანებები მაინც ჩვენი რესპუბლიკის შესაბამისი ტიპობრივი დებულებით მოქმედებდნენ, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ შეიქმნა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი, როგორც აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ცენტრალური ორგანო. ამ დებულებით გაერთიანების საბჭო ირჩევდა გაერთიანების გამგეობას, რომელიც ხელმძღვანელობდა და წარმართავდა გაერთიანების საქმიანობას. აგროსამრეწველო გაერთიანების ამჟამად მოქმედი ტიპობრივი დებულებით კი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა 1986 წლის 18 მარტს გათვალისწინებული არ არის გამგეობის შექმნა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რაიონულ რგოლში. ეს სიახლე იმიტომ განპირობებულია, რომ პარტიის დღევანდელი პოლიტიკა ითვალისწინებს ეკონომიკის მართვის ძირეულ გარდაქმნას და მართვის სისტემის გამარტივებას. ჩვენ მხარს ვუჭერთ მას, რადგან იგი უფრო ეფექტიანსა და მოქმედს ხდის აგროსამრეწველო გაერთიანების მართვის სტრუქტურას.

ტიპობრივი დებულების მეთერთმეტე მუხლში ნათქვამია, რომ გაერთიანების ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის იქმნება სამმართველოს აპარატი, რომელსაც სათავეში უდგას გაერთიანების თავმჯდომარე. სამმართველოს აპარატი შედგება განყოფილებებისა და ჩვეულებისაგან. მის სტრუქტურას ამტკიცებს გაერთიანების საბჭო, ხოლო საშტატო განრიგს — გაერთიანების თავმჯდომარე. აღრე მოქმედ ტიპობრივ დებულებასთან შედარებით ესეც მნიშვნელოვანი სიახლეა, რადგანაც ძველი ტიპობრივი დებულება ანალოგიურ უფ-

ლებამოსილებებს ანიჭებდა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს, რომელსაც საკითხი უნდა შეეთანხმებინა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან. როგორც ვხედავთ, ახალი ტიპობრივი დებულება მკვეთრად აფართოებს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების დამოუკიდებლობის საზღვრებს გაერთიანების საშუალო აპარატის სტრუქტურის და მისი რიცხოვნების განსაზღვრის სფეროში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დებულების მეორემეტე პუნქტით გაერთიანებულ თავმჯდომარეს მინიჭებული აქვს კადრების, მართვის აპარატის მუშაკების შერჩევისა და განაწილების უფლებამოსილება, ნათელი გახდება, რომ გაერთიანების საბჭოს და მის თავმჯდომარეს გადაცემული აქვს მართვის მნიშვნელოვანი ბერკეტი.

გამომდინარე აქედან, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსს სათავეში უდგას რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი. სწორედ ის ხელმძღვანელობს ე. ი. მართვს, გვემავს და აფინანსებს აგროსამრეწველო კომპლექსს როგორც ერთიანს, მთლიანს და განუყოფელს ყველგან და ყველგან.

აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობა და მართვის ორგანოები გარკვეულ ურთიერთობებში იმყოფებიან ერთმეორესთან. ეს ურთიერთობები წარმოიშობა სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისა და მისი ხელმძღვანელობის პროცესში. აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო საქმიანობისა და მართვის ძირითად მიმართულებებს ფუნქციები ეწოდება. ფუნქციები განსაზღვრავენ აგროსამრეწველო კომპლექსში სამეურნეო და მმართველობითი ურთიერთობების შინაარსსა და მიმართულებებს. სამეურნეო ორგანოებისათვის დამახასიათებელია ორი სახის ფუნქციები: ა) საგემო-ორგანიზაციული (სამეურნეო მმართველობა) და ბ) ოპერატიულ-სამეურნეო (საწარმო-სამეურნეო ფუნქციების შეხამება).<sup>1</sup>

მართალია აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში ეს ორი ფუნქცია ერთმანეთთანაა შეხამებული, მაგრამ მათი ურთიერთშეფარდება განსხვავებულია იმისდამხედვით თუ რა დონის ორგანოებთან გვაქვს საქმე. მაგალითად აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ცენტრალური ორგანოები (სახაგრომრეწვები) უმთავრესად საგემო-ორგანიზაციულ ანუ სამეურნეო მმართველობის ფუნქციებს ახორციელებენ, ხოლო ადგილობრივი ორგანოები (აგროსამრეწველო გაერთიანებები) — სამეურნეო-ოპერატიულ საქმიანობას. ეს უწინარესად იმით არის განპირობებული, რომ ადგილობრივ (რაიონულ) რგოლებში მართვა უშუალოდ წარმოებასთან, მეურნეობასთან უფრო დაახლოებულია, ვიდრე ზემოდგომი მმართველობის ორგანოებთან.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ტიპობრივი დებულების მეექვსე მუხლში ჩამოთვლილია სახაგრომრეწვის ფუნქციები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი დებულებით ეს ფუნქციები ცალკე დამოუკიდებელ პუნქტებად არ ყოფილა ჩამოყალიბებული.

მიგვაჩნია, რომ ამჟამად მოქმედი დებულებით ფუნქციების ასეთი რეგლამენტაცია ყოველნაირად გამართლებულია, რადგან ჯერ ერთი, სახაგრომრეწვის მთელი პრაქტიკული საქმიანობა ამ ფუნქციების განხორციელებას უნდა წარმოადგენდეს და მეორეც, ეს ფუნქციები გათვალისწინებული უნდა იყოს სახაგრომრეწვის საქმიანობის პრინციპების, მეთოდების, ბერძებისა და ფორმების, აგრეთვე მისი, როგორც მართვის ცენტრალური ორგანოს ადგილისა და სტატუსის განსაზღვრის დროს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის დებულების მეექვსე მუხლის ანალიზი იმის საშუალებას იძლევა, რომ ცალკე გამოიყოს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

1. აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მიმართულებებისა და საბიუჯეტო ასიგნებათა განაწილების ფუნქციები;
2. მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, სოფლის მეურნეობაში ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების დანერგვის ფუნქცია;
3. დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდების განაწილების ფუნქციები;
4. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემაში იმ დონისძიებათა კომპლექსის შემუშავებისა და გატარების ფუნქცია, რომელიც მიმართულია მართვის, დაგეგმვის, დაფინანსების, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფისაკენ;

<sup>1</sup> Теоретические проблемы хозяйственного права, М., 1975 г., с. 55.



5. საკადრო პოლიტიკის განხორციელების ფუნქცია;

6. საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური კავშირ-  
ურთიერთობების დამყარების ფუნქცია;

7. სახელმწიკრულებო ურთიერთობების განმტკიცების ფუნქცია;

სახაგრომრეწვის მნიშვნელოვანი ზედამხედველი და საკონტროლო ფუნქციებიც გააჩნია. იგი ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს მიწების გამოყენებასა და დაცვაზე, ხელმძღვანე-  
ლობს რესპუბლიკის მიწათმოწყობის სამსახურს. ორგანიზაციას უკეთებს კომიტეტის სის-  
ტემაში არსებული მატერიალური და სატობენერგეტიკული რესურსების გამოყენებას, უზ-  
რუნველყოფს სახელმწიფო ზედამხედველობას აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში დამ-  
ზადებული და გადამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვაზე და ხარისხზე.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის, როგორც რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის  
მართვის ცენტრალურ ორგანოს, მნიშვნელოვანი ფუნქციები გააჩნია სამეურნეო საქმიანობის  
მართვისა და ხელმძღვანელობის სფეროში, ამიტომ ისინი ძირითადად სამეურნეო მმართველო-  
ბითი ხასიათისაა.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ტიპობრივი დებულებით რეგლამენტირებუ-  
ლია გაერთიანების კომპეტენციები, რომლებიც განსაზღვრავენ რაიონული გაერთიანების საქ-  
მიანობის ძირითად მიმართულებებს ანუ ფუნქციებს.

შინაარსის მიხედვით ეს ფუნქციები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

1. ოპერატიულ-სამეურნეო (საწარმოო-სამეურნეო) ფუნქციები;
2. საგეგმო-ორგანიზაციული (სამეურნეო-მმართველობითი) ფუნქციები;
3. სოციალურ-კულტურული ფუნქციები.

პირველ ჯგუფში შემავალი ფუნქციები, უწინარეს ყოვლისა მიმართულია გაერთიანების  
წინაშე დასახული ეკონომიკური (საწარმოო) ამოცანების რეალიზაციისაკენ. იგი გულისხმობს  
სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის წარმატებით გადაწყვეტას და ოპტიმალური პირო-  
ბების შექმნას გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების  
ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

საწარმოო-სამეურნეო ფუნქციებს გარდა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას გააჩ-  
ნია განსაზღვრული ფუნქციები სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვისა და სოციალურ-  
კულტურული საქმიანობის სფეროში. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა აგრეთვე სო-  
ციალისტური კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა და სამართლებრივი მუშაობის გაუმჯო-  
ბესება გაერთიანების საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

ამ ფუნქციათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის რაიონულ  
რგოლში ჭარბობს სამეურნეო-ოპერატიული ხასიათის ფუნქციები. ეს მაშინ, როდესაც სახაგ-  
რომრეწვის, როგორც მართვის ცენტრალური ორგანოს, ფუნქციათა უმეტესობის მიზანია  
მთელი სამეურნეო სისტემის ხელმძღვანელობა და მართვა. სწორედ ამიტომ ეს ფუნქციები  
უმთავრესად საგეგმო-ორგანიზაციული ბუნების ფუნქციებია.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა და ხელმძღვანელობა ხორციელდება  
საქართველოს სსრ, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტე-  
ტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო გაერთიანებისა და რაიონული  
აგროსამრეწველო გაერთიანებების მეშვეობით. ეს ორგანოები ერთმანეთთან მჭიდრო კავ-  
შირურთიერთობაში არიან და ქმნიან განსაზღვრულ ერთიანობას, სისტემას, რომელიც ხელმ-  
ძღვანელობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, შენახვის, გადამუშავების, ტრან-  
სპორტირებისა და რეალიზაციის მთელ საქმიანობას. ამ სისტემას სათავეში უდგას საქართვე-  
ლოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი.

აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო ხელმძღვანელობისა და მართვის ორგანოების  
წინაშე კონკრეტული ამოცანებია დასახული. ეს ამოცანები განსაზღვრავენ მათი საქმიანობის  
შინაარსს, ძირითად მიმართულებებსა და მხარეებს, ე. ი. მათ ფუნქციებს. შინაარსის მიხედვით  
ეს ფუნქციები სამეურნეო-ორგანიზაციული და ოპერატიულ-სამეურნეო ხასიათისაა. მათი  
შესრულებისათვის აუცილებელია გარკვეული უფლებამოსილება და აგროსამრეწველო კომ-  
პლექსის მართვისა და ხელმძღვანელობის ორგანოებს კანონი ამიტომ ანიჭებს იმ კომპეტენ-  
ციებს, რომლებიც ფუნქციების რეალიზაციის იურიდიული საფუძველია და განსაზღვრავენ  
ამ ორგანოების სტატუსსა და ადგილს სისტემაში.

# **ახალი სანიმუშო ნასღაბა და კოლმეურნეობის ძირითადი უფლებები**

გიორგი ბიორაძე

ხკვპ XXVII ყრილობამ შეიმუშავა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, რაც მიმართულია სამეურნეო მექანიზმისა და მართვის მთელი სისტემის სრულყოფის, ცხოვრების საერთო დონის ამაღლებისა და მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ.

ზვენს ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური გარდაქმნის ისტორიულ ეტაპზე დიდ ყურადღებას იმსახურებს კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება, რომელიც საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონია.

კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია. მასში განზოგადებულია ყველაფერი ის, რაც ჰოგვცა საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკამ. თუ გადავავლებთ თვალს კოლექტიური მეურნეობის განვითარებას, დავინახავთ, რომ ახალი სანიმუშო წესდება რიგით მეოთხეა, რომელსაც საკანონმდებლო მნიშვნელობა აქვს. ის შედგება: პრეამბულისაგან, XI თავისა და 62 მუხლისაგან. შინაარსითა და იურიდიული ფორმულირების მხრივ ის წინგადადგმული ნაბიჯია და რადიკალურად განსხვავდება ადრე მოქმედი წესდებებისაგან.

ამჟამად ყურადღებას შევაჩერებთ კოლმეურნეობის ძირითად უფლებებზე. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა 1988 წლის 23 მარტს, კოლმეურნეთა IV საკავშირო ყრილობაზე, ნათქვამია: „კოლმეურნეობები, რომლებსაც აქვთ მძლავრი საწარმოო-ეკონომიკური და საკადრო პოტენციალი, დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის სასურსათო და სანედლეულო უზრუნველყოფაში. ისინი იძლევიან სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებელ სექტორში წარმოებული პროდუქციის თითქმის ნახევარს. ეკვი არ არის, რომ კოლმეურნეობების მიერ ახალი უფლებების გამოყენება, რომლებიც გათვალისწინებულია კოლპერაციის შესახებ კანონის პროექტით, მძლავრ იმპულსს მისცემს მათ განვითარებას, მნიშვნელოვნად გააფართოებს საქმიანობის სფეროს“.

სანიმუშო წესდება განსაზღვრავს კოლმეურნეობის ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს. კოლმეურნეობის ორგანიზაციული საფუძვლის ქვეშ იგულისხმება გლეხთა ნებაყოფლობით შექმნილი საერთო მეურნეობა, სადაც საკოლმეურნეო დემოკრატიის საფუძველზე გლეხები თვითონ ახორციელებენ მათ მიერ შექმნილი საზოგადოებრივი მეურნეობის მართვას, ისე რომ, კოლმეურნეთა ინტერესები სწორად ეხამებოდეს საზოგადოებრივ, საერთო სახალხო ინტერესებს. კოლმეურნეობა, როგორც სოციალის-



ტური მეურნეობის საზოგადოებრივი ფორმა, საცემბით შეესაბამება სოფლის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების ამოცანებს. როგორც, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „კოლმეურნეობა კომუნისმის სკოლაა გლეხობისათვის“.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება თავისი იურიდიული ძალის მიხედვით სავალდებულოა არა მარტო კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის, არამედ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ამყარებენ ამა თუ იმ ურთიერთობას კოლმეურნეობებთან. სანიმუშო წესდებას დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობის შიდასამეურნეო სამართლებრივი რეგულირებისათვის.

ახალი სანიმუშო წესდება განსაზღვრავს კოლმეურნეობების საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაც უხდებათ თავიანთი შრომითი საქმიანობის პროცესში, კერძოდ:

1. საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განმტკიცება და განვითარება, შრომისა და წარმოების ეფექტიანობის განუზრელი ზრდა;

2. წარმოების გაზრდა და სახელმწიფოსადმი მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვა განვითარების ინტენსიური ფაქტორების ზრდის საფუძველზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მოწინავე გამოცდილების, სოფლის მეურნეობის წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების ათვისება;

3. მთელი საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება მისი სტრუქტურული სრულყოფის საფუძველზე, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში;

4. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით კოლმეურნეთა კომუნისტური და ინტერნაციონალური აღზრდის წარმართვა, საზოგადოებრივი აქტიურობისადმი ყოველმხრივი მხარდაჭერა, მიწაზე და წარმოების სხვა საშუალებებზე მეურნეობრივი დამოკიდებულება, კოლექტიურობა და შრომის მაღალი დისციპლინა, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლა;

5. კოლმეურნეობის მატერიალური და კულტურული მოთხოვნების სულ უფრო მეტად დაკმაყოფილება, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, სოფლის სოციალური გარდაქმნა;

6. კოლექტიური მმართველობის პრინციპის დაცვა და სრულყოფა, საკოლმეურნეო დემოკრატიის საყოველთაო განვითარება, კოლმეურნეთა საწესდებო და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო პირობების შექმნა.

აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად, ბუნებრივია, კოლმეურნეობას აქვს კონკრეტული უფლებები. კოლმეურნეობის წევრობის უფლება კონსტიტუციური უფლებაა. საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია (126-ე მუხლი) უფლებას აძლევს მოქალაქეებს გაერთიანდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათ შორის კოოპერაციულ ორგანიზაციებში. კოლმეურნეობის წევრად გახდომა შეუძლია ყველა მოქალაქეს, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა და სურვილს გამოთქვამს მონაწილეობა მიიღოს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში. კოლმეურნეობის წევრად მოქალაქეს იღებს კოლმეურნეობის საერთო კრება კოლმეურნეობის გამგეობის რეკომენდაციით, განმცხადებლის თანდასწრებით.

2. „საბჭოთა სამართალი“. № 3

საქ. სსრ კ. მარქსე  
სახ. სახ. რესპუბ  
ბიბლიოთეკა

კონსტიტუციურ უფლებებთან ერთად, კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება ითვისისწინებს ასევე კოლმეურნეთა ისეთ უფლებებს, რომლებიც უშუალოდ კოლმეურნეობის წევრობასთან არის დაკავშირებული. კოლმეურნეობის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კოლმეურნეობის საქმეთა მართვაში, შეიტანოს წინადადებები კოლმეურნეობის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, გამგეობისა და თანამდებობის პირთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ისარგებლოს საკოლმეურნეო საძოვრებით, საზოგადოებრივი მუშა პირუტყვით და ტრანსპორტით კოლმეურნეობაში დადგენილი წესის შესაბამისად, კოლმეურნეობისაგან მიიღოს დახმარება საწარმოო კვალიფიკაციისა და სპეციალობის მიღებისათვის, სოციალური უზრუნველყოფის, სამსახურებრივი მივლინებების გაწეული ხარჯების ანაზღაურების, შრომითი საქმიანობისას მიღებული დასახიჩრების თუ ჯანმრთელობის სხვა დაზიანების შემთხვევაში ზარალის მატერიალური ანაზღაურებისათვის და ა. შ.

მოკლედ შევჩხოთ მხოლოდ ზოგიერთ უფლებას:

1. კოლმეურნეობა დამოუკიდებლად შეიმუშავებს და ამტკიცებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს (მე-15 მუხლი).

კოლმეურნეობა ვალდებულია თავისი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა განახორციელოს 5 წლიანი და წლიური გეგმების საფუძველზე, რომლებსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს კოლმეურნეობის საერთო კრებაზე. დაგეგმარების ამოსავალი წერტილი არის დადებული ხელშეკრულებანი: ა) სახელმწიფოსადმი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების, ბ) საწარმოო დაწესებულებებთან და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან საწესდებო ამოცანების გადასაწყვეტად.

კოლმეურნეობა თავის საწარმოო ქვედანაყოფებს აძლევს სამეურნეო ამოცანებს ან დებს მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობებს, რითაც უზრუნველყოფს გეგმის შესრულებას;

2. კოლმეურნეობა ფართოდ იყენებს სახელშეკრულებო ურთიერთობებს (მე-14 მუხლი).

კოლმეურნეობას როგორც იურიდიულ პირს, აქვს სპეციალური უფლებათნარიანობა, რომლის საფუძველზეც შეუძლია დადოს ყველა ისეთი ხელშეკრულება, რაც მისთვის აუცილებელია საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად.

კოლმეურნეობათა საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს ხელშეკრულებებს, რომლებიც დიდი ხნით (ერთი ან მეტი წლით) არის დადებული, ეს კი საშუალებას აძლევს კოლმეურნეობას მოაწესრიგოს ეკონომიკური კავშირები სხვადასხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან;

3. ახალი სანიმუშო წესდების მნიშვნელოვანი სიახლეა კოლმეურნეობის ის უფლება, რის საფუძველზეც შეუძლია დამოუკიდებლად შექმნას: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებისა და შენახვის, სამშენებლო მასალების მოპოვებისა და გადამუშავების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების საწარმოები, განავითაროს სხვა დამხმარე დარგები, დაამყაროს სახელშეკრულებო ურთიერთობები.

აღნიშნული უფლება მნიშვნელოვანია კოლმეურნეობის დამოუკიდებლო-

ბის ფარგლების გაზრდის თვალსაზრისითაც. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინიციატივიანობასა და მეურნეობრიობის სწორ შეხამებას;

4. კოლმეურნეობის ქონებრივი და ფულადი სახსრების განკარგვის უფლება ეკუთვნის მხოლოდ კოლმეურნეობას. კოლმეურნეობას შეუძლია თავის შეხედულებისამებრ შეიძინოს მატერიალური რესურსები, ტექნიკური საშუალებანი, ნედლეული და მოწყობილობანი სხვა წარმოება-დაწესებულებებიდან.

კოლმეურნეობის საბრუნავი სახსრები, რომლის ოდენობასაც კოლმეურნეობის საერთო კრება ადგენს, მის სრულ გამგებლობაშია და ამოღებას არ ექვემდებარება;

5. მნიშვნელოვანია კოლმეურნეობათა უფლება თვითონ განსაზღვრონ თანამშრომელთა შტატები.

დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის ნათელი გამოხატულებაა აღნიშნული უფლება, რის საფუძველზეც კოლმეურნეობებს საშუალება ეძლევათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ კოლმეურნეობის თანამშრომელთა შტატები. მათ შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ და საწესდებო ამოცანებიდან გამომდინარე შეამცირონ ან გაზარდონ კოლმეურნეობაში მომუშავე ხელმძღვანელთა თუ სპეციალისტთა შტატები.

სანიმუშო წესდებაში ცალკე თავი აქვს დათმობილი კოლმეურნეობის მმართველობით ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ კოლმეურნეობებისადმი მინიჭებული უფლებების რეალიზაციას.

კოლმეურნეობის მმართველობის ძირითადი პრინციპია საკოლმეურნეო დემოკრატია, რომელიც საბჭოთა სოციალისტური დემოკრატის ერთ-ერთი ფორმაა. ეს დებულება განმტკიცებულია ახალი სანიმუშო წესდების 45-ე მუხლით, სადაც ნათქვამია: „კოლმეურნეობის მმართველობა ხორციელდება ფართო დემოკრატიისა და საჯაროობის საფუძველზე, კოლმეურნეობის აქტიური მონაწილეობით, შიდასაკოლმეურნეო ცხოვრების ყველა საკითხის გადაჭრაში“.

კოლმეურნეობა ისეთი მეურნეობაა, სადაც ყველაფერი გლეხებს ეკუთვნით. ამდენად კოლმეურნეობის მმართველობის საფუძველია მეურნეობის კოლექტიური ხელმძღვანელობა.

კოლმეურნეობაში მმართველობის ორგანოებია: კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, ხოლო კრებათა შორის პერიოდში — კოლმეურნეობის გამგეობა.

კოლმეურნეობის საერთო კრება იღებს კოლმეურნეობის წესდებას, შეაქვს ცვლილებები და დამატებანი მასში, ირჩევს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს და სარევიზიო კომისიას, ისმენს მათ ანგარიშს; წყვეტს კოლმეურნეობის წევრად მიღებისა და კოლმეურნეობის წევრობიდან კოლმეურნეთა გარიცხვის საკითხებს; იღებს კოლმეურნეობის შინაგანაწესს, დებულებებს შრომის ანაზღაურებისა და შიდასამეურნეო ანგარიშსწორების შესახებ; განიხილავს და განსაზღვრავს სოფლის სოციალური გარდაქმნის მიმართულებებს; განიხილავს და ამტკიცებს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ პროფკავშირებთან შრომის დაცვისა და სოციალურ საკითხებზე დადებულ შეთანხმებებს; ამტკიცებს კოლმეურნეობის საორგანიზაციო-სამეურნეო, პერსპექტიულ და

წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმებს; განიხილავს კოლმეურნეობის გამგეობის წინადადებას კოლმეურნეობის მთავარი სპეციალისტების შესახებ; განიხილავს და ამტკიცებს სარევიზიო კომისიის წინადადებასა და აქტებს; წყვეტს კოლმეურნეობაში დამხმარე სამეურნეო საწარმოებისა და დაწესებულებების შექმნის საკითხებს; კოლმეურნეობის აგროსამრეწველო გაერთიანებებში, აგროკომბინატებში, საკოლმეურნეობათაშორისო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მონაწილეობის საკითხებს.

კოლმეურნეობის გამგეობა საერთო კრებას იწვევს საჭიროებისამებრ, მაგრამ, არა უმეტეს კვარტალში ერთხელ.

მსხვილ კოლმეურნეობებში, სადაც გაძნელებულია საერთო კრების მოწვევა, შეიძლება რწმუნებულთა კრების ჩატარება. რწმუნებულებს ირჩევენ კოლმეურნეთა შეკრებებზე ბრიგადებში და სხვა ქვედანაყოფებში 3 წლის ვადით კოლმეურნეობის წევრებიდან.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებაში ნათქვანია, რომ კოლმეურნეობის გამგეობა არის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანო, რომელიც პასუხს აგებს კოლმეურნეობის საერთო კრების წევრთა წინაშე და ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის მთელ ორგანიზაციულ, საწარმოო-საფინანსო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და აღმზრდელით საქმიანობას, კოლმეურნეობის გამგეობას კოლმეურნეობის წევრები ირჩევენ 3 წლის ვადით ფარული ან ღია კენჭისყრით, კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობა არჩევითი თანამდებობაა, ამიტომ ყოველი კოლმეურნის წინაშე დიდი ამოცანა დგას, რათა თავიანთი რიგებიდან აირჩიოს საუკეთესო წევრი. ინიციატივით, გამოცდილ, ორგანიზატორ ხელმძღვანელზე დღევანდელ პირობებში დიდადაა დამოკიდებული კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება, კოლმეურნეობის წევრების კეთილდღეობის ამაღლება.

კოლმეურნეობაში სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლს აწესებს სარევიზიო კომისია, რომელიც თავის მხრივ ანგარიშს აბარებს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას.

სარევიზიო კომისიას შეუძლია შეამოწმოს ყველა თანამდებობის პირი, მოითხოვოს საჭირო დოკუმენტები, ყოველწლიურად ორჯერ მაინც ჩაატაროს კოლმეურნეობის საფინანსო საქმიანობის რევიზია.

კოლმეურნეები სარევიზიო კომისიას ირჩევენ საერთო კრებაზე ფარული ან ღია კენჭისყრის წესით.

მნიშვნელოვანია სანიმუშო წესდების 59-ე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ კოლმეურნეობის მმართველობის ორგანოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ პროფკავშირულ კომიტეტთან მჭიდრო კავშირში.

ასეთია, მოკლედ, კოლმეურნეობის ძირითადი უფლებები. ამ უფლებათა რეალიზაცია კოლმეურნეობის წინაშე დასმული სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაჭრის აუცილებელი პირობაა.

9 მაისი გამარჯვების დღეა!

**ომის ვეტერანები კვლავ მწყობრში არიან**

დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა. გააფთრებულმა მტერმა დედაქალაქის მისადგომებამდე მოაღწია და სოციალისტური სამშობლო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ფრონტი ახალ-ახალ შევსებას მოითხოვდა. პატრიოტულ მოწოდებას, რომ ყველაფერი ფრონტისათვის, მთელმა ქვეყანამ აუბა მხარი. ვისაც კი ძალა შესწევდა, დიდმაც და პატარამაც სამხედრო ფარაჯა ჩაიცვა. მათ შორის ბევრი საგამოძიებო და საპროკურორო დარგის მუშაკი იყო.

ომის ისტორიის გაცრეცილ ფურცლებზე დღესაც ამოიკითხავთ იმ ქართველი პროკურორებისა და გამომძიებლების გვარებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში, თავდადებისა და მამაცობის მაგალითებს იძლეოდნენ და ამიტომ დაჯილდოებულნიც არიან საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. სამწუხაროდ, ყველა ვერ მოესწრო გამარჯვების დღესასწაულს, მაგრამ დავიწყებული არავინ არის, დღესაც უდიდეს პატივს მივაგებთ მათ ნათელ სსოვნას და მუდამ ღირსეულთა გვერდით ვაყენებთ მამაცთა სიკვდილით ომში დაცემულებს. საქართველოს სსრ პროკურატურაში დადგმულია მემორიალური დაფა, სადაც ოქროს ასოებითაა ამოკვეთილი ომიდან არ დაბრუნებულთა სახელები. ესენი არიან: იმდროინდელი თბილისის კალინინისა და კიროვის რაიონების პროკურორები გედეონ კუტალაძე და ივანე ებანოძე, ზუგდიდის რაიონის პროკურორი ავქსენტი კვირიტია, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი ბენიამინ ჩხაიძე და სხვები.

ომის შემდგომ წლებში პროკურატურაში უმეტესად საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული პირები მუშაობდნენ. ამ აღამიანებმა ცხოვრების მკაცრი სკოლა გაიარეს და უკვე გამოცდილნი, გამობრძმედილნი, ყოველგვარ დანაშაულობასთან შეურიგებელნი ერთგულად დადგნენ დანაშაულებასთან და სოციალისტური კანონიერების სხვა დარღვევებთან ბრძოლის ფრონტზე.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ომის ქრილობებიც თითქმის საბოლოოდ მოვიშუშეთ, მაგრამ საქართველოს სსრ პროკურატურაში დღემდე ფრიად ნაყოფიერად მოღვაწეობენ დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მრავალი საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალრები. მათ შორის უნდა აღინიშნონ კადრების განყოფილების პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ედუარდ იაკობის ძე გულიევი, სტატისტიკის განყოფილების პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი ოთარ სოლომონის ძე სუთიძე და საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსის მოადგილე ნორაირ ანუშევანის ძე კაზარაანი.

საყურადღებოა ე. გულიევის საბრძოლო გზა. იგი ხუთჯერ დაიჭრა, მათ შორის სამჯერ ბერლინისათვის ბრძოლებში, დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. ფრონტზე მიღებული ქრილობები და მძიმე კონტუზია დიდხანს აწუხებდა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იძულებუ-



ლი გახდა მიეტოვებინა სამხედრო სამსახური, მაგრამ გულით მაინც მუდამ საბრძოლო მწყობრში დარჩა. მას ვერც კი წარმოედგინა ცხოვრება არმიის გარეშე და როგორც კი ჭრილობები მოიშუშა, კვლავ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში ისურვა ყოფნა.

ამავე პერიოდში ე. გულიევმა დაუსწრებლად დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იურისტის დიპლომი მიიღო და თითქმის საუკუნის მეოთხედი მსახურობდა სამხედრო იუსტიციის ორგანოებში, იუსტიციის პოლკოვნიკი გახდა. 1988 წლის სექტემბრიდან ე. გულიევი საქართველოს სსრ პროკურატურაში მოვიდა სამუშაოდ და მას შემდეგ ამ კოლექტივის ღირსეული წევრია.

დიდი სამამულო ომის ვეტერანები დღესაც მწყობრში არიან და ერთგულად ემსახურებიან კანონიერების განმტკიცების საქმეს.

ვლადიმერ ხონიძე.

### წოდების მიენიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ დამსახურებულ იურისტის საპატიო წოდება მიანიჭა:

ბაბაი გრიგოლის ძე პარანაძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს

ადელინა ივანეს ასულ ხონიანიას — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 30 აპრილის დადგენილებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრ ნოდარ ვარლამის ძე გორბოძეს მიენიჭა შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

### დაჯილდოება

პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ასაკიდან წელთან დაკავშირებით ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე აშ. ვასილ ალექსანდრას ძე ფიცხვანიას დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1988 წლის პირველი თებერვლის ბრძანებით „პროკურატურის საპატიო მუშაკის“ სამკერდე ნიშნებით, სიგელებით და ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი კობი თემურაშვილი და ნარმანი და საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ელშარდ იბრაიმის ძე გულიევი.





# პიროვნების იდენტიფიკაცია გეტყველების დიალექტიკური ნიშნების საფუძველზე

გურამ კაპანაძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი

ფონოგრამათა მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციას სამართალწარმოებისა და მართლმსაჯულების ორგანოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იურისტთა დაინტერესება ამ საკითხით ბუნებრივად არის, რადგან თითოეული პიროვნების ხმა და გეტყველება მკვეთრად გამოირჩევა ინდივიდუალური ნიშნებით. ასეთი ნიშნებია: ხმის სიმაღლე, ტემბრი, გეტყველების ტემპი, ინტონაცია, რითმი, არტიკულაციის პათოლოგიური მოვლენები; დიალექტური თავისებურებანი, ე. წ. „პარაზიტული“ სიტყვების ხმარება, ბგერითი ჩვევები, გარკვეული ფრაზეოლოგიური ერთეულების ხშირი და თავისებური გამოყენება, უცხო სიტყვათა ინდივიდუალური წარმოთქმა და სხვ.

გეტყველების მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციის პრობლემაზე მომუშავე სპეციალისტები განუწყვეტლივ იძიებენ და სრულყოფენ პიროვნების გეტყველების მნიშვნელოვან საყურადღებო ნიშნებსა და მახასიათებლებს. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საინტერესო ნიშანთვისებაა პიროვნების გეტყველების დიალექტური თავისებურებანი, რომლებიც გეტყველები რაოდენობით იჩენს კიდევ თავს ადამიანის გეტყველების დროს, ისეთ პირობებშიც კი, როდესაც პიროვნება ცდილობს მკაცრი კონტროლის ქვეშ დააყენოს საკუთარი ორთოეპიის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ცივილიზაციის მაღალი დონის გამო ადამიანები თანდათან უფრო სწორად წერენ და ლაპარაკობენ, ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი გეტყველებს იმ კუთხის დიალექტით, რომლის მკვიდრადაც იგი ითვლება. უფრო მეტიც, თვით დახვეწილი ლიტერატურული ენით მოსაუბრე პიროვნებაც კი გარკვეულ სტრესულ ან ემოციურ მდგომარეობაში უნებლიედ ამჟღავნებს იმ კუთხისათვის დამახასიათებელი გეტყველების დიალექტურ ნიშნებს, სადაც დიბადა და გაიზარდა, სადაც ცხოვრობდა ზანგრძლივი დროის მანძილზე, ერთი სიტყვით, სადაც მოხდა პიროვნების გეტყველების ფორმირება. პიროვნების გეტყველების დიალექტური თავისებურებანი ძალზე საგრძნობი და ხელშეახლები ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოლაპარაკის განათლების დონე შესამჩნევად დაბალია და ამის გამო იგი ვერ აკონტროლებს საკუთარი გეტყველების სისწორეს.

განსხვავებენ ორი სახის დიალექტურ გეტყველებას: ტერიტორიულსა და სოციალურს. ტერიტორიული გამოხატავს დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული ერთი ენის სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელ სამეტყველო თავისებურებებს. სწორედ ამ მიზეზით დიალექტები მით უფრო მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც უფრო შორს იმყოფებიან ტერიტორიულად ამ დიალექტზე მოლაპარაკე ადამიანები, ხოლო შეზობილი რაიონების მცხოვრებთა გეტყველებაში შეიმჩნევა ორივე დიალექტისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები.

ტერიტორიული დიალექტისაგან განსხვავებით ცალკე ჯგუფს წარმოადგენს სოციალური დიალექტი, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ სოციალური ფენის წარმომადგენელთა გეტყველებისათვის. ისტორიულად სოციალური დიალექტის ნიმუშებს წარმოადგენს ფეოდალური არისტოკრატის, მსხვილი ბურჟუაზიის, წვრილი ბურჟუაზიის, ხელოსანთა და სხვათა დიალექტური გეტყველება. სოციალური დიალექტის კერძო შემთხვევას მიეკუთვნება ე. წ. პროფესიული ლექსიკა. ასე მაგალითად, მჭედლის ლექსიკური ფონდი საგრძნობლად განსხვავდება დურგლის სიტყვიერი მარაგისაგან. იგივე შეიძლება ითქვას მევნახის, შესაქონლის, მეთევზის და მრავალი სხვა დარგის მუშაკთა გეტყველების დამახასიათებელი ლექსიკის შესახებაც. ასევე ცნობილია, რომ არსებობს განსხვავება მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა გეტყველების ლექსიკაშიც. ეს ლექსიკური განსხვავებები ძირითადად განპი-

რობებულა იმ ცნებებით, რომლებიც იხმარებიან მეცნიერების ამა თუ იმ დარგში. აღნიშნული გარემოების გამო ეკიმები, მაგალითად, ფლობენ ისეთ ტერმინოლოგიას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ენათმეცნიერის ან მათემატიკოსის ტერმინოლოგიისაგან, ფიზიკოსის ტერმინოლოგია იურისტის ან ეკონომისტის ტერმინოლოგიისაგან და ა. შ. სოციალური დიალექტის სახესხვაობას მიეკუთვნება უარგონი. როგორც აკად. ა. ჩიქოვავა აღნიშნავდა „უარგონი — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — არის ქურდების, პროფესიული მათხოვრების, მოხეტიალე მეწვრილმანეთა პირობითი „ენა“. უარგონი უნდა მივიჩნიოთ სოციალურ-დიალექტის სახეობად, რამდენადაც იგი ემსახურება ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, რომელთაც პროფესიული ინტერესები აერთიანებს.

უარგონის ლექსიკას საგანგებოდ თხზავენ ან არსებულ სიტყვებს ხელოვნურად ასხვავებენ, სხვა მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ ლაპარაკი გასაგები იყოს მხოლოდ ცალკეული პირებისათვის და გაუგებარი დარჩეს სხვებისათვის. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები ქურდებს სხვა მნიშვნელობით ჰქონდათ ნახშირი თავიანთ ენაში: მგლოდია ნიშნავდა მილიციის განყოფილებას, აკადემია — ციხეს, პატიმრობის ადგილს, ბალი — ბაზარს, ბიბლია — ბანქოს, მარკა — ცხვირსახოცს და სხვ.

ტერიტორიული დიალექტები, როგორც თვით დასახელება მიუთითებს, გამიჯნულია ერთ-მანეთისაგან იმ ტერიტორიით, სადაც გავრცელებულია მოცემული დიალექტური მეტყველება. ასე რომ, ერთ სოფელში, ქალაქში ან რაიონში არ შეიძლება იყოს ერთ ტერიტორიულ დიალექტზე მეტი.

სრულიად სხვაგვარადაა საქმე სოციალური დიალექტის თვალსაზრისით: ისინი არ არიან განცალკევებული ერთმანეთისაგან ტერიტორიულად და ამიტომ ერთ სოფელში, ქალაქში, ან რაიონში შეიძლება გვევლინოს რამდენიმე სოციალური დიალექტი.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტერიტორიული დიალექტები, როგორც კომუნიკაციის საშუალება, შეიძლება ემსახუროდეს მცხოვრებთა მთელ რეგიონს, მაშინ როდესაც, სოციალური დიალექტი — მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერიტორიული დიალექტების თავისებურებათა გამოიხატება როგორც ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში, ასევე გრამატიკულ ფორმებსა და მეტყველების ნიშნებში. რაც შეეხება სოციალური დიალექტების თავისებურებებს, აქ ძირითადი მნიშვნელობა ენიჭებათ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას. საქართველოს რესპუბლიკაში გამოიყოფა ქართული ენის შემდეგი ტერიტორიული დიალექტები: ქართული, მესხური, ჯავახური, ქიზიურთი, კახური, იმერული, გურული, აჭარული, იმერხეული, რაჭული, ლეჩხუმური, ხევსურული, მთიულურთი, თუშური, მოხეური და ფშაური. საქართველოს ფარგლებს გარეთ გვაქვს ქართული ენის ტერიტორიული დიალექტის ორი ერთეული: ინგილოური (აჭერბაიჯანის სსრ) და ფერდინული (ირანში).

დიალექტოლოგიას, როგორც მეცნიერების დარგს, დიდი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, ენის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ენის ზოგიერთი დიალექტური განსხვავება ჭერ კიდევ შორეულ წარსულში ჩამოყალიბდა, ხოლო ზოგიერთი დღევანდელი დიალექტური ნიშანი საერთო იყო მთელი ენისათვის; ნაწილი ამ ნიშანთაგანი დიკარგა, ნაწილი ჯა, ზოგ შემთხვევაში მთლიანად დიალექტიც, საფუძვლად დაედო დღევანდელ სალიტერატურო ენას. ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და გრამატიკული თავისებურების შესწავლა, მათე დავიკრებები იმ დიალექტებში, სადაც ისინი შენარჩუნებულია, საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ თანამედროვე სალიტერატურო ენის განვითარების ზოგიერთი მოვლენა.

დიალექტოლოგია მჭიდროდ უკავშირდება ერის ისტორიას, განსაკუთრებით ეთნოგრაფიას, მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ხალხების მატერიალური და სულიერი კულტურის ნიშნებს. ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები (სიმღერები, ლექსები, ზღაპრები, თქმულებები) და მათში ნაჩვენები სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო იარაღები და ნივთები აღიწერებოდა ამ დიალექტის თავისებურებათა საფუძველზე, რომელზედაც მეტყველებდნენ მათი შექმნილი ხალხები.

ასევე დიდი როლი ეკისრება დიალექტოლოგიას მხატვრულ ნაწარმოებთა სრულფასოვანი შესწავლისა და განხილვის საქმეში. მწერლები თავიანთ გმირებს ხშირად ამეტყველებენ იმ კუთხის დიალექტზე, რომელიც აღწერილია ნაწარმოებში.

რაც შეეხება მეტყველების დიალექტურ თავისებურებათა გამოყენების საკითხს იურისპრუდენციაში, კერძოდ, კრიმინალურ ექსპერტიზაში, აქ სპეციალისტებს შესაძლებლობა

ფონოგრაფის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე წარმატებით მოახდინონ პირიდან აღმოჩენის შედეგად გამოყოფის და განაღობის პირიდან აღმოჩენის ისეთი ინდივიდუალური ნიშნები, როგორცაა: პირიდან აღმოჩენის მეთოდების პროსოდიული მახასიათებელი (ხმის ძირითადი ტონი, ტემპი, ინტონაცია, ტემბრი), პირიდან აღმოჩენის მეთოდების დიალექტური თავისებურებანი (ლექსიკა, ფრაზოლოგია, გრამატიკული ცვლილებები, მგლოდია, მახვილი, რითმი)¹, პირიდან აღმოჩენის მეთოდების პათოლოგიური ცვლილებები (ჩლიფინი, ბლუკუნი, ენის ხმა და სხვა), პირიდან აღმოჩენის მეთოდების ბგერითი ჩვევები (ჩახველება, ტუჩების წკლაპუნი, ცხვირით ქსუტუნი და სხვა). მეთოდების დროს ე. წ. „პარაზიტული“ სიტყვებისა და ფრაზების დამახასიათებელი ხმარება („მასხადამე“, „სხვათა შორის“, „მავალითად“, „ასე ვთქვათ“, „ნუ იგი“ და სხვა), მეთოდებისას მყარი ფრაზოლოგიური ერთეულებისა და უცხო სიტყვათა თავისებური წარმოთქმა და გამოყენება და სხვა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩამოთვლილ ნიშანთაგან მეთოდების დიალექტურ თავისებურებათა დადგენასა და გამოყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც ძიების საწყისი სტადიაში ხელთ გვაქვს მხოლოდ მაგნიტოფონო გამოსაკვლევი მეთოდების ჩანაწერი (ვთქვათ სატელეფონო არხიდან შესრულებული ფონოგრაფია) და ანონიმი ხმის მფლობელის ვინაობის შესახებ ექვიც კი არ არის მითანილი. ასეთ შემთხვევაში ფონოგრაფის განაღობისას მეთოდების დიალექტურ თავისებურებათა წარმატებით დადგენისა და გამოყოფის შედეგად შეიძლება გარკვეული სიზუსტით დადგინდეს ტერიტორია, რომლის მცხოვრებელიც შესაძლებელია აღმოჩნდეს გამოსაკვლევ ფონოგრაფაზე აღებული ხმის მფლობელი. მასხადამე, ფონოგრაფაზე არსებული დიალექტური ნიშნების ანალიზის საფუძველზე შეიძლება წარმატებით დადგინდეს პირიდან აღმოჩენის დაბადებისა და ხანგრძლივი ცხოვრების ადგილის გეოგრაფიული რაიონი, სადაც მოხდა გამოსაკვლევი პირიდან აღმოჩენის მეთოდების დიალექტურ თავისებურებათა ფორმირება. ასეთივე წარმატებით შეიძლება დადგინდეს მოლაპარაკის პროფესია (თუ ჩანაწერში მოიპოვება პროფესიული სიტყვები და გამოთქმები და ფარგონი), განათლების დონე, სქესი, ინტელექტი და სხვა².

მეთოდების დიალექტურ თავისებურებებს განეკუთვნება: ლექსიკური ფონდი (სიტყვები და ფრაზები), გრამატიკული ფორმები (ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური) და პროსოდიული ხასიათის ნიშნები (მგლოდია, ინტონაცია, მახვილი, ტემპი, რითმი).

ლექსიკურ ფონდში, თავის მხრივ, შედის სამი სახის სიტყვები: 1) მხოლოდ და მხოლოდ ერთ დიალექტში ხმარებული, 2) რამდენიმე დიალექტში ხმარებული (ოღონდ ყოველ მათგანში სხვადასხვა მნიშვნელობით), 3) რამდენიმე დიალექტისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვები. ანალოგიურ მდგომარეობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი გრამატიკული ფორმების განხილვის დროსაც. რაც შეეხება პროსოდიული ხასიათის ნიშნებს, ისინი უფრო მეტად თავისებურია და დამახასიათებელია ცალკეული დიალექტებისათვის. ალბათ, ძირითადად სწორედ ამ ნიშნებითაა განპირობებული დიალექტების დაყოფა კილოკავად, თქმად და ქცევად.

ფონოგრაფია ექსპერტიზა რომ სრულფასოვნად ჩატარდეს საჭიროა წინასწარ შემუშავდეს გამოსაკვლევი ფონოგრაფიდან დიალექტური თავისებურებების გამოყოფის ზუსტი მეთოდიკა. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, ფონოგრაფის მოსმენა, რომლის დროსაც

¹ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალკე იყოს გამოყოფილი მეთოდების აქცენტი. იგი, მართალია, არ მიეკუთვნება დიალექტურ ნიშნებს, მაგრამ ისევე როგორც ეს უკანასკნელი, გამოიხატება გამოთქმის პროსოდიული მახასიათებლებით. აქცენტი ეს არის წარმოთქმის თავისებურებანი, დამახასიათებელი იმ პირისათვის, რომელიც მეთოდებს არამშობლიურ ენაზე. მაგალითისათვის გამოვადგებთ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა, კერძოდ, რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, აფხაზების, ოსების და სხვათა ქართული მეთოდებს.

² მეთოდების აქ ჩამოთვლილი ნიშნების საფუძველზე პირიდან აღმოჩენისა და გამოყოფის დიაგნოსტიკის შესაძლებლობის ბრწყინვალე მაგალითებია აღწერილი ცნობილი ინგლისელი დრამატურგის ბერნარდ შოუს ნაწარმოებში „პიემალიონი“. ინგლისური ენის ბრწყინვალე მკვლევარი ლინგვისტი, პროფესორი ჰიგინსი, მოსმენილი სამეთოდო მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გასოცარო სიზუსტით ადგენდა მოლაპარაკე პირიდან აღმოჩენის საცხოვრებელი ადგილის რეგიონს აბაშაში მხარეებისა და რაიონის. არაყედ ქალაქის სხვადასხვა უბნების სიზუსტითაც კი.



იკვება თუ როგორი ხასიათის მეთველებაა წარმოდგენილი მასზე: მონოლოგია იყო, დიალოგი, თუ რამდენიმე პირის საუბარი (პოლილოგია), რა ენაზე მიმდინარეობს მეთველები, საჭიროა განისაზღვროს გარკვევითობის ხარისხი, ზელზემზღელი მზაურის დონე, ყოველივე ამის შემდეგ შეიქმნება საერთო შთაბეჭდილება ჩანაწერის ვარჯისიანობაზე. ანალიზის თვალსაზრისით შემდეგ ეტაპზე ფონოგრაფიის რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ სრულდება ტექსტის დადგენა და მისი წერილობითი დაფიქსირება. იმ შემთხვევაში, როდესაც ფონოგრაფიის მოსმენის შემდეგად ჯაიკვება, რომ საუბარი არის დიალოგური ან პოლილოგური ხასიათისა, ტექსტის დაფიქსირებისას ზდება დიქტორების განცალკევება, რისთვისაც მათ მიენიჭებათ განსხვავებული ინდექსები. დიალექტური ნიშნების უკეთ გამოყოფის მზსნით სასურველია თითოეული დიქტორის ტექსტი ამოწერილი იყოს ცალ-ცალკე. დიქტორების მეთველების ცალკე ამოწერილი ტექსტიდან დგება იმ სიტყვათა და ფრაზოლოგიურ გამოთქმათა ნუსხა, რომლებიც ექსპერტ-ლინგვისტს მიაჩნია მეთველების ლიტერატურული ნორმებისათვის მიუღებლად. ამის შემდეგ ექსპერტი ადარებს ტექსტიდან ამოკრეფილ სიტყვებს და ფრაზებს დიალექტური ლექსიკონების სათანადო სიტყვებთან და ფრაზებთან, ადგენს იმ დიალექტს, სადაც ისინი იმზარება და ამის საფუძველზე აკეთებს დასკვნას. იმის საბუღსტრაციოდ, თუ ენის რომელ დიალექტს ან დიალექტურ ჯგუფს მიეკუთვნება მოცემული დიქტორის მეთველება შეიძლება მოვსყვნით ასეთი მაგალითი: დავუშვათ საანალიზო ტექსტი შეიცავს სიტყვებს — ელანძე, აწკაღა, გავჩოჩინდი, აზღალი, ინჯყვა, ჭურული და სხვა. ამ სიტყვების მნიშვნელობებს ექსპერტი პოულობს დიალექტურ ლექსიკონებში და ადგენს, რომ ეს სიტყვები გვხვდება მხოლოდ გურულ დიალექტში. თუ ტექსტში გვხვდება სიტყვები — ბურჯალი, გატიტაკება, დაჩანჯელება, ჯრჩია, მისტოტინე, ძუძგი და სხვა, დიალექტური ლექსიკონების დაზმარებით დავადგენთ, რომ ისინი იმერული დიალექტის, უფრო სწორად — ზემო იმერული კილოავის სიტყვებია და ა. შ.

სიტყვათა იმ ჯგუფის განხილვის დროს, რომლებიც იმზარება რამდენიმე დიალექტში და, ამასთან ყოველ მათგანში, განსხვავებული მნიშვნელობა იგულისხმება, ექსპერტი ჭერ კონტექსტის მიხედვით ადგენს მათ მნიშვნელობებს და შემდეგ ზემოაღწერილი მეთოდით მიაკუთვნებს თავის დიალექტს. მაგალითად, თუ ტექსტში აღმოჩნდა სიტყვა „ზანდი“, უნდა გაიკვდეს მისი მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით, რადგან ჭართლურ დიალექტში იგი ნიშნავს საქონლის სენს, ზემო იმერულში — ჩვარს, რომლითაც თიხის გამოუწვა ნედელ ჭურჭელს ასწორებენ, გურულში — ცუდს, უვარჯისს, ხოლო მთიულურში — ნახველს.

ტექსტიდან ამოკრეფილი იმ ჯგუფის სიტყვებითა და ფრაზებით კი, რომლებიც მნიშვნელობითაც საერთოა რამდენიმე დიალექტისათვის, შეუძლებელი ზდება ერთი რომელიმე დიალექტის დადგენა. აქ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ დიალექტთა გარკვეულ ჯგუფზე. მაგალითად, სიტყვა „ბურული“ იმერულ, გურულ და ლიჩხუმურ დიალექტში ნიშნავს ისლას სახურავს, სიტყვა „გაუღუვა“ მოხვეურ, გურულ, თუშურ და აჭარულ დიალექტებზე — ვაწყვებებს, მოსპობას, დაზრცვას, განადგურებას.

ფონოგრაფიის ტექსტის ლექსიკური მასალის გამოკვლევის შემდეგ ექსპერტი ატარებს განსახილველი მეთველების ჩანაწერის გრამატიკული ხასიათის ანალიზს. სახელდობრ, იკვლევს სიტყვათა ფონეტიკურ შემადგენლობას, სიტყვებში ბგერათა ცვლილებებს (ასიმილაცია, დიფთონგაცია), ბგერათა გადაადგილებას (მეტათეზისი), ბგერათა დართვა-კარგვას და, საერთოდ, ანდგენს ტექსტის მორფოლოგიურ და სინტაქსურ განხილვას. როგორც ლექსიკური მასალის ანალიზის დროს, ისე ამ შემთხვევაშიც, ამა თუ იმ დიალექტის მეთველებისათვის დამახასიათებელი გრამატიკული ცვლილებების აღმოჩენისას, ექსპერტი აკეთებს სათანადო დასკვნას პიროვნების მეთველების რომელიმე დიალექტიკისათვის მიკუთვნების შესახებ. ანალიზის ბოლო ეტაპს წარმოადგენს მეთველების პროსოდიული ხასიათის ნიშნებიდან დიალექტური გამოთქმის ელემენტების გამოყოფა და დადგენა. ამ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუ პიროვნების იდენტიფიცირებისას პროსოდიული ნიშნებიდან (ძირითადი ტონი, ტემბრი, ტემპი, მახვილი, მელოდია, რითმიკა, პაუზები) ნებისმიერ მათგანს შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ნიშანი მკაფიოდ გამოხატული, მეთველების დიალექტურობის განსაზღვრისას მხოლოდ სამი ნიშანი (მელოდია, მახვილი, რითმიკა) მიიღება მხედველობაში, რადგანაც პროსოდიული ნიშნების თვალსაზრისით მხოლოდ ამ სამი ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვადასხვა დიალექტური



გამოთქმები. დიალექტური ნიშნები გადაიხრება ამა თუ იმ დიალექტისაკენ მისი დამახასიათებელი მელიოდის თავისებურებებით ზოგიერთ სიტყვასა და ფრაზაში განსაკუთრებული მახვილით და მეტყველების რითმით.

ზემოაღნიშნული დიალექტური მეტყველების ეს დამახასიათებელი პროსოდიული ნიშნები, რომლებიც ზშირად ინტონაციის ცნებით არის გაერთიანებული, როგორც ვთქვით, ჭერ კიდევ არ არის კარგად შესწავლილი სხვადასხვა დიალექტურ გამოთქმებთან მათი კავშირის მხრივ. ამდენად, ექსპერტებს, რომლებსაც ევალებათ ასეთი ტიპის ლინგვისტიკური ანალიზის ჩატარება, მოეთხოვებათ ენის გრამატიკული ნორმებისა და დიალექტოლოგიის კარგი ცოდნა და გარკვეული ინტუიცია. ამ დროს ზორციელდება ფონოგრაფიათა როგორც სმენითი დამუშავება, ისე ობიექტურიც. ეს უკანასკნელი გულისხმობს სათანადო მონაკვეთების გამოყოფას და მათ აპარატურულ ანალიზს. ძირითად ხელსაწყოს, ასეთი ანალიზისათვის წარმოადგენს ინტონომეტრი, რომელიც ახორციელებს ინტონაციისა და ინტენსივობის ჩაწერა-გადაღებას ან მათ შეყვანას გამოთვლელ მანქანაში. იმ შემთხვევაში, როდესაც გვექნება დიალექტის ინტონაციური სურათების ფორმალურების საშუალება ე. ი. შესაძლებელი გახდება მათი ნიმუშების დადგენა და ალგორითმული აღწერა, ცხადია, შეიქმნება იმის პირობა, რომ მოხდეს ინტონაციების ობიექტური შეფასება და მათი ავტომატური მიკოთუნება ამა თუ იმ დიალექტისათვის.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ნახსენები საკითხების წარმატებით გადაჭრა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ დარგის ექსპერტი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს იმ ენის ზედმიწევნით კარგი მცოდნე დიალექტოლოგი, რომლის დიალექტურ თავისებურებებსაც იკვლევს. მას უნდა შეეძლოს მეტყველების ფონოგრაფიიდან გამოყოს დიალექტური ნიშნის მქონე ის სიტყვები, რომლებიც განსხვავებულია მოცემული ენის სალიტერატურო ლექსიკისაგან, დაადგინოს რომელიც განსხვავებულია მოცემული ენის სალიტერატურო ცვლილებებია მათში და ბოლოს მოახდინოს გამოსაკვლევი ფონოგრაფიის პროსოდიული ხასიათის დიალექტური ნიშნების გამოყოფა და ანალიზი როგორც სუბიექტური — სმენითი პერცეფციის საფუძველზე, ისე ობიექტური — სპეციალური მანქანების ინტოგრაფებისა და ელექტრონული გამოთვლელი მანქანების საშუალებით, ეს უკანასკნელი სამუშაო დღეისათვის საკმაოდ ძნელია და პასუხსაგები, რადგანაც თუკი ფონოგრაფიიდან გამოყოფილი საანალიზო სიტყვებისა, ფრაზებისა და გრამატიკული ნიშნების დიალექტურობის დადგენისათვის ექსპერტის განკარგულებაშია დიალექტური ლექსიკონებისა და გრამატიკული ნორმების მდიდარი ლიტერატურა, პროსოდიული ნიშნების ანალიზისას ანალოგიური ხასიათის მდიდარი ლიტერატურა, პროსოდიული ნიშნების ანალიზისას ანალოგიური ხასიათის მდიდარი ტენდენციით მიმდინარეობს ზემოხსენებული ნაკლის გამოსწორება: იქმნება ისეთი აპარატურა, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ავტომატურად გამოიყოს და გაანალიზდეს მეტყველების პროსოდიული ნიშნები — ხმის ძირითადი ტონი და მისი ცვლილება დროში (მელიოდია), რაოდენობრივად შეფასდეს პიროვნების მეტყველების ტემპი, პაუზები სიტყვებსა და ფრაზებს შორის, მახვილი სიტყვებში და სხვ.

ყოველივე ეს რწმენას გვინერგავს, რომ არც თუ იხე შორეულ მომავალში ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე კვლევის თანამედროვე სრულყოფილი მეთოდებითა და აპარატურით აღჭურვილი ექსპერტები კიდევ უფრო მაღალ დონეზე ჩაატარებენ ზემოთ განხილული საკითხების ანალიზს და უფრო მეტი სიზუსტით გამოიტანენ სათანადო დასკვნებს.

3 დიალექტების პროსოდიული ნიშნებიდან ერთ-ერთი ძალზე ინფორმატიული ნიშანია მახვილი სიტყვებში. ქართულში ამოსუნთქვის სიძლიერე თითქმის თანაბარობიერად ნაწილდება ყველა მარცვლის (გარდა ბოლო ორისა) მიხედვით, რაც ქართული რითმიკული მახვილის საფუძველს შეადგენს (სერგი ქლენტი „ქართული წინადადებაში კითხვითი სიტყვები (სად? როდის? როდის? რომელი?)“ არ მოეპოვება, კითხვით წინადადებას მხოლოდ ინტონაციით ანსხვავებენ. ძირითადად ქართულში კითხვით ინტონაციას აღწევენ ბოლო მარცვალზე მახვილის დასმით. მთიულეთში და რაჭაში კი მახვილი კითხვით წინადადებაში მოდის ბოლოდან მეორე მარცვალზე, შესამჩნევია აგრეთვე, რომ მთის ზონის დიალექტებში მახვილი სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის.

# ექსპერტის შეცდომები და მათი პროფილაქტიკა

ონა ფალიაშვილი,

სასამართლო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი

ექსპერტის შეცდომებს და მათი პროფილაქტიკის საკითხებს მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაეთმო ყურადღება. ზოგადად, ექსპერტის შეცდომები, მათი მიზეზები და კლასიფიკაცია მოცემულია რ. ს. ბელკინის, ა. კ. პედენჩუკის და გ. ლ. გრანოვსკის შრომებში<sup>1</sup>.

ექსპერტის დასკვნა მტკიცებულების სრულყოფილი წყარო რომ იყოს, ჭეშმარიტებასთან ერთად საჭიროა მისი მეცნიერული დასაბუთება და მოტივირება. წინააღმდეგ შემთხვევაში მომკვლევნი პირი, გამომძიებელი, სასამართლო და პროცესის სხვა მონაწილენი ვერ შეაფასებენ ექსპერტის დასკვნის ჭეშმარიტებას და სისწორეს.

შესაძლებელია ექსპერტმა ჭეშმარიტი დასკვნა გასცეს სრულიად შემთხვევით, გამოცდილებისა და ინტუიციის საფუძველზე, დასკვნის მეცნიერული დასაბუთებულობის გარეშე, მაგრამ ასეთი დასკვნა არ შეიძლება განხილული იყოს სრულყოფილ მტკიცებულებად, რადგან შეუძლებელია მისი დასაბუთებულობის გარკვევა და შეფასება. სწორედ ამიტომ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები ითვალისწინებენ განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნას იმ მოტივით, როდესაც მომკვლევნი პირი, გამომძიებელი ან სასამართლო არ ეთანხმებიან ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებულობით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლი).

ექსპერტის დასკვნა არასწორად უნდა მივიჩნიოთ, როდესაც შეცდომა დაშვებულია გამოკვლევის პროცესში, საერთო და კერძო ნიშნების შეფასებაში ან ექსპერტის დასკვნაში. ექსპერტის შეცდომა უნდა განვასხვავოთ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემისაგან. ყალბი დასკვნის მიცემის დროს ექსპერტმა იცის, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს საკითხი, როგორ უნდა დაასაბუთოს დასკვნა, მაგრამ შეგნებულად იძლევა არასწორ დასკვნას.

ყალბი დასკვნის შეგნებულად მიცემისათვის სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო შეცდომისათვის ექსპერტს შეიძლება დაედოს მხოლოდ დისციპლინური სასჯელი.

შეცდომები, დაშვებული ექსპერტიზის ჩატარების დროს, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. ექსპერტიზის შეცდომები და შეცდომა, რომელიც უშუალოდ ექსპერტმა დაუშვა. ექსპერტიზის შეცდომები უფრო ფართო ცნებაა, იგი შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ საგამომძიებო და სასამართლო ორგა-

<sup>1</sup> Белкин Р. С., Педенчук А. К., Понятие экспертных ошибок и их классификация. Сборник «Общетеоретические, правовые и организационные основы судебной экспертизы», М., 1987, с. 59—67; Грановский Г. Л., Природа, причины экспертных ошибок и пути их устранения, «Экспресс-информация», выпуск 2, М., 1983 г.

ნოებმა ექსპერტს გამოსაკვლევად გადასცენ უხარისხო მასალები, არასწორი საწყისი მონაცემები, სხვა პირის ხელწერის ნიმუშები და ა. შ. ექსპერტის შეცდომები კი ყოველთვის სუბიექტურ ხასიათს ატარებს. ე. ი. ისინი დაშვებულია და დაფუძნებულია შეშინების სუბიექტის (ექსპერტის) მიერ უხარისხო და ზედაპირულ გამოკვლევასთან, საერთო და კერძო ნიშნების არასწორ შეფასებასთან, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო და აუცილებელი გამოკვლევის მეთოდების გამოუყენებლობასთან, ექსპერტის უყურადღებობასთან დაბალ კვალიფიკაციასთან.

იმისათვის, რომ აღმოფხვრათ და ავიცილოთ ექსპერტის შეცდომები, საპროცესო კანონი ავალდებულებს ექსპერტს უარი თქვას გამოკვლევის ჩატარებაზე, თუ მას არ გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია ან არ არის კომპეტენტური მოცემული გამოკვლევის ჩატარებისათვის (საქართველოს სსრ სსსკ 72-ე და 73-ე მუხლები).

ექსპერტ-კრიმინალისტებისა და კვალიფიციური საგამოძიებო-სასამართლო მუშაკების მომზადების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა უმაღლეს იურიდიულ სასწავლებლებში კრიმინალისტიკისა და სისხლისა თუ სამოქალაქო სასამართლოს პროცესების სწავლების გაუმჯობესება, მათი დაკავშირება საექსპერტო, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკასთან, რაზედაც კარგადაა ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებებში: „სოციალისტურ კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“ და „ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებები“.

აღბათ კარგი იქნება, თუ სტუდენტთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით კრიმინალისტიკის სწავლების შემდეგ შემოვიღებთ ისეთ სპეცკურსებს, როგორცაა „სასამართლო ექსპერტიზის პრობლემები“ და „კრიმინალისტიკური ექსპერტიზა“. როგორც წესი, ამ სპეცკურსების ლექციები და პრაქტიკული წესდინებები უნდა ჩატარდეს საექსპერტო დაწესებულებებში. სწავლის ხარისხს მნიშვნელოვნად ამაღლებს აგრეთვე ახალგაზრდების მონაწილეობა კრიმინალისტიკის სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში, სასამართლო ექსპერტიზის სიტუაციების ამოხსნა და მათ შორის საქმიანი თამაშების დანერგვა.

მართალია ეს დიდად შეუწყობს ხელს ისეთი ფართო და მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას, როგორცაა ექსპერტიზის საკანონმდებლო რეგლამენტაცია, სასამართლო ექსპერტიზის თანამედროვე შესაძლებლობანი და განვითარების პერსპექტივები, მოამზადებს სასამართლო ექსპერტიზის კვალიფიციურ სპეციალისტებსაც. მაგრამ მაინც არ კმარა იმისათვის, რათა პირს ამის შემდეგ ერთბაშად მიენიჭოს ექსპერტის ჩატარების უფლება. საამისოდ აუცილებელი და საჭიროა ექსპერტების სპეციალური მომზადება გამოკვლევის ცალკეულ დარგებში. სწორედ ექსპერტთა მომზადება, მათი კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება წარმოადგენს ექსპერტის შეცდომების აღმოფხვრის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას.

ექსპერტთა კადრებს საბჭოთა კავშირში იუსტიციის სამინისტრო ამზადებს. ამისათვის მას ინდივიდუალური გეგმა გააჩნია და იგი ასეთია: დამოუკიდებ-

ბელი მუშაობა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სტაჟირების გავლა, სწავლება სასამართლო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაუსწრებელ კურსებზე, ახალგაზრდა და დამწყები ექსპერტების მიზგარება გამოცდილ და კვალიფიციურ ექსპერტებთან, ექსპერტთა დასკვნების შინაგანი და გარეგანი რეცენზირება, საწარმოო პრაქტიკის გავლა მოწინავე საექსპერტო დაწესებულებებში, ექსპერტების სისტემატური ატესტაცია, საექსპერტო პრაქტიკის განზოგადება და ექსპერტების გაგზავნა სასწავლებლად იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტში.

ექსპერტების გადამზადების ყველაზე ეფექტური საშუალება იქნება სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების ინსტიტუტში ექსპერტების სტაციონალური მომზადება სპეციალურად შემუშავებული პროგრამით, მაგრამ, რადგან ეს პრობლემა დღეისათვის ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ექსპერტთა მომზადება და გადამზადება ძირითადად საექსპერტო დაწესებულებებში მიმდინარეობს.

ექსპერტების მომზადება მათი უმაღლესი განათლების პროფილის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს, რადგან საექსპერტო დაწესებულებებში ირიცხებიან არა მარტო იურისტი ექსპერტები, არამედ (და ძირითადად) ისეთებიც, რომელთაც აქვთ ქიმიური, ფიზიკური, საინჟინრო, ფილოლოგიური, ფსიქოლოგიური განათლება და სხვ. ამ პირებისათვის უფრო მეტადაა საჭირო და აუცილებელი საპროცესო კანონმდებლობის, კრიმინალისტიკის ძირითადი საკითხების ათვისება.

ექსპერტის განათლებისა და მისი პროფილის გათვალისწინებით საექსპერტო დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს ექსპერტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ტიპური პროგრამა 8-12 თვისათვის. ამ პროგრამიდან პირველი სამი თვე უნდა დაეთმოს ექსპერტების თეორიულ მომზადებას, შემდგომი დრო კი — პრაქტიკის შესწავლას, საექსპერტო გამოკვლევების ჩატარებას გამოცდილი და კვალიფიციური ექსპერტების მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით.

ექსპერტის ინდივიდუალური მომზადება უნდა მოხდეს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელთა მიერ დამტკიცებული გეგმით, ხოლო სპეციალურად შექმნილმა საატესტაციო კომისიამ ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, მიენიჭოს თუ არა ექსპერტს დამოუკიდებლად ექსპერტიზის ჩატარების უფლება. საჭიროების შემთხვევაში ისიც შეიძლება, რომ გარკვეული დროით მას კვლავ გაუგრძელებს მომზადების ვადა.

ექსპერტიზის ჩატარება სპეციალიზებულ საექსპერტო დაწესებულებებში იმის გარანტიას იძლევა, რომ გამოკვლევა ჩატარდეს სრულყოფილად და ყოველმხრივ. გამოკვლევის პროცესში გამოყენებული იყოს საჭირო ხელსაწყოები, აპრობირებული მეთოდები, ხოლო გამოკვლევის ხარისხიანობაზე კონტროლი თვითონ საექსპერტო დაწესებულების (განყოფილების) ხელმძღვანელებმა აწარმოონ. ეს კი, ცხადია ხელს შეუწყობს საექსპერტო შეცდომების მკვეთრად შემცირებას.

მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები მიზანშეწონილად თვლიან, რომ ექსპერტიზის დანიშვნა და ჩატარება სპეცია-



ლიზირებულ საექსპერტო დაწესებულებებში ხდებოდა. ასეა მაგალითად, ლატვიის სსრ (მე-60 მუხლი), ლიტვის სსრ (87-ე მუხლი) და ესტონეთის სსრ (59-ე მუხლი) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, უზბეკეთის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (68-ე მუხლი) ნათქვამია, რომ სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქიკური, სასამართლო-საბუღალტრო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზები უნდა ჩატარდეს შესაბამის საექსპერტო დაწესებულებებში და მხოლოდ გამოჩაკლის შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს სხვა პირი ექსპერტად. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უმთავრესად მხოლოდ საექსპერტო დაწესებულებებში უნდა ტარდებოდეს ექსპერტიზა, მაგრამ კანონი იმის უფლებასაც იძლევა, რომ მომკვლევა პირმა, გამოძიებელმა, სასამართლომ, ექსპერტიზის ჩატარება დაავალოს სხვა პირსაც (72-ე მუხლი). კანონმდებლის ასეთი პოზიცია ჩვენი აზრით ყოველნაირად არის გამართლებული.

ექსპერტთა შეცდომების აღმოფხვრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა აგრეთვე საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელთა ორგანიზებული და გეგმიური კონტროლი. მართალია, საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს სათანადო „დებულებით“<sup>2</sup> საამისო უფლებებიც აქვს მინიჭებული, მაგრამ საპროცესო კოდექსებში ამაზე არაფერია ნათქვამი, რაც კანონის ხარვეზად მიგვაჩნია.

საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი ექსპერტიზის ჩატარების ხარისხიანობაზე, მაგრამ „დებულება“ არ მიუთითებს იმაზე, თუ რა ფორმებით და მეთოდებით უნდა განხორციელდეს ეს კონტროლი.

საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის კონტროლი ექსპერტიზის ჩატარებაზე ძირითადად ამგვარად უნდა წარიმართოს: ა) კონტროლი ექსპერტიზის მასალების ხარისხიანობაზე; ბ) კონტროლი და მეთოდური ხასიათის დახმარება ექსპერტისათვის გამოკვლევის პროცესში; გ) კონტროლი ჩატარებული ექსპერტიზის (ექსპერტის დასკვნის) ხარისხიანობაზე და დასაბუთებულობაზე.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდეს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებას, რათა მან გააკონტროლოს მომკვლევი პირის, გამოძიებლის, სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის მასალების ხარისხიანობა და საკმარისობა. ეს იმიტომ, რომ ექსპერტიზის დამნიშნავი პირისა და საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელთა ურთიერთობა არის პროცესუალური ხასიათის ურთიერთობა. კერძოდ, საპროცესო კანონში უნდა აისახოს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის უფლება, რომ მან უარი განაცხადოს გამოკვლევის ჩატარებაზე იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში (განჩინებაში) დასმული კითხვები სცილდება ექსპერტის კომპეტენციის ფარგლებს ან თუ საექსპერტო დაწესებულებაში არ ირიცხება იმ დარგის სპეციალისტი, რო-

<sup>2</sup> Положение об организации производства судебных экспертиз в экспертных учреждениях Министерства юстиции СССР. М., 1972

მელმაც უნდა გადაწყვიტოს ექსპერტის წინაშე დასმული საკითხები. საპროცესო კოდექსში უნდა აისახოს აგრეთვე ისიც, რომ საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება ჰქონდეს შეისწავლოს ექსპერტიზის მასალების (გამოსაკვლევი ობიექტების) საკმარისობა, ხარისხიანობა და ამ მასალების მიხედვით გამოკვლევის ჩატარების შესაძლებლობა. ამ საკითხის გადაწყვეტის შედეგად საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილი უნდა იყოს შეადგინოს ცნობა საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობაზე ან გამოითხოვოს ექსპერტიზის დამნიშნავი პირიდან დამატებითი მასალების წარმოდგენა. კანონით კი დღეს ასეთი უფლება მინიჭებული აქვს ექსპერტს და არა საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს.

ბ) ექსპერტიზის ჩატარების პროცესში კონტროლის განხორციელება და ექსპერტისადმი მეთოდური ხასიათის დახმარების აღმოჩენა პროცესუალური ურთიერთობა არ არის და ამიტომ იგი განხილული უნდა იყოს, როგორც ორგანიზაციული საკითხი. საექსპერტო დაწესებულების (განყოფილების) ხელმძღვანელმა კონტროლი უნდა განახორციელოს ექსპერტიზის ჩატარების ვადების დაცვაზე, აღმოუჩინოს ექსპერტებს ორგანიზაციული და მეთოდური ხასიათის დახმარება, უზრუნველყოს ისინი საჭირო აპარატურითა და ხელსაწყოებით, რეკომენდაციები გაუწიოს გარკვეული მეთოდიკის გამოყენების შესახებ, რჩევა-დარიგება და მითითებები მისცეს დასკვნის სწორად და დასაბუთებულად შედგენის თაობაზე და ა. შ. ასეთი კონტროლისა და მეთოდური ხასიათის დახმარება იმის გარანტიაა, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს ექსპერტის შეცდომა.

გ) საექსპერტო დაწესებულების (განყოფილების) ხელმძღვანელს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება მას შემდეგ, როდესაც უკვე შედგენილია ექსპერტის დასკვნა და მოწმდება მისი სისწორისა და დასაბუთებულობის საკითხი.

მართალია ექსპერტის დასკვნის დასაბუთებულობისა და სისწორის შეფასება კანონით (სსსკ-ის 63-ე და 72-ე მუხლები) საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების კომპეტენციაა, მაგრამ საექსპერტო დაწესებულებებში არსებული კონტროლის სისტემას მაინც ენიჭება გარკვეული მნიშვნელობა.

საექსპერტო დაწესებულების (განყოფილების) უფროსის მიერ ექსპერტის დასკვნის ხარისხიანობის შესწავლა არ არის საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების შეფასება, იგი მხოლოდ საუწყებო კონტროლის სფეროა, რომლის დროსაც კვალიფიციური სპეციალისტი, კრიტიკულად ამოწმებს არა მარტო ექსპერტის დასკვნის ფორმალურ მხარეს, არამედ მის სისწორესა და მეცნიერულ დასაბუთებულობას. ეს კი ხელს უწყობს ექსპერტის მიერ დაშვებული შესაძლო შეცდომის თავიდან აცილებას და საგამოძიებო-სასამართლო ორგანოებისათვის ხარისხიანი დასკვნის მიცემას.

ასეთ დროს ზოგჯერ საკონფლიქტო სიტუაცია წარმოიშვება ხოლმე საექსპერტო დაწესებულების (განყოფილების) ხელმძღვანელსა და ექსპერტს შორის. ეს მაშინ, თუ ექსპერტი არ ეთანხმება საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის მოსაზრებას. სასურველია, თუ ასეთი საკონფლიქტო სიტუაციის გადაწყვეტის ფორმებსაც გაითვალისწინებს საექსპერტო დაწესებულებებში ექსპერტიზის ჩატარების დებულება.

გამომდინარე ექსპერტის პროცესუალური დამოუკიდებლობის პრინციპიდან საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის მოსაზრება ექსპერტის დასკვნის სისწორისა და დასაბუთებულობის შესახებ სავალდებულო არ არის ექსპერტისათვის. ექსპერტს შეუძლია არ გაითვალისწინოს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის მითითება და არასწორად ჩათვალოს იგი, მაგრამ ამავე დროს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს შეუძლია მოაწყოს ექსპერტის დასკვნის კოლექტიური განხილვა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობით (ასეთ განხილვას მხოლოდ კონსულტაციური ხასიათი უნდა ჰქონდეს), რომ საექსპერტო ან ექსპერტის დასკვნასთან ერთად ექსპერტიზის დამნიშნავ პირს გადაუგზავნოს აგრეთვე თავისი და კოლექტივის მოსაზრება. საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები კი კრიტიკულად აფასებენ როგორც ექსპერტის დასკვნას, ასევე საექსპერტო ხელმძღვანელის წერილობით მოსაზრებას და ამის საფუძველზე გამოაქვთ გადაწყვეტილება. როდესაც ექსპერტი არ ეთანხმება საექსპერტო დაწესებულების უფროსის მოსაზრებას და მიაჩნია, რომ მისი დასკვნა არის სწორი და დასაბუთებული, საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს იმის უფლებაც აქვს, რომ გამოკვლევის განმეორებით ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტებს<sup>3</sup>.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხშირად იწვევს დავას პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში. ჩვენის აზრით, სწორია საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი, როდესაც ასეთ დროს ნიშნავს განმეორებით გამოკვლევას სხვა კვალიფიციური ექსპერტების შემადგენლობით. თუ ასეთი კომისია კვლავ დაადასტურებს ექსპერტის მიერ უკვე გაცემულ დასკვნას, კიდევ უფრო ცხადი გახდება პირვანდელი ექსპერტის დასკვნის სისწორე, დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა. თუ საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დანიშნული კომისიური ექსპერტიზა განსხვავებული აზრისა იქნება, მაშინ უნდა გაიცეს ორივე ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა.

საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ჩატარებული ხელახალი გამოკვლევა, არ შეიძლება ჩაითვალოს განმეორებით ექსპერტიზად. ასეთი ექსპერტიზის დანიშვნა მხოლოდ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების კომპეტენციაა. ასეთ დროს საქმე გვაქვს საუწყებო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმასთან, რომლის მიზანია თავიდან ავიცილოთ ექსპერტის შეცდომა, რათა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს გადაეგზავნოთ დასაბუთებული, მოტივირებული ექსპერტის დასკვნები.

ექსპერტის კვალიფიკაციის ამალგებისათვის სისტემატური ზრუნვა და საუწყებო კონტროლის ეფექტური განხორციელება ყველაზე ქმედითი საშუალებაა ექსპერტის შეცდომების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკისათვის.

<sup>3</sup> Инструкция об организации производства криминалистических экспертиз во ВНИИСЭ МЮ СССР, М., 1977 г., (пункт 32).

# შეკენათ დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის ახალი სისტემა

ვარლან სიმონიშვილი,

საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტი, იუსტიციის  
უფროსი მრჩეველი

დაქტილოსკოპიაში დამკვიდრებული ათციფრიანი ფორმულა, რომელსაც უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს, თავისი მცირეინფორმაციულობის გამო, ვეღარ იძლევა ეფექტური იდენტიფიკაციის საშუალებას, რადგან თვით ფორმულის გამოყვანის წესი არ არის ფართო და მასშტაბური.

როგორც ცნობილია, არსებობს ძირითადი ფორმულის 1024 ვარიანტი. ამის გამო პიროვნების იდენტიფიკაცია ხდება არა ფორმულების დამთხვევით, არამედ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარებითა და ანაბექტების ინდივიდუალური ნიშნების დამთხვევით.

ჩვენი მიზანია შეიქმნას რეგისტრაციის ისეთი სისტემა, რაც საშუალებას მოგვცემს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ერთი თითის ანაბექტით დადგინდეს პიროვნება სარეგისტრაციო სისტემაში. ამ მიზნით დამუშავდა 2000-ზე მეტი დაქტილობარაი და დვრილოვანი ქარგების ათგვაროვნულ ჯგუფად დაყოფის ნაცვლად, რაზედაც აგებულია თანამედროვე სისხლის სამართლის დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია, აღმოჩნდა რკალისებური ქარგის 5 საკლასიფიკაციო ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ერთი ციფრით აღინიშნებოდა. ამით 218-მდე გაიზარდა გვაროვნული ჯგუფები. თავისთავად კი ესეც არ წარმოადგენს ზღვარს.

რკალისებური ქარგის სახესხვაობებია:

1. რკალი დელტისმაგვარი განშტოებებით;
2. რკალი დელტისმაგვარი განშტოებების გარეშე, უწყვეტი, ერთი მხრიდან მეორეზე გარდამავალი პირველი ხაზით;
3. რკალი პირამიდისმაგვარი, აშკარად გამოხატული თავით;
4. რკალი კარვისმაგვარი;
5. რკალი ტალღისმაგვარი;

I. რკალისებური ქარგის პირველ ჯგუფს დვრილოვანი ქარგის ცენტრის დაბლა, მარცხნივ და მარჯვენა განაპირა მხარეს გააჩნია დელტისმაგვარი განშტოება, სადაც დვრილოვანი ხაზები ორად იყოფა და მათი ერთი ნაწილი მიემართება ზემოთ, მეორე კი ქვემოთ.

II. რკალისებური ქარგის მეორე ჯგუფს, რომელსაც არა აქვთ დელტისმაგვარი განშტოებები, ქარგის შუა ადგილიდან ქვემოთ მიმართულებით აქვთ მარცხნიდან მარჯვნივ გარდამავალი უწყვეტი დვრილოვანი ხაზი.

III. რკალისებური ქარგის მესამე ჯგუფს ქარგის ცენტრში გააჩნია პირამიდის ფორმის ქარგა, რაზედაც ცხადადაა გამოხატული პირამიდის თავი.

IV. რკალისებური ქარგის მეოთხე ჯგუფისათვის დამახასიათებელია დვრილოვანი ხაზების კარვისმაგვარი ფორმა.

და მეხუთე, რკალისებური ქარგებიდან შედარებით მცირეა ისეთი ქარგები, სადაც დვრილოვანი ხაზები ქმნიან ტალღისებურ სურათს.

დვრილოვანი ქარგების ასეთი ჯგუფური ნიშნებით დაყოფის გარდა, გეოთვალისწინეთ, აგრეთვე ქარგის ცენტრების კოორდინაციული მდებარეობა, რისთვისაც დავადგინეთ გამოსათვლელი საკოორდინაციო წერტილები და შემდეგ გამოთვლის წესი:

1. დელტისმაგვარი განშტოების მქონე რკალისათვის საკოორდინაციო წერტილებად აღებულია ამ ორი დელტისმაგვარი განშტოების შემაერთებელი სწორი ხაზი, რომლის შუა ადგილზეც დგება გამოსაანგარიშებელი პირობითი გეომეტრიული ფორმა — ექვსმილიმეტრიანი ფუძისა და თხუთმეტმილიმეტრიანი გვერდის მქონე სწორკუთხედი, რომლის კუთხეებიც შეერთებულია სწორი ხაზებით. ამ რვა მონაკვეთის წინასწარ განსაზღვრული თანმიმდევრობა გვაძლევს გამოთვლის სისტემის და სტანდარტიზაციის შესაძლებლობას. მათგან გადაკვეთილი დვრილოვანი ხაზების რაოდენობა კი, როგორც კერძო ნიშანი, უნდა შევიდეს ფორმულაში.

2. რკალისებური ქარგის მეორე ჯგუფს, რომელსაც არა აქვს დელტისმაგვარი განშტოებები და აქვს ერთი მხრიდან მეორე მხარეს გარდამავალი პირველი უწყვეტი ხაზი, საკოორდინაციო წერტილები ამგვარად უნდა დავეუდგინოთ:

უწყვეტი ხაზის ყველაზე მაღალი წერტილიდან ან მისი სწორი ნაწილის შუა ადგილიდან უნდა აღიმართოს ათმილიმეტრიანი ხაზი მის ზევით მდებარე რკალის შუაადგილამდე, სადაც მიიხაზება გამოსაანგარიშებელი პირობითი გეომეტრიული ფორმა. ამ ფორმის ექვსგვერდთან ერთად იქნება კიდევ ორი გვერდი: ერთი ფუძის მარცხენა მხარეს მდებარე ათმილიმეტრიანი გვერდი და მეორე — ფორმის ექვსმილიმეტრიანი ფუძის ათმილიმეტრამდე გაზრდილი გვერდი.

3. პირამიდისმაგვარი რკალისებური ქარგისათვის, რომელსაც გააჩნია აშკარად გამოხატული თავი, საკოორდინაციო წერტილები შემდეგნაირად უნდა დადგინდეს:

პირამიდის აშკარად გამოხატული თავი უნდა შეერთდეს მის ზემოთ მეთექვსმეტრზე მდებარე რკალის შუა წერტილთან და ხაზი გაგრძელდეს ქვევით, პირამიდის თავის დაბლა 5 მილიმეტრზე. ამ ხაზზე უნდა მოთავსდეს გამოსაანგარიშებელი გეომეტრიული ფორმა. გამოსათვლელი პირობითი გეომეტრიული ფორმის 6 გვერდთან ერთად კიდევ ორი გვერდი იქნება ამ ფორმის ფუძის მარცხენა მხარეს მდებარე ათმილიმეტრიანი გვერდი და 10 მილიმეტრამდე გაგრძელებული ფუძის 6 მილიმეტრიანი გვერდი.

4. კარვისმაგვარი ფორმის რკალისებური ქარგისათვის საკოორდინაციო წერტილები უნდა დადგინდეს შემდეგნაირად:

კარვის ძირი სწორი ხაზით უნდა შეერთდეს მის ზემოთ მეთხუთმეტე მილიმეტრზე მდებარე დვრილოვანი რკალის შუა ადგილთან და ამ ხაზზე დაიდგას გამოსათვლელი გეომეტრიული ფორმა. გამოსათვლელი პირობითი გეომეტრიული ფორმის მარცხენა მხარეს მდებარე ათმილიმეტრიანი გვერდი და ფუძის 10 მილიმეტრამდე გაგრძელებული 6 მილიმეტრიანი გვერდი იქნება მეშვიდე და მერვე გამოსათვლელი გვერდები.

5. რკალის ტალღისებური ქარგის საკოორდინაციო წერტილის დადგენი-

სათვის საჭიროა დელტისმაგვარი განშტოებების შეერთება სწორი ხაზით და მათ შუა ადგილზე გამოსათვლელი გეომეტრიული ფორმის ჩახახვა, ასეთ დროს მეშვიდე და მერვე გამოსათვლელი გვერდები იქნებიან გამოსათვლელი გეომეტრიული ფორმის ფუძის მარცხენა და მარჯვენა მხარეს 10 მილიმეტრამდე გაგრძელებული გვერდები.

6. მარყუქისებური ქარგის საკოორდინაციო წერტილებისა და გამოთვლის პირობითი გეომეტრიული ფორმის ჩასახაზად საჭიროა დელტა შევავართოთ მარყუქის ცენტრთან და ამ მონაკვეთზე დელტის ცენტრთან, მარყუქის საწინააღმდეგო მხარეს ჩავხაზოთ 6 მილიმეტრის ფუძისა და 10 მილიმეტრის სიმაღლის მართკუთხედი, სადაც მოპირდაპირე კუთხეები შეერთებული იქნება სწორი ხაზით. ამ ფორმის მეშვიდე და მერვე გვერდები იქნება მართკუთხედის მოპირდაპირე კუთხიდან მარყუქის ცენტრთან შემაერთებული და ფორმის ფუძეზე დელტიდან მარყუქის ცენტრამდე არსებული ხაზები.

7. ხვეული ქარგისათვის საკოორდინაციო წერტილების და გამოთვლის პირობითი გეომეტრიული ფორმის ჩასახაზად საჭიროა ქარგის ცენტრი შევაერთოთ ორივე დელტასთან, რის შემდეგაც დელტებს შორის გამავალი სწორი ხაზის შუა წერტილთან აღიმართება 15 მილიმეტრის სიმაღლის ვერტიკალური ხაზი. ამ გეომეტრიული ფორმის 8 გვერდი იქნება გამოსათვლელი სიდიდეები.

ყველა სახის საკლასიფიკაციო ფორმის გამოთვლისათვის დამზადებულია ოპტიკური მინა, ზომით  $100 \times 100 \times 2,4$  მმ. ამ მინაზე ქრომის დაფრქვევით აღბეჭდილია დამხმარე ნახაზი, რომლის შუაში გამოსახულია ნატურალური სიდიდის გამოსათვლელი გეომეტრიული ფორმა, ხოლო გვერდებზე გამოთვლისათვის საჭირო პირობითი გეომეტრიული ფორმა.

გვაროვნული ნიშნების მიხედვით, ქარგები დაყოფილია 2 ჯგუფად. ერთია ქარგის სახე და მეორე მათი მდებარეობა საკოორდინაციო სისტემაში. ისინი კოდირებულია სათითაოდ და შედგენილია ქარგებისა და მათი საკოორდინაციო მდებარეობის 218 ადგილიანი კატალოგი.

ამ კატალოგში:

ა) დელტისმაგვარი განშტოების რკალს აქვს 24 მდებარეობა და კატალოგში უკავია 1-24 ადგილი.

ბ) რკალს, რომელიც დელტისამგვარი განშტოებების გარეშეა, უწყვეტი, ერთი მხრიდან მეორეზე გარდამავალი პირველი ხაზით, აქვს 24 მდებარეობა და კატალოგში უკავია 25-48 ადგილი.

გ) პირამიდისმაგვარ აშკარად გამოხატულთავიან რკალს აქვს 24 მდებარეობა და კატალოგში უკავია 49-72 ადგილი.

დ) კარვისმაგვარ რკალს აქვს 4 მდებარეობა და კატალოგში უკავია 73-76 ადგილი.

ე) ტალღისმაგვარ რკალს აქვს 36 მდებარეობა და კატალოგში უკავია 77-112 ადგილი.

ვ) მარყუქისებურ ქარგას აქვს 43 მდებარეობა და კატალოგში უკავია 113-155 ადგილი.

ზ) ხვეულ ქარგას აქვს 63 მდებარეობა და კატალოგში უკავია 156-218 ადგილი.

დღემდე არსებული ათი თითის დაქტილოსკოპიური ფორმულის ათრიცხვიანი დაყოფის ნაცვლად, ჩვენგან შემუშავებული სისტემა შედგება 150 უკ-

რედისაგან და ერთი თითის ციფრობრივი მონაცემები შევა 15 უჯრედში. პირველ უჯრედში შევა ქარგის ერთ-ერთი საკოორდინაციო ციფრი 218 რიცხვიდან. მეორედან მეცხრე უჯრედის ჩათვლით შევა გამოსათვლელი გეომეტრიული ფორმით მიღებული რვა ციფრობრივი მონაცემი.


დგრილოვანი ქარგის შესაძლო დაზიანებები, რომლებიც თავისი განუმეორებლობის გამო შეიძლება კერძო ნიშნებადაც ჩაითვალოს, დაყოფილია სამ ჯგუფად: ხაზობრივი დაზიანება, ლაქისებური დაზიანება და რკალისებური დაზიანება. ამ სისტემაში დაზიანებები იზომება მილიმეტრებით.

მეთე უჯრედში შედის 4 ციფრი ქარგის მარცხენა მხარეს ოთხამდე ხაზობრივი დაზიანების აღნიშვნისათვის, მეთერთმეტეში კი ქარგის მარჯვენა მხარეს არსებული დაზიანებები. დაზიანების მარცხნიდან მარჯვნივ გადასვლი: შემთხვევაში, ზომის წინ იწერება ინდექსი „ა“, ასევე იწერება ეს ნიშანი ამ ეე დაზიანების გავრცელებასთან. მეორე მხარეს არსებული დაზიანების სიღრმის წინ.

ასეთივე წესით უნდა შეივსოს დანარჩენი უჯრედებიც.

სისხლის სამართლის დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის მოდერნიზაციის მიზნით, საჭიროა კომპიუტერში ინფორმაცია შეტანილი იყოს არა ათი თითის ათი ციფრით, არამედ ახალი, 150 უჯრედიანი ფორმით, რის შედეგადაც საჭიროების შემთხვევაში საშუალება გვექნება მრავალრიცხოვანი დამთხვევის გარეშე ერთი თითის ანაბეჭდით დავადგინოთ კონკრეტული პირი სარეგისტრაციო სისტემაში.

ჩვენი წინადადების პრაქტიკულად შემოწმების მიზნით დამნაშავეთა სისხლის სამართლის დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის სისტემიდან ამოვიღეთ 8 სხვადასხვა პირის ერთიდაიგივე ძირითადი და დამატებით ფორმულიანი ბარათები. ეს ბარათები დავამუშავეთ სწორედ იმ წესთ, რაზედაც ამ წერილში გვაქვს ლაპარაკი და აღმოჩნდა, რომ ახალი წესით შედგენილი დაქტილობარათები არაფრით გავდნენ ერთმანეთს.



# გენეტიკური „დაქტილოსკოპია“ სასამართლის სამსახურში

აპოლონ ჯინჯარაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის  
უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ბოლო ათწლეულში მოლექულური ბიოლოგიის, კერძოდ, გენური ინჟინერიის მეთოდებმა ფართო გამოყენება პოვეს მედიცინაში, ფარმაცოლოგიაში, ბიოტექნოლოგიაში და სოფლის მეურნეობაში. 1985 წელს, ინგლისში, ლესტერის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერმა ალექ ჟეფრიზმა თანამშრომლებთან ერთად მიიღო მოულოდნელი შედეგები, რომლებმაც კრიმინალისტურ ბიოლოგიაში რევოლუცია მოახდინეს.

როგორც ცნობილია, გენეტიკური ინფორმაცია ინახება დეზოქსირიბონუ-

კლენის მკავის (დნმ) მოლეკულებში. თავის მხრივ დნმ შედგება ოთხი სახის ნუკლეოტიდისაგან, რომლებიც გარკვეული სიგრძისა და შემადგენლობის თანმიმდევრობებს ქმნიან. ადამიანის გენომი  $3 \times 10^9$  წყვილი ნუკლეოტიდისაგან შედგება. გენომში გვხვდება როგორც უნიკალური (ერთი ასლით წარმოდგენილი), ასევე განმეორებადი თანმიმდევრობები. ჭეფრიზმა ადამიანის გენომიდან გამოყო ნუკლეოტიდთა რამდენიმე განმეორებადი თანმიმდევრობა. განმეორებადი თანმიმდევრობები, როგორც წესი, არაინფორმაციულია ანუ ცილას არ კოდირებენ. როგორც შემდგომ გამოირკვა, გამოყოფილი ფრაგმენტები ყველა ადამიანისათვის უნიკალური აღმოჩნდა. ამგვარად, მიღებულია რამდენიმე მოლეკულური ზონდი, რომლის საშუალებითაც შეიძლება მოხდეს ჰიროვნების ინდენტიფიცირება.

ორიოდე სიტყვით მეთოდოლოგიური მხარის შესახებ: ანალიზის ჩასატარებლად გამოდგება ადამიანის სხვადასხვა ქსოვილი, ეს იქნება წვეთი სისხლი, თმის ბოლქვები და სხვ. ქსოვილიდან საჭიროა გამოიყოს დნმ, დაიჭრას რესტრიქტაზებით (ფერმენტები, რომლებიც დნმ-ს ჰკრიან სპეციფიკურ ადგილებში). დაჭრილი დნმ-ის ფრაგმენტების ზომების მიხედვით დანაწილება ხდება ელექტროფორეზის კამერაში, აგაროზის გელში. ამის შემდეგ ფრაგმენტებს სპეციალურ ფილტრის ქაღალდზე აფიქსირებენ. რადიოაქტიური ფოსფორით მონიშნულ დნმ-ის ზონდს აჰიბრიდიზირებენ ასეთ ფილტრთან და რენტგენის ფირზე მიიღება ე. წ. ჰიბრიდიზაციული ზოლები. იმის გამო, რომ ერთი და იგივე ადამიანის სხვადასხვა ქსოვლებიდან გამოყოფილი დნმ ერთნაირ ჰიბრიდიზაციულ ზოლებს იძლევა, ექსპერტიზის დროს შეიძლება ერთმანეთს შედარდეს სხვადასხვა ქსოვილთა დნმ-ის პრეპარატები. თუ ჰიბრიდიზაციული ზოლები ერთმანეთს დაემთხვევა, ეს იმას ნიშნავს, რომ დნმ-ის პრეპარატები რომელსაც ვაანალიზებთ, ერთ ადამიანს ეკუთვნის. შემთხვევითი დამთხვევის ალბათობა პრაქტიკულად 0-ის ტოლია, ისევე, როგორც თითის ანაბეჭდების შემთხვევაში. მეთოდს სახელად ეწოდა „დნმ-ის ანაბეჭდების“ მეთოდი, სხვაწარად გენური, გენეტიკური ან გენომური „დაქტილოსკოპია“. ზემოთ მოყვანილი მეთოდის საშუალებით შეიძლება ჩატარდეს ოჯახური ანალიზიც ე. ი. ზუსტად დადგინდეს მამობა და დედობა. ამისათვის საჭიროა ბავშვისა და მშობლების სისხლიდან გამოყოფილი დნმ-ის ერთდროული ანალიზი. როგორც ცნობილია, შვილი გენეტიკური ინფორმაციის ნახევარს დედისგან იღებს, ნახევარს კი მამისგან. შესაბამისად ამ მეთოდით დეტექტირებული ჰიბრიდიზაციული ზოლების ნახევარი მამის ზოლებს უნდა დაემთხვეს, ნახევარი კი დედისას.

შარშან, ინგლისში მსოფლიოში პირველად მოეწყო სასამართლო პროცესი და დამნაშავეს, რომელმაც ძალადობა იხმარა ქალზე სასჯელი დნმ-ის ანალიზის მიხედვით მიუსაჯეს, მაშინ, როცა არ არსებობდა არავითარი სხვა საშუალება. ანალიზის შედეგად მიღებული ჰიბრიდიზაციული ზოლების შემთხვევითი დამთხვევის ალბათობა შეადგენდა ერთს ოთხ მილიონ ადამიანზე.

ახლანას ცნობილი გახდა, რომ M 13 ფაგის დნმ, ისევე, როგორც ჭეფრიზის ზონდები, შეიძლება გამოყენებულ იქნას გენეტიკური „დაქტილოსკოპიის“ მიზნებისათვის. ველური ფაგის დნმ-ში აღმოჩნდა თანმიმდევრობები, რომლებიც სხვა ნუკლეოტიდური შემადგენლობისაა, მაგრამ ისეთივე სტრუქტურა გააჩნია, როგორც ჭეფრიზის თანმიმდევრობებს.



ზემოთ მოყვანილ აღმოჩენებს თავისი მნიშვნელობით, თითის ანაბეჭდების მეთოდის შემდეგ, რომელიც 1901 წელს დაინერგა, წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მეთოდით შეიძლება დამნაშავეების წინასწარი „პასპორტიზირება“, შეიქმნას გენეტიკური „კარტოთეკა“ და ხელახალი დანაშაულის შემთხვევაში, დანაშაულის ადგილიდან აღებული მასალის ანალიზით მოხდეს პიროვნების იდენტიფიცირება.

ბრიტანეთის პრესის მონაცემებით ქვეყანაში უკვე ათამდე „გენეტიკური დაქტილოსკოპიის“ კაბინეტია. ერთი ანალიზი ღირს 110 ფუნტი სტერლინგი. დაგეგმილია ასეთი ლაბორატორიების მთელი ქსელის შექმნა. მეთოდი ფართოდ ინერგება ამერიკის შერეულ შტატებშიც. გენეტიკურ „დაქტილოსკოპიას“ დიდ როლს ანიჭებენ არა მარტო კრიმინალისტიებისათვის დახმარების საქმეში, არამედ, საერთოდ, დანაშაულობათა პროფილაქტიკის თვალსაზრისითაც.

---  
**დანიშვნა**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1988 წლის 26 მაისის დადგენილებით აღმაშენებელი იაკობის ძე სუხარავი დანიშნა სსრ კავშირის ვენერალურ პროკურორად

ა. ი. სუხარავი დაიბადა 1928 წელს, რუსია, სკკპ წევრი. 1942 წლიდან, უმაღლესი განათლებით, არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დიდი სამამულო ომის მონაწილე. საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ იმყოფებოდა კომკავშირულ სამუშაოზე, იყო ჯერ განყოფილების გამგის მოადგილე, ხოლო შემდეგ განყოფილების გამგე კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. ამის შემდეგ ის დიდხანს მუშაობდა

პასუხსაგებ თანამდებობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილებაში. 1970 წლიდან იყო სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო 1984 წლიდან რსფსრ იუსტიციის მინისტრი. 1988 წლის თებერვალში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ა. ი. სუხარავი დამატაცია სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა

აზ. თენგიზ ვასილის ძე ეპიტაშვილი მინისტრის მოადგილედ.

თ. ვ. ეპიტაშვილი დაიბადა 1935 წელს ქ. თბილისში, ქართველი, სკკპ წევრია 1958 წლიდან, განათლება უმაღლესი — 1974 წელს დაამთავრა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია. 1954-1957 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სამხედრო სსსწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1988 წლამდე იმყოფებოდა საბჭოთა არმიაში, კერძოდ კი სასაზღვრო

ღერო ჯარებში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო სასაზღვრო საგუშაგოთა უფროსი, ასეულის მეთაური, უფროსი მასწავლებელი სასაზღვრო ჯარების მეთაურთა კურსებზე, მუშაობდა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ა. შ. თ. ვ. ეპიტაშვილი დაჯილდოებულია ორი „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით და 9 მედალით.



# სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის შემხვედრი ხელშეკრულების თავისებურებანი ვიეტნამში

ზიონა ღანა გიუა,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ვიეტნამიდან

ვიეტნამში დღემდე არ არის ისეთი კანონი, რომელიც რეგულირებს გაუქმებებს სახელშეკრულებო ურთიერთობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის სფეროში. ეს ურთიერთობები მოწესრიგებულია მხოლოდ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ძირითადად კი ვსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებითა და სახელმწიფო სამეურნეო არბიტრაჟის ინსტრუქციებით<sup>1</sup>. თუმცა ამ აქტებში მოცემული და განსაზღვრული არ არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის შემხვედრი ხელშეკრულებები. რაც შეეხება სამეცნიერო შრომებს, რომლებიც ამ ხელშეკრულებას ეძღვნება უკანასკნელ წლებში მხოლოდ ორჯერ გამოიცა და ისინიც შემხვედრ ხელშეკრულებებს განიხილავენ მხოლოდ ეკონომიკური და არა იურიდიული თვალსაზრისით. შემხვედრმა ხელშეკრულებამ ამ შრომებში ვერ ჰპოვა თავისი ასახვა, ხოლო დასახელებული ნორმატიული აქტები იმის საშუალებას გვაძლევენ, რომ იგი შემდეგნაირად განვსაზღვროთ:

შემხვედრი ხელშეკრულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის შესახებ — ეს არის შეთანხმება (ძირითადად დაფუძნებული სახელმწიფო შესყიდვის გეგმებსა და სამრეწველო და პირადი მოხმარების საქონლის გაყიდვის შემხვედრ გეგმებზე), რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (მეურნეობა, კოლმეურნეობა, საწარმოო ბრიგადების გაერთიანება, საწარმოო ბრიგადა და ერთბიროვნული გლეხური მეურნეობა) კისრულობს აწარმოოს და მეორე მხარეს განსაზღვრულ ვადებში გადასცეს განსაკუთრებული რაოდენობისა და ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხოლო დამამზადებელი ვალდებულია დროულად მიიღოს მთელი ჩასაბარებელი პროდუქცია, აანაზღაუროს იგი დადგენილი სახელმწიფო ფასით და აღმოუჩინოს მეურნეობას დახმარება

<sup>1</sup> ძირითად აქტებს, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის სფეროში, წარმოადგენენ: ა) დებულება შემხვედრ სამეურნეო ხელშეკრულებაზე სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციებსა და გლეხებს, ტყემწარმოებლებს, თევზმწარმოებლებსა და მარილმწარმოებლებს შორის (მიღებულია ვსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1978 წლის 23 მარტს). ბ) ვსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 22 ნოემბრის № 487 დადგენილება „შემხვედრი სამეურნეო ხელშეკრულების შესრულების გაძლიერების შესახებ“. გ) სახელმწიფო სამეურნეო არბიტრაჟის 1986 წლის 13 ოქტომბრის № 41 ინსტრუქცია „შემხვედრი სამეურნეო ხელშეკრულების გამოყენების შესახებ ვსრ მინისტრთა საბჭოს № 31 დადგენილების შესრულების მიზნით“.

აენსის მიცემითა და დადგენილი ნორმების ფარგლებში პროდუქციის გაყიდვით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის შემხვედრ ხელშეკრულებას შემდეგი თავისებურებანი გააჩნია.

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის შემხვედრი ხელშეკრულება იურიდიული ფორმაა ორ ურთიერთდაკავშირებულ სასაქონლო-ფულად ურთიერთობას შორის.

ამ ხელშეკრულებით, სოფლის მეურნეობის მშრომელები ვალდებულებას იღებენ აწარმოონ და სახელმწიფო დამამზადებელს გადასცენ განსაზღვრული პროდუქცია, ხოლო სახელმწიფო დამამზადებელს უფლება აქვს მოსთხოვოს მათ ვალდებულების შესრულება. ასრულებენ რა ამ ვალდებულებას, გლეხებს თავის მხრივ უფლება აქვთ მოითხოვონ სახელმწიფო დამამზადებლისაგან წარმოებისა და ცხოვრებისათვის აუცილებელი განსაზღვრული რაოდენობის საქონლის მიყიდვა. მხარეთა ეს უფლებები და მოვალეობები, რომელთაც გააჩნიათ შემხვედრი ხასიათი, დაფიქსირებულია ერთ სამართლებრივ აქტში — შემხვედრ ხელშეკრულებაში. ამიტომ ამ ხელშეკრულების ძირითად თავისებურებას, რომელიც განასხვავებს მას ყველა სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან, ჩვენი აზრით წარმოადგენს ის, რომ ის არის ორი ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობის იურიდიული გამოხატულების სამართლებრივი ფორმა.

2. შემხვედრი ხელშეკრულების მხარეები ერთდროულად გვევლინებიან როგორც გამყიდველებად, ასევე მყიდველებად. მაგალითად, კოლმეურნეობა გვევლინება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამყიდველად, ხოლო როცა იგი იძულებულია იყიდოს სხვადასხვა საგნები, მაშინ — მყიდველია, ასევეა დამამზადებელიც, რომელიც პირველ სამართალურთიერთობაში შემსყიდველია, ხოლო მეორეში — გამყიდველი. მხარეთა ასეთ სამართლებრივ მდგომარეობას ჩვენ ხელშეკრულებაში ორმაგ სუბიექტურობას ვუწოდებთ.

3. შემხვედრი ხელშეკრულება შეიძლება იყოს გეგმიურიც და არაგეგმიურიც. გეგმიურია მაშინ, როდესაც ხელშეკრულება იდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვასა და საქონლის შემხვედრი გაყიდვის სახელმწიფო გეგმის საფუძველზე, მის შესასრულებლად კი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მთელი რიგი პირობები: შესასყიდი პროდუქციის რაოდენობა (სახეობების მიხედვით), გლეხებისათვის მისაყიდი საქონლის რაოდენობა, მათი გაყიდვის საერთო ვადები და ა. შ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის არაგეგმიური ხელშეკრულება იდება იმ მეურნეობებთან, რომლებშიც არ არის სახელმწიფო გეგმები, მაგრამ აქვთ სურვილი სახელმწიფოს მიყიდონ თავიანთი პროდუქცია დამზადების შემხვედრი საშუალებებით.

4. შემხვედრ ხელშეკრულებას გააჩნია ორი საგანი: ხელშეკრულების პირველ საგანს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ე. ი. გვარობითი ნიშნით განსაზღვრული ქონება. ეს პროდუქცია თავისი დანიშნულებით არაერთგვაროვანია. ზოგიერთი სახეობა წარმოადგენს მოხმარებისათვის გამოსადგე მზა პროდუქტს (ბრინჯი, ბოსტნეული, ხილი, კვერცხი, თევზი) და შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც საცალო ვაჭრობის საგანი. პროდუქციის სხვა სახეობები მოითხოვენ ნედლეულის გადაამუშავებას და არ ხდება

მათი რეალიზაცია ბაზარზე (ბამბა, შალი და სხვა). ეს განსხვავება მნიშვნელოვანია შემხვედრ ხელშეკრულებაში მხარეთა უფლება-მოვალეობის განსაზღვრის დროს.

ხელშეკრულების მეორე საგანია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და სასურსათო თუ სამრეწველო საქონელი, რომელიც აუცილებელია გლეხობის ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს საქონელი იყიდება განსაზღვრული ნორმით და ამიტომ იგი დამოკიდებულია მეურნეობის მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობაზე.

5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის შემხვედრი ხელშეკრულება იმით განსხვავდება სხვა სახის ხელშეკრულებებისაგან, რომ იგი განპირობებულია ერთი მხრივ, პროდუქციის დამზადებით და მეორე მხრივ — მისი წარმოების ორგანიზაციით. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს ორივე მხარის ურთიერთაქტიურობას და მისი არსებობა როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ყველაზე შესაფერისი სამართლებრივი ფორმა, განპირობებულია შესყიდვისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მჭიდრო კავშირით. ვასალებისა და წარმოების ურთიერთშეთანხმება შემხვედრ ხელშეკრულებაში წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ძირითად ნიშანს, რის მიხედვითაც ხდება სახელმწიფო შესყიდვის ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება.

6. შემხვედრი ხელშეკრულების ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ მასში გათვალისწინებულია დამამზადებლის ვალდებულება, რათა მან მეურნეობას გამოუყოს ფულადი ავანსი. ავანსი არის ორი სახის: ფულადი და ნატურალური. მისი დაფარვა ხდება ჩაბარებული პროდუქციის გაანგარიშების მიხედვით.

7. ხელშეკრულების მხარეებია კოლმეურნეობა, საწარმოო ბრიგადების გაერთიანება, და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა, ხოლო შემსყიდველისა და გამყიდველის როლში გვევლინებიან სპეციალური სახელმწიფო დამამზადებელი, გადამამუშავებელი საწარმოები და სავაჭრო საწარმოები.

სახელმწიფო მეურნეობები (საბჭოთა მეურნეობები) ვიეტნამში არ არის და სახალხო მეურნეობის პროდუქციის ჩამბარებლები თავიანთ პროდუქციას რეალიზაციას უკეთებენ მიწოდების ხელშეკრულებით. ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობა და სახელმწიფო მეურნეობა თავიანთ პროდუქციას რეალიზაციას უკეთებენ სხვადასხვა ხელშეკრულებების მეშვეობით, განპირობებულია დიდი განსხვავებით, რაც დღესაც ნათლად შეიმჩნევა ორგანიზაციაში მისი ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით.

8. სოფლის მეურნეობის სოციალისტური ხასიათი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის შემხვედრი ხელშეკრულების აუცილებელი პირობაა.

დღეს ვიეტნამში მოქმედებს სახელმწიფო სამეურნეო არბიტრაჟის 1986 წლის 3 ნოემბრის № 46 ინსტრუქცია — „სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების წესი ერთპიროვნულ მეურნეობებთან და მათგან გამომდინარე დავათა გადაწვევების შესახებ“. ამ ინსტრუქციით დამამზადებელი ორგანიზაციები თვითონ დებენ ხელშეკრულებებს ერთპიროვნულ მეურნეობებთან (პირებთან) სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში. გამომდინარე აქედან, სარგებლობენ სამეურნეო მოღვაწეობის უფლებით და სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის თავიანთი ანგარიში აქვთ გახსნილი სახბანკში. სამეურნეო ხელშეკრუ-

ლებად ითვლება აგრეთვე დავებსა და დარღვევებთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არბიტრაჟის ორგანოებში განიხილება.

ჩვენ არ ვეთანხმებით სახელმწიფო სამეურნეო არბიტრაჟის ამ მოსაზრებას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამეურნეო ხელშეკრულება, როგორც ცნობილია, იურიდიული კატეგორიაა. იგი წარმოშობილია გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლების მიხედვით და აქვს თავისი კონკრეტული შინაარსი. საკითხი, თუ რას წარმოადგენს სამეურნეო ხელშეკრულება, რა ნიშნები უნდა გააჩნდეს მას საბჭოთა კავშირში და რა ნიშნები სოციალისტურ ქვეყნებში, დღესაც სადავოა. ჩვენ ვეთანხმებით იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ სამეურნეო ხელშეკრულება წარმოადგენს ახალი ეკონომიკური ურთიერთობის სამართლებრივ ფორმას, მოიცავს საგვემო ორგანიზაციულ და ჭონებრივ ელემენტებს და წარმოიშობა მხოლოდ სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის საწარმო-სამეურნეო შედეგების გაცვლის, პროდუქციის დამზადების, სამუშაოთა წარმოების და დახმარების გაწევის მიზნით<sup>2</sup>.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ ერთპიროვნული გლახური მეურნეობების მონაწილეობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის შემხვედრ ხელშეკრულებაში, მეცნიერულად არასწორია.

ერთპიროვნულ მეურნეობასთან დადებულ შემხვედრ ხელშეკრულებას სახსამარბიტრაჟი თვლის სამეურნეო ხელშეკრულებად და ამიტომ დავები, რომლებიც ასეთი ხელშეკრულების დადების დროს წარმოიშობა განსახილველად არბიტრაჟის ორგანოებს გადაეცემათ. გასაგებია, რომ არბიტრაჟი საშუალებას იძლევა ოპერატიულად, სწრაფად და სწორად გადაწყდეს დავები მაგრამ ასეთი „კარგი“ გადაწყვეტილება ყოველმხრივ გამართლებული არ არის. სუბიექტთა შორის წარმოშობილი დავები, რომელთაც განსხვავებული ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძველი გააჩნიათ, უნდა გადაწყვიტონ მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა და არა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და საბჭოთა იურიდიული მეცნიერება გვიჩვენებს, რომ ასეთი სახის დავები უკეთესია გადაწყვიტოს სასამართლომ და არა არბიტრაჟმა.

სახალხო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ყველა ხელშეკრულება, დადებული სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელსა და დამამზადებელს შორის, არის შემხვედრი ხელშეკრულება, რადგან მასში როგორც გამონაკლისი, გათვალისწინებულია დამამზადებლის მოვალეობა საქონლის შემხვედრ გაყიდვაზე. ამავე დროს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შესყიდვის ყველა შემხვედრი ხელშეკრულება სამეურნეო არ არის, რადგან ის არ პასუხობს სხვა აუცილებელ მოთხოვნებს. შემხვედრი ხელშეკრულება, რომელიც სოციალისტური მეურნეობების მონაწილეობით იწყება (საწარმოო ბრიგადები, ერთპი-

<sup>2</sup> Советское гражданское право, т. I. М., Юридическая литература. 1979. ст. 459.

როვნული გლეხური მეურნეობა). რჩება სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებად.

ჩვენ გამართლებულად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასეთი შეხედულება სახალხო-სამეურნეო პროდუქციის შემხვედრ ხელშეკრულებაზე. იგი იმის საფუძველს გვაძლევს, რომ დავუბრუნდეთ ადრე არსებულ სასამართლო პრაქტიკას და დამკვიდრებულ მეცნიერულ კონცეფციას და დავები, რომლებიც გამომდინარეობენ სამოქალაქო ხელშეკრულებიდან (არასოციალისტური ფორმის მეურნეობათა მონაწილეობით) დაექვემდებაროს სასამართლო ორგანოთა განხილვას, ხოლო დავები, რომლებიც წარმოიშობა სამეურნეო ხელშეკრულების დადების და შესრულების პროცესში არბიტრაჟის ორგანოებს.



## თეორიის საკითხავი

# მტკიცების ფარგლების საკანონმდებლო რეგლამენტაციისათვის

მიხეილ ქურდაძე,

ქ. თბილისის პროკურორის პირველი მოადგილე

სასამართლო მტკიცებულებების თეორიის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია მტკიცების ფარგლების სწორად ჩამოყალიბება და მისი რეალიზაცია. მიუხედავად ამისა, საკავშირო საკოორდინაციო ბიუროს მიერ გამოცემულ მასალებში, ცნობებში და გადაწყვეტილებებში (სწორედ ამ მიმართებით წარმართავს ბიურო მუშაობას) არსად არ არის გათვალისწინებული მტკიცების ფარგლების პრობლემასთან დაკავშირებული კვლევის ჩატარება<sup>1</sup>.

ასეთივე მდგომარეობაა სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში მტკიცების ფარგლების პრობლემის საკანონმდებლო რეგლამენტაციასთან დაკავშირებითაც. ალბათ ამის შედეგია ის გარემოება, რომ საკანონმდებლო შემოქმედებითი მუშაობის უზომოდ გატაცების დროსაც კი (ჩვენი რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები მათი მიღების დღიდან სანახევროდ შეიცვალა) მტკიცების ფარგლების რეგლამენტაციის თვალსაზრისით კანონმდებლობას რაიმე ცვლილება არ განუცდია.

შედარებით უფრო სრულყოფილად არის რეგლამენტირებული კანონმდებლობისაგან მტკიცების საგნისა და მტკიცების პროცესის ცნებები.

<sup>1</sup> Актуальные направления научных исследований в области уголовного судопроизводства и судоустройства. Координационное бюро по проблемам уголовного процесса и судоустройства, М., 1985.

ეს იმითაც აიხსნება, რომ მტკიცების საგანი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი)<sup>2</sup>, როგორც პროცესუალური ინსტიტუტი უმრავლეს შემთხვევაში დაფუძნებულია მხოლოდ სისხლის სამართლის დებულებაზე.

მტკიცების პროცესთან დაკავშირებით, მტკიცების საგანი ხსნის ქმედობის იმ არსებით მომენტებს, რომლებსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის ესა თუ ის მუხლი და ამით იგი ერთგვარად ემსახურება კიდევ სისხლის სამართლებრივ აკრძალვას. ეს იმას ნიშნავს, რომ გარემოებები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე (მტკიცების საგანი) უფრო ხელშესახები და ადვილი ჩამოსაყალიბებელია სამართლებრივი ფორმით.

უფრო რთულია განვსაზღვროთ კანონში ამ გარემოებათა შემეცნების პრაქტიკული ფარგლები, მათ შესახებ ნამდვილი უტყუარი ცოდნის მიღწევისა და დადასტურების მოდელი, რადგან შემეცნების პროცესი თეორიულად დაუსრულებელია. „შემეცნება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არის მუდმივი, დაუსრულებელი მიახლოება ობიექტთან“<sup>3</sup>.

მტკიცების ფარგლების განსაზღვრის ცდას თეორიული აზროვნებით გადაყვარათ ჭეშმარიტების ცნების სამყაროში, მისი მიღწევის შესაძლებლობებთან, აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების ურთიერთობებში, მტკიცების პროცესში ამ კატეგორიათა პრაქტიკული რეალიზაციის საკითხებთან.

ამ საკითხებიდან თითოეული ცალ-ცალკეა დამოუკიდებელი კვლევის საგანი, მაგრამ ისინი ახლა იმაში გამოვიყენეთ, რათა გავრკვეულიყავით იმ ძირითად მიზეზებში, რომელთა არსებობამაც განაპირობა მტკიცების ფარგლების საკანონმდებლო შეზღუდულობა. აქვე ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კანონმდებელს თავისი შესაძლებლობანი მტკიცების ფარგლების პროცესუალურ რეგლამენტაციაში მთლიანად არ ამოუწურავს და შესაძლებელია იგი უფრო დაინვეწოს სამართალწარმოების ყოველდღიურ საქმიანობაში.

მტკიცების ფარგლების საკანონმდებლო დადგენის დროს აუცილებლად უნდა მიეთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც ზოგადი კრიტერიუმების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევიან, განსაზღვრავენ და ორიენტაციას აძლევენ მომკვლევ ორგანოს, გამოძიებელს, პროკურორს და სასამართლოს არსებულ მტკიცებულებათა საკმარისობის შესახებ, ითვალისწინებენ როგორც ძირეულ ცალკეულ გარემოებათა, ისე გამოსაკვლევ შემთხვევათა არსებით მომენტებს სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მტკიცების ფარგლები ფორმირებულია როგორც „საკმარისი საფუძვლები“. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით (მე-80 მუხლი) კანონმდებელი ითხოვს „საკმაო საფუძვლის არსებობას“; სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დროს კი (108-ე მუხლი) საქმე შეიძლება აღიძრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოიპოვება „საკმაო მონაცემები“, რომლებიც დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებენ; ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისა (140-ე მუხლი) და ჩხრეკის წარმოებისათვის (166-ე მუხლი), საჭიროა „საკმაო

<sup>2</sup> აქაც და შემდგომ, როცა მუხლს მიუთითებთ, მხედველობაში გვაქვს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

<sup>3</sup> Ленин В. И. Философские тетради. М., 1947. с. 168.

მტკიცებებისა“ და „საკმაო საფუძვლის“ არსებობა. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრებისას ბრალდებულისა და სხვა პირებისათვის (201-ე და 202-ე მუხლები) კანონმდებელი აწესებს „შეკრებილ მტკიცებულებების საკმარისობას“, ხოლო საბრალდებო დასკვნით პროკურორთან შესული საქმის დროს (213-ე და 214-ე მუხლები) ლაპარაკია „წაყენებული ბრალდების დასაბუთებლობასა“ და იმაზე, რომ „არსებობს საფუძველი“ საქმის სასამართლოში გადასაგზავნად. ასევე წყვეტს კანონმდებელი სისხლის სამართლის საქმის სასამართლო სხდომისათვის მომზადების საკითხს (213-ე მუხლი), სადაც მითითებულია ბრალდებულის სამართალში მისაცემად „საკმაო საფუძვლის არსებობაზე“.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლებში ტერმინები მართლაც დაუსაბუთებელი და არეულია. საკმაო საფუძველი, საკმაო მონაცემები, საკმარისი საფუძველი, საკმარისი მტკიცებები, საკმაო საფუძვლის არსებობა და ა. შ. ეს კი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კოდექსი დახვეწილი და სრულყოფილია. ვფიქრობთ, ტერმინთა ასეთი მრავალსახეობა საკანონმდებლო ტექნიკის დაბალ დონეს უფრო მიეკუთვნება, ვიდრე სხვა რამეს. ეს მით უფრო, რომ ყველა ამ ტერმინთა მტკიცებების სინონიმებად მიჩნევა არაფრით არ არის გამართლებული.

ჩვენი კოდექსის შემდგომი სრულყოფის მიზნით, ალბათ, საჭირო იქნება კანონმდებელი მოერიდოს ტერმინთა ამგვარ სიუხვეს, დააზუსტოს მისი მნიშვნელობა, იხმაროს მხოლოდ „მტკიცებები“ ან მისი სინონიმი, როგორც ეს 61-ე მუხლშია „მონაცემები“. გვინდა აქვე ვთქვათ, რომ ჩვენი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მხოლოდ 121-ე მუხლია ამ მხრივ დახვეწილი. მასში ზუსტად და ამომწურავად არის ჩამოყალიბებული ის გარემოებანი, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დასაშვებია ეჭვმიტანილი პირის დაკავება.

ამ ტერმინებისა და მათი ცნებების დახვეწა, დაკონკრეტება და შეძლებისდაგვარად მათი შემცველი გარემოებების ამომწურავად ჩამოთვლა-ჩამოყალიბება უნდა იყოს ობიექტური ჰერმეტიკის დადგენის რეალური გზა და ადამიანისათვის მინიჭებული კონსტიტუციური უფლებების განხორციელების გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში მომკვლევნი, გამოძიებელი პროკურორი და სასამართლო თვითონ ხდება კანონმდებელი და განმსჯელი იმისა, თუ რა მტკიცება არის საკმარისი პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, ჩხრეკის ჩასატარებლად, გამოძიების დასამთავრებლად, საბრალდებო დასკვნის შესადგენად და ბოლოს განაჩენის დასადგენად. ასეთ პირობებში ძალიან დიდი როლი ენიჭება არსებულ მტკიცებულებათა შეფასების სუბიექტურ ფაქტორს, რის შედეგადაც შეიძლება სულ ადვილად დაირღვეს, გამრუდდეს სოციალისტური კანონიერება, რაც შემდგომში ერთერთი ძირითადი საფუძველი ხდება ზედამხედველობის წესით განაჩენების გაუქმებისა და საქმეთა წარმოებით შეწყვეტისათვის.

პირდაპირ თუ არაპირდაპირ დასაბუთებულება-დაუსაბუთებლობაზე მითითებულია საპროცესო კოდექსის 303-ე, 310-ე და 317-ე მუხლებში, უფრო ზოგადად კი იმ მუხლებში, რომლებიც არეგულირებენ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვას ზედამხედველობის წესით (382-393-მუხლები).



მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ ჩამოთვლის იმ ნიშანთვისებათა ერთობლიობას, რომელთა არსებობა აუცილებელია მტკიცების საკმარისობის სწორად განსაზღვრისათვის.

სამწუხაროდ, კომენტარების ავტორები ყველგან დუმილს ამჯობინებენ და არსად არაფერს ამბობენ ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ.

რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სამეცნიერო პრაქტიკული კომენტარების ერთ-ერთი ყველაზე პირველი გამოცემა, მე-20 მუხლის შესახებ, რომელშიც მოცემულია საქმის გარემოებათა ყოველმხრივი სრული და ობიექტური გამოკვლევა (ჩვენი კოდექსის მე-18 მუხლი), ასე წერს: ეს არის „ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობის გამოყენება, რომლებიც ასაბუთებენ ერთადერთ სწორ დასკვნებს და ადგილს არ ტოვებენ ეჭვისა და სათუოვობისათვის“<sup>4</sup>. ასეთი ახსნა ბუნდოვანია და იგი არ გამოადგებათ გამომძიებელსა და სასამართლოს, რომ გაერკვნენ, თუ როდის აღწევენ ისინი მტკიცებულებათა იმ ერთობლიობას, რის შემდეგ შესაძლებლობა მიეცემათ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, სადაც ყოველგვარი ალბათობა გამორიცხული იქნება.

საქმის აღძვრის (108-ე მუხლი) საბაბისა და საფუძვლის სათანადო მეცნიერულ განმარტებებთან დაკავშირებით, ამავე კომენტარების ავტორთა აზრით, საკმაო მონაცემების ნიშნები უნდა აიხსნას ორი ასპექტით: მათი მოცულობითა და ხასიათით. თავიანთი ხასიათის მიხედვით არსებული მონაცემები შესაძლებელია საკმარისი იყოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის, „თუ ისინი მოწმობენ გარკვეულ სისხლის სამართლებრივ დასჯად მოქმედებას ან უმოქმედობას“. რაც შეეხება მონაცემებს, ისინი საკმარისად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, თუ „გვაძლევენ ობიექტურ საფუძველს ვივარაუდოთ სისხლის სამართლებრივი დასჯადი მოქმედების ან უმოქმედობის შესახებ“.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ „მეცნიერულმა“ განმარტებამ სსსკ-ის სიტყვადის ნაცვლად მასში არეგ-დარევა უფრო შეიტანა. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში ერთი უცნობი ცნება (საკმაო მონაცემები) ახსნილია ასეთივე მეორე უცნობი და გაუგებარი ცნებით (ობიექტური საფუძველები)<sup>5</sup>.

კომენტარებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს საკმაო მტკიცებულებათა არსებობა, „რომლებიც იძლევიან საფუძველს ბრალდების წარდგენისათვის“ (რსფსრ სსსკ 143-ე მუხლი, საქართველოს სსსკ 140-ე მუხლი), ან როგორ უნდა გავიგოთ ტერმინი „საკმაო მტკიცებულებანი“ და რა უნდა განვუმარტოთ წინასწარი გამოძიების დამთავრებისას ბრალდებულსა და სხვა პირებს საქმის მასალებს წარდგენის დროს „საკმაო მტკიცებულებათა“ შესახებ.

ამ საკითხებზე არავითარ განმარტებებს არ გვაძლევენ აგრეთვე სხვა კომენტარებიც.

სსრ კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ კონკრეტულ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შეკრებილ

<sup>4</sup> Научно-практический комментарий к уголовно-процессуальному кодексу РСФСР, М., 1963, с. 86.

<sup>5</sup> მითითებულ კომენტარები, გვ. 273-277.

მტკიცებულებათა არასრულყოფილებასა და მათ არასწორ ანალიზს. ამასთან, სასამართლოს პლენუმის დადგენილებებში მითითებული არ არის სათანადო კრიტერიუმები, რომელთა არსებობაც შესაძლებლობას მოგვცემდა სწორად განგვესაზღვრა საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა საკმარისობა-არასაკმარისობის საკითხი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დადგენილებაში „სასამართლოს განაჩენის შესახებ“ მითითებულია: „გამამტყუნებელი განაჩენი დადგენილი უნდა იყოს უტყუარ (სარწმუნო) მტკიცებულებებზე, როდესაც საქმეზე გამორკვეულია ყველა შესაძლებელი ვერსია, არსებული წინააღმდეგობები კი ახსნილი და შეფასებული“. როგორც ვხედავთ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოც არ განსაზღვრავს მტკიცების ფარგლებს და იძლევა მხოლოდ ზოგად მითითებებს, რაც ცხადია, ხელს ვერ შეუწყობს საქმეზე კეშმარიტების დადგენას.

ასევე სამწუხაროა, რომ მტკიცების ფარგლების მეცნიერულმა დამუშავებამ სათანადო გამოხატულება ვერ პოვა კრიმინალისტიკის თეორიაშიც.

სწორედ ეს არის იმის საფუძველი, რომ გამომძიებელი თავისი შეხედულებით წყვეტს „შეკრებილი მტკიცებულებების საკმარისობის“ საკითხს (201ე-და 202-ე მუხლები) და ეყრდნობა არა კანონის ზუსტ მითითებებს, არა სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის მეცნიერულ ახსნას, არამედ მხოლოდ საკუთარ პროფესიონალურ და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, საღი აზროვნების უნარს. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ის შეცდომები და დარღვევები, რაც ხშირად ახლავს წინასწარ გამოძიებას, შემდგომში სასამართლო შეცდომების ძირითად მიზეზებად რომ იქცევიან ხოლმე. ჩვენს მიერ შესწავლილი სასამართლოებიდან დაბრუნებული 100 საქმიდან 81 საქმის დაბრუნებას საფუძვლად დაედო მტკიცების ფარგლების არასწორი დადგენა, უფრო ზუსტად, გამომძიებლის მიერ „საკმარისად მიჩნეული მტკიცებები“ არ აღმოჩნდა საკმარისი პირის ბრალეულობის გადასაწყვეტად.

შესწავლილ საქმეთა ანალიზმა ცხადყო, რომ გამომძიებლები ვერ ერკვევიან მტკიცების საგნისა და ფარგლების შინაარსში. დაბრუნებულ საქმეთა 25 პროცენტი გამოწვეულია ბრალდებულის მიერ წამოყენებული ალიბის არასრულყოფილად შემოწმების გამო. ამის მიუხედავად, არც სასამართლოს განჩინებაში და არც შემდგომ, დამატებითი გამოძიების ჩატარების დროს, გამოკვეთილი არ არის, რომ ალიბი სხვადასხვა სახით შედის როგორც მტკიცების საგანში, ისე მის ფარგლებში. (ალიბი ნაწარმოებია მტკიცების საგნიდან, რამდენადაც კანონი ითხოვს დანაშაულის ჩადენის დროისა და ადგილის დადგენას, ხოლო შემდგომში, როდესაც დგება საკითხი ალიბის არასრულყოფილად შემოწმებაზე, იგი მტკიცების ფარგლების სფეროში ექცევა).

ამიტომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სამართალწარმოების დროს ცნება — მიზანი, შედის მტკიცების საგნის დახასიათებაში, ხოლო ცნება — საშუალება, ეკუთვნის ამ მტკიცების ფარგლებს.

თუ მტკიცების ფარგლების ცნება დაკონკრეტებული არ არის, იგი ხელს უწყობს იმას, რომ სასამართლოებმა თავი აარიდონ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ხოლო წინასწარ გამოძიებაში გაიზარდოს არასაკმარისი მტკიცებებით შეწყვეტილი საქმეების რაოდენობა.

იმის მიუხედავად, რომ თეორიასა და პრაქტიკაში დავას არ იწვევს უდანაშა-

ულობის პრეზუმპცია, ცხოვრებაში მაინც ვერ დაინერგა მისი ერთი ყველაზე ნიშანდობლივი პრინციპი — „ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს“. სამწუხაროდ, ამას იმანაც ვერ უშველა, რომ სსრკავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა არაერთხელ მიუთითა მისი დაცვის აუცილებლობაზე. ან რა საჭიროა განმარტებები და მითითებები, როდესაც წინასწარი გამოძიების დამთავრებასთან დაკავშირებით, საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მეორე ნაწილის მეორე პუნქტით და გამამართლებელი განაჩენის დადგენის დროს 310-ე მუხლის მეორე ნაწილის მესამე პუნქტით, თითქმის ყველაფერია გათვალისწინებული. პირველ შემთხვევაში საუბარია საქმის შეწყვეტაზე იმ დროს, როდესაც „არ დადასტურდა (დამტკიცდა) ბრალდებულის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, თუ ამასთან ამოწურულია დამატებითი მტკიცებების შეკრების შესაძლებლობანი“, ხოლო გამამართლებელ განაჩენთან დაკავშირებით მითითებულია, რომ ასეთი განაჩენი გამოტანილი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, „როდესაც არ არის დამტკიცებული განსასჯელის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“. სამწუხაროდ, კანონის ამ მოთხოვნას ცალკეულ შემთხვევაში უგულვებელყოფენ, როგორც სასამართლოები, ისე გამოძიებლები.

ასეთი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ხელს უშლის მტკიცების ფარგლების თეორიულ და პრაქტიკულ დამუშავებას.

საქმე იმაშია, რომ დღემდე კანონმდებელმა ვერ განსაზღვრა რა საკმარის მტკიცებულებათა წრე, მისი დადგენის მიღწევის საზღვრები, „საკმარისი მტკიცებულებების“, „საკმაო საფუძვლის“, „საკმარისი მონაცემებისა“ და სხვა ამგვარი ცნებების ხარჯზე ყველაფერი გადასაწყვეტად დაუტოვა გამოძიებას და სასამართლოს.

ამიტომ მთლიანად ვიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპმა თავისი გამოხატულება ჰპოვოს მტკიცებულებათა ცნების განსაზღვრისას. ეს კი ალბათ საბოლოოდ მოშლის გამოძიებისა და სასამართლოს ყოყმანს (გაუტკვევლობას) ამ პრინციპის აუცილებლად და თამამად გამოყენებაზე. მოწმის ჩვენების მსგავსად კი, საჭიროა კანონმდებელმა გაითვალისწინოს ისიც, რომ მტკიცებულებად არ მიიღოს ეჭვიმტანილის, ბრალდებულის ან სხვა პირთა ჩვენება, თუ ეს პირი ვერ უთითებს იმ წყაროს, საიდანაც მისთვის ეს მონაცემები გახდა ცნობილი. ალბათ საჭირო იქნება 61-ე მუხლს, რომლითაც განსაზღვრულია მტკიცებულებები, დაემატოს მესამე ნაწილი: „მტკიცებულებად არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ფაქტიური მონაცემები, რომლებიც გამოძიების დამთავრების დროს საეჭვოა ბრალდების დასამტკიცებლად“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 და 310-ე მუხლებში კი გარკვევით უნდა აისახოს უდანაშაულობის პრეზუმპციის მოთხოვნა: „ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“. საკანონმდებლო გზით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპის აღიარება თავიდან აგვაცილებს ბევრ გაუგებრობას.

მტკიცების ხასიათის ასეთი კატეგორიული განსაზღვრება მრავალ დაბრკოლებას ააცილებს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს. პრობლემა კი ისაა, რომ იგი სათანადოდ არ არის რეგლამენტირებული საკანონმდებლო გზით და არ ვიცით, როგორ განვსაზღვროთ პრაქტიკულად შემეცნების ფარგ-



ლები. უფრო მეტიც, ძნელია სრულყოფილად განისაზღვროს ნიშნები, რომლებიც ზუსტად მიუთითებენ მტკიცების ფარგლების მიღწევის შესაძლებლობებს, ამიტომ, საჭიროა დამუშავდეს ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ და ორიენტაციას მისცემენ გამომძიებელს, პროკურორსა და სამართლოს სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.

მტკიცების ფარგლების სრულყოფილ საკანონმდებლო განსაზღვრამდე, საჭიროა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგად დებულებებში აისახოს ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას სათანადო ორგანოები ვალდებული არიან დადგინონ ჭეშმარიტება, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების მიღება.

მტკიცების ფარგლების პროცესუალურ-სამართლებრივი ინსტიტუტი რომ მოწესრიგდეს, ამისათვის, საჭიროა სათანადო ცვლილებები შევიდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

ჩვენის აზრით მე-200 მუხლის პირველი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„წინასწარი გამოძიების დამთავრება —

წინასწარი გამოძიება დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო შეკარებილი მტკიცებანი საკმარისად საბრალდებო დასკვნის შედგენისათვის ან დადგენილიების გამოსატანად საქმის სასამართლოში გადაგზავნის შესახებ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხის განსახილველად ან დადგენილების გამოტანით საქმის შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიებათა გამოსაყენებლად, — თუ საქმეზე ყველა ფაქტიური გარემოებანი დადგენილია ექვმიუტანლად, საიშედოდ, უცვლელად, ყოველმხრივ და სრულყოფილად. ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით არსებული ყოველგვარი საეჭვო მტკიცებულებანი უნდა გადაყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

ჩვენი კოდექსის პირველი კარის მეექვსე თავში, რომელშიც მოცემულია მტკიცებულებები, საჭიროა შევიდეს ახალი 63<sup>1</sup> და 63<sup>2</sup> მუხლები, რომლებშიც აისახება მტკიცების ფარგლების თავისებურებანი.

— 63<sup>1</sup>-ე მუხლი

მტკიცების ფარგლები —

გამომძიების პროცესში მტკიცებულებათა მოპოვება გრძელდება საქმის ფაქტიურ გარემოებათა ყოველმხრივი, სრული შეგროვება-დამაგრებისა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის საკმარის მტკიცებულებათა დადგენამდე“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მტკიცების ფარგლებთან დაკავშირებით არსებულ ტერმინთა სახესხვაობის სათანადო მოწესრიგებისა და გამომძიებლის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებათა ერთნაირი საფუძვლის არსებობისათვის, საჭიროა სათანადო მუხლი (63<sup>2</sup>-ე მუხლის სახით), რომლითაც მოწესრიგდება გამომძიებლის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებათა ზოგადი წესი.

„მუხლი 63<sup>2</sup>-ე

გადაწყვეტილების მიღება გამომძიებლის მიერ —

გამომძიებლის მიერ გადაწყვეტილების მიღება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, დაკავების, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, პირის ბრალდებუ-

ლის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, გამოძიების დამთავრების, საბრალდებო დასკვნის შედგენის, საქმის წარმოებით შეწყვეტის ან სხვაგვარო ხასიათის არსებითი გადაწყვეტილებების მიღება შეიძლება მხოლოდ კანონით დადგენილი წესის არსებობისას და მხოლოდ საკმარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში“.

ექვევარეშეა, რომ მტკიცების ფარგლების სათანადო საკანონმდებლო რეგლამენტაცია ხელს შეუწყობს საქმეზე ობიექტური კვლევების დადგენისა და ცხოვრებაში მართლმსაჯულების სწორად განხორციელების საქმეს.



# სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ახალი დებულება

ჯ. სურმაზა,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის  
სამმართველოს უფროსი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულმა დადგენილებამ „სსრ კავშირში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებათა შესახებ“, მნიშვნელოვანწილად უცვალა სახე მანამდე არსებულ დებულებას. ამასთან ძირეულად შეიცვალა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოთა ფუნქციონალური შინაარსი და სტრუქტურა. კერძოდ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი თანამდებობრივად არის ამავე დროს სსრ კავშირის სახანძრო ზედამხედველობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი, ხოლო მისი მოადგილეები — სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილეები სახანძრო ზედამხედველობის დარგში.

მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების სახანძრო დაცვის სამმართველოების უფროსები თანამდებობრივად არიან ერთდროულად მოკავშირე რესპუბლიკების სახანძრო ზედამხედველობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები, მათი მოადგილეები კი — მოკავშირე რესპუბლიკების მთავარი სახელმწიფო ინსპექტორების მოადგილეები სახანძრო ზედამხედველობის დარგში.

ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების, შინაგან საქმეთა საოლქო სამმართველოების სახანძრო დაცვის სამმართველოების, განყოფილებების, ქვეგანყოფილებების უფროსები, რომლებიც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებიან, არიან სახანძრო ზედამხედველობის უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები, ხოლო მათი მოადგილეები თანამდებობრივად ასევე ერთდროულად არიან სახანძრო ზედამხედველობის უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები.

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის სხვა ორგანოების ხელმძღვა-

ნელები, მათი მოადგილეები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექტორები, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ყველა ორგანოთა სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსის მოადგილეები, უფროსი ინჟინერ-ინსპექტორები, უფროსი ინჟინრები, უფროსი ინსპექტორები, ინჟინრები და ინსპექტორები, რომლებიც სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე ახორციელებენ კონტროლს, თანამდებობრივად არიან ერთდროულად სახანძრო ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორები.

ახალი დებულების ყველაზე განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოთა მუშაებს მიენიჭათ სახანძრო ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორების სტატუსი, რაც, თავის მხრივ, იძენს ცეცხლისაგან სოციალისტური და სახალხო დოვლათის განადგურების წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოებრივი ამოცანის მნიშვნელობას, ამაღლებს პროფილაქტიკური ხანძარსაწინააღმდეგო მუშაობის როლსა და დანიშნულებას პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ საქმეთა დონემდე.

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ახალი დებულება შეიცავს სახალხო მეურნეობის გარდაქმნასთან დაკავშირებულ საკითხებს. მაგალითად, თუ დებულების ძველ ტექსტში ნათქვამია, რომ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოები ახორციელებენ კონტროლს სამინისტროების, უწყებების, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელი მუშაკებისა და მოქალაქეთა მიერ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დამტკიცებული წესებისა და ნორმების დაცვაზე, რომლებიც მიმართულია ხანძრის თავიდან აცილებისაკენ, ამჟამად მოქმედ დებულებაში ეს ადგილი ასე იკითხება: „წესების, ნორმებისა და სტანდარტების...“ ე. ი. აქცენტი გადატანილია სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე.

დებულების ამავე ქვეპუნქტში შეტანილია დამატება, რომ „სახელმწიფო სახანძრო ორგანოებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს, ობიექტების აღმინისტრაციის წარმომადგენელთა თანდასწრებით ადგილზე შეამოწმონ სახანძრო უსაფრთხოების წესების შესრულება, ხანძარქრობის საშუალებების, სახანძრო სიგნალიზაციისა და კავშირის გამართულობა“. დამატებამ წერტილი დაუსვა საკითხს ღამის უეცარი და სხვა სახის შემოწმებების უფლებამოსილების შესახებ ობიექტებზე სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის დასადგენად.

გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ახალ ქვეპუნქტს — „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მთავარ სამმართველოს, მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების სახანძრო დაცვის სამმართველოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში შევიდნენ წინადადებებით დაქვემდებარებულ ობიექტებზე სახანძრო უსაფრთხოების წესების, ნორმებისა და სტანდარტების დარღვევათა აღმოსაფხვრელად, მოითხოვონ ინფორმაცია აღნიშნული წინადადებების სარეალიზაციოდ გატარებული ზომების შესახებ“. საქმე ისაა, რომ წლების მანძილზე მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გამოიმუშავეს ისეთი მოქმედების ტაქტიკა, როდესაც ობიექტებზე ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიღებული იყო, მაგრამ წლობით ავიწყდებოდათ გატარებული ზომების

შესახებ შეტყობინება, რითაც უბიძგებდნენ სისტემაში ხანძარსაწინააღმდეგო საკითხების გადაწყვეტაში ხელმძღვანელი ორგანოს მხრივ სრული უკონტროლობის წარმოქმნას, ზოგიერთ შემთხვევებში კი დანაშაულებრივ — გულგრილ დამოკიდებულების გამოვლენას.

ამჟამად, სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევის შესახებ საქმეებს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების სახელით — იხილავენ სახანძრო უსაფრთხოების მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები და მათი მოადგილეები, სახანძრო ზედამხედველობის უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები და სახელმწიფო ინსპექტორები. ახლა უკვე დასახელებული თანამდებობის პირებს უფლება აქვთ ხელმძღვანელ პირებსა და მოქალაქეებს დააკისრონ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გაფრთხილების ან სხვადასხვა თანხის ჯარიმის გამოყენებით.

სსრ კავშირის სახანძრო ზედამხედველობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი, მისი მოადგილეები, მოკავშირე რესპუბლიკების სახანძრო ზედამხედველობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები და მათი მოადგილეები ძალმოსილნი არიან დააჯარიმონ თანამდებობის პირები 100 მანეთამდე, ხოლო მოქალაქენი — 50 მანეთამდე.

სახანძრო უსაფრთხოების უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები კომპეტენტური არიან ადმინისტრაციული სასჯელი დაადონ თანამდებობის პირებს 80 მანეთამდე ჯარიმით, მოქალაქეებს კი 25 მანეთამდე თანხის ოდენობით.

სახანძრო ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორებს ნება ეძლევათ ადმინისტრაციული წესით დააჯარიმონ თანამდებობის პირები 40 მანეთამდე, ხოლო მოქალაქენი 10 მანეთამდე თანხის ფარგლებში.

თანამდებობის პირებზე ადმინისტრაციული სასჯელის ზედა ზღუდის ზრდა 50 მანეთიდან 100 მანეთამდე, ხოლო მოქალაქეებზე — 10 მანეთიდან 50 მანეთამდე გარკვეულად აამაღლებს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვისადმი ყველა მოქალაქის პასუხისმგებლობას, ამიტომ ეს ღონისძიება სრულად უნდა განხორციელდეს იქ, სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე არ სრულდება სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოთა მოთხოვნები, ადგილი აქვს უყაირათობასა და უმოქმედობას სახალხო მეურნეობასა და საცხოვრებელ სექტორში სათანადო ხანძარსაწინააღმდეგო წესრიგის უზრუნველსაყოფად.

ახლადმიღებული დებულების თანახმად, სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში, რაც უშუალოდ ქმნის ხანძრის წარმოშობის საშიშროებას, სსრკ სახანძრო ზედამხედველობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი და მისი მოადგილეები, მოკავშირე რესპუბლიკების მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები და მათი მოადგილეები, უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები უფლებამოსილნი არიან ნაწილობრივ ან მთლიანად შეაჩერონ საწარმოს მუშაობა (ცალკე წარმოება), აუკრძალონ შენობის ნაგებობის ექსპლუატაცია, ხოლო სახანძრო უსაფრთხოების სახელმწიფო ინსპექტორებს უფლება აქვთ აუკრძალონ ცალკე სათავსოს ექსპლუატაცია, შეაჩერონ საწარმოო უბნის ან აგრეგატის მუშაობა, თუკი ამას თან არ ახლავს საწარმოს (ცალკე წარმოების) ფუნქციონირების მთლიანად შეწყვეტა. აღმჩერონ საწარმოო უბნის ან აგრეგატის მუშაობა, თუკი ამას თან არ ახლავს სა-

და ახსოვდეთ იმ სამეურნეო ზელმძღვანელებს, ვინც წლიდან წლამდე „ივიწყებს“ სახალხო მეურნეობის ობიექტზე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, უსულგულოდ ეპყრობა ცეცხლისაგან სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეს.

საწარმოს ან ცალკეული უბნის, საამქროს მუშაობის შეჩერება ეკონომიკური გარდაქმნის პირობებში, რაც სახალხო მეურნეობის სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლასთანაა დაკავშირებული, იოლი როლი იქნება საწარმოს ეკონომიკური ცხოვრებისათვის, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ სახანძრო უსაფრთხოების საკითხების, სახანძრო ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნების იგნორირება დაუშვებელია.

წინა წლებთან შედარებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ზელმძღვანელობა ამჟამად სერიოზულ ზომებს იღებს სახანძრო უსაფრთხოების წესების დამრღვევთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 246-ე მუხლის უფრო ფართოდ გამოყენებისათვის.



### დაინტერესა

**სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1988 წლის 27 აპრილის ბრძანებით დანიშნული სამსონის ქე ჩიტლოვი დაინიშნა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ.**

დ. ს. ჩიტლოვი დაიბადა 1935 წელს წალკის რაიონში, ბერძენია, სკკპ წევრია 1957 წლიდან, განათლება უმაღლესი — 1961 წელს დამთავრა სარატოვის იურიდიული ინსტიტუტი სამართალმცოდნის სპეციალობით, ხოლო 1969 წელს ამავე ინსტიტუტის დაუსწრებელი ასპირანტურა, არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

დ. ს. ჩიტლოვის შრომითი საქმიანობა 1953 წლიდან იწყება, როცა იგი რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ახალქალაქის რაიონის სოფელ გომანსკის რეაწლიან სკოლაში. 1954 წლიდან 1957 წლამდე იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში, ხოლო იქიდან დაბრუნების შემდეგ იმავე წელს ჩაირიცხა სარატოვის იურიდიულ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს პროკურატურის ორგანოებში. 1961 წელს წალკის რაიონის პროკურატურის გამომძიებელია, ხოლო 1962 წლიდან ამავე რაიონის პროკუ-

რორი. 1972 წლიდან დ. ს. ჩიტლოვი გადააკეთა საქართველოს სსრ პროკურატურაში, სადაც მუშაობს საგამომძიებო განყოფილების პროკურორად, რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწედ, კადრების განყოფილების პროკურორად, კადრების განყოფილების უფროსის მოადგილედ, საგამომძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1980 წლის ივლისიდან დ. ს. ჩიტლოვი საქართველოს სსრ პროკურატურის საორგანიზაციო-საკონტროლო განყოფილების უფროსი და კოლეგიის წევრია.

პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი არაერთხელ იყო წახალისებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებებით, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია „პროკურატურის საპატიო მუშაკის“ სამკერდე ნიშნით.



# სამართალწარმოების კულტურა

## კანონის ენა ნათელი და გასაგები უნდა იყოს

ალექსანდრე კვაშილაძე, ხადრი სალუქვაძე

**გარდაქმნა**, რომელმაც მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა, როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში გულისხმობს იმასაც, რომ „ჩვენმა კანონმდებლობამ — სამოქალაქო და შრომითმა, საფინანსო და ადმინისტრაციულმა, სამეურნეო და სისხლის სამართლის კანონმდებლობამ — კიდევ უფრო აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი ქმედითს კონტროლს, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელებას“<sup>1</sup>.

საკანონმდებლო აქტების ახლებურად გააზრების, გადამუშავების და საერთოდ, მათი სრულყოფის მიზნით უკვე დაიწყო დიდი მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში. დღეს მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანონის გამართულობას როგორც აზრობრივად, ასევე გრამატიკულად, მისი ნორმების სწორად აღქმასა და განმარტებას. ამიტომ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს საკანონმდებლო ტექსტების სიზუსტე, კანონის ენის მოქნილობა და დახვეწილობა. კანონის აზრის ზუსტად გამოსათქმელად გამოყენებული უნდა იყოს ქართული ენის დიდი შესაძლებლობები.

ამ საკითხებზე ყურნალმა „საბჭოთა სამართალმა“ ჯერ კიდევ 1983 წლის მე-5 ნომერში გამოაქვეყნა ო. გამყრელიძის პოლემიკური სტატია — „კანონის ენის შესახებ“. აქ ავტორი სრულიად სამართლიანად მოითხოვს, რომ „საკანონმდებლო ტექსტი... ნათელი და ყველასათვის გასაგები ენით უნდა იწერებოდეს“-ო.

ჩვენი კანონის ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული ქართული ენის ლოგიკურობასა და სიზუსტეზე. ხშირად სისხლის სამართლის კანონის არასრულყოფილება აიხსნება აზრის გადმოცემის ბუნდოვანებით, რაც ცხადია, იწვევს კიდევ გაუთავებელ კამათს, წინააღმდეგობებსა და სიძნელეებს მათი გამოყენების დროს.

სისხლის სამართლის კანონის ენობრივი არასრულყოფილება, ჩვენის აზრით, აიხსნება იმითაც, რომ ესა თუ ის ნორმა გრამატიკულად არასწორად არის ჩაწერილი კოდექსში. მაგალითად: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლის დასახელება ასეთია: „ვენერიული სენის შეყრა ან ვენერიული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება“. ამავე კოდექსში რუსულად ეს მუხლი ამგვარად არის თარგმნილი — «Заражение венерической болезнью или уклонение от лечения венерической болезни».

ნორმის ამგვარი ფორმულირება ჩვენი აზრით სწორი არ არის, რადგან ამ კანონის მიზანი და შინაარსი სრულიად სხვადასხვაა. ამდენად, რა თქმა უნდა, იგი არაზუსტია. რაც შეეხება ამ ნორმის პირველ ნაწილს, „ვენერიული სენის

<sup>1</sup> მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას. თბ., 1986, გვ. 104.

შეყრა“-ს, ასე თუ ისე, იგი შეესაბამება თავის შინაარსს, მაგრამ, ჭერ ერთი, ეს სიტყვა ქართულად იწერება როგორც ვენერული და არა ვენერიული<sup>2</sup>. და გარდა ამისა შეიძლებოდა მისი სხვაგვარად გამოთქმაც. მაგალითად: „ვენერული სენის გადაღება“, რაც უფრო მისაღებია, რადგან „სენის გადაღება“ უფრო ზუსტად გამოხატავს იმ პროცესს, რასაც კანონმდებელი გულისხმობს „სენის შეყრა“-ში.

უფრო დეტალურად რომ გავაანალიზოთ ამ მუხლის პირველი ნაწილი, საჭიროა იგი პირობითად გავყოთ ორად. თუ ასეთი ფორმულირება — „ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისაგან მიღებული გაფრთხილების შემდეგ“ — გარკვეულად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ამას ვერ ვიტყვიტ მის მეორე ნაწილზე, სადაც ნათქვამია: — „ვენერიული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება“.

ეს წინადადება სრულებით არ გამოხატავს იმ აზრს, რასაც კანონმდებელი გულისხმობს. „თავის არიდება ვენერიული სენის მკურნალობისათვის“ ნიშნავს იმას, რომ პირმა უნდა უმკურნალოს სენს, მაგრამ რას არიდებს თავს, ამის თქმა კი ძალიან ძნელია. თუმცა, კანონი პირდაპირ უნდა მიუთითებდეს იმაზე, რისთვისაც პირი ისჯება.

ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა ეს ნორმები ასე იყოს ჩამოყალიბებული „ვენერული სენის გადაღება ან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მოთხოვნის შეუსრულებლობა ამ სენისაგან განკურნვის თაობაზე“.

• პირი, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მოთხოვნას არ შეასრულებს ვენერული სენისაგან განკურნვის თაობაზე“ — შემდეგ როგორც მუხლშია.

ამგვარი ფორმულირების შემდეგ კანონის ტექსტი აღარ იქნება ბუნდოვანი და იგი ნამდვილად გამოხატავს კანონმდებლის აზრს, ამის შედეგად კი თავიდან ავიცილებთ შეცდომებს და აღარ დაირღვევა სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი, რომლითაც „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში..“ დიახ, სისხლის სამართლის კანონმდებლობა სჯის დანაშაულის სუბიექტს და არა მის ობიექტურ მხარეს, უნდა დაისაჯოს დანაშაულებრივი ქმედობის ჩამდენი პირი და არა ჩადენილი ქმედობა.

ასეთივე მცდარი ფორმულირება აქვს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლს, სადაც გარკვევითაა ნათქვამი, რომ ისჯება „მოკმეღება“. მართალია ეს ფორმალური მხარეა და ყველამ კარგად იცის, თუ რა აქვს მხედველობაში კანონმდებელს, ამიტომ რაიმე კუროზული შემთხვევაც გამორიცხებულია, მაგრამ ხომ უკეთესი იქნებოდა, ეს ლოგიკური შეუსაბამობა არ იყოს და სისხლის სამართლის კოდექსში ყველა მუხლი გამართული ქართულით იყოს დაწერილი, სიტყვა-სიტყვით არ იყოს გადმოთარგმნილი რუსულიდან, ზუსტად გამოხატავდეს კანონმდებლის აზრს.

საერთოდ, თანდებული „თვის“ ბევრი მუხლის დისპოზიციაში არასწორად არის გამოყენებული. ამიტომ იგი ხშირად არღვევს კიდევ არა მარტო სიტყვათა გრამატიკულ წყობას, არამედ დისპოზიციის იურიდიულ შინაარსსაც. მაგა-

<sup>2</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983, გვ. 61; იურიდიული ტერმინოლოგია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 27.

ლითად, სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლიდან, რომელიც ასეა ჩამოყალიბებული: „ალიმენტის გადახდის ან შვილების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდება“, ვერავენ გაიგებს, თუ რა ითვლება დანაშაულად. კანონმდებლის აზრის სწორად აღქმა აქ ვარაუდს უფრო ეყრდნობა, ვიდრე ტექსტის შინაარსს, რადგან ისე გამოდის, რომ ისჯება რაღაცისაგან თავის არიდება იმ მიზნით, რომ პირმა გადაიხადოს ალიმენტი შვილების სარჩენად, ხოლო კონკრეტულად რას არიდებს დასასჯელი თავს, აქედან გაუგებარია.

ამ მუხლის დისპოზიციაში „მშობლების მიერ ბოროტად თავის არიდება შვილების რჩენისათვის სასამართლოს მიერ დადგენილი სახსრების გადახდისაგან.“ სწორადაა ჩამოყალიბებული, რადგან თანდებული „თვის“ თავის ადგილას ზის. იგი კარგად მიუთითებს მშობლების მიერ სასამართლოსაგან დადგენილი სახსრების შვილების სასარგებლოდ გადაუხდელობაზე, მაგრამ ამავე დისპოზიციის შემდგომი წინადადება „...აგრეთვე მშობლების მიერ თავის არიდება მათ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი ან შრომის უუნარო ბავშვების რჩენისათვის“, იმდენად ბუნდოვანია, რომ ერთობ გაძნელებულია მთელი დისპოზიციის შინაარსის გავება, მისი სწორად აღქმა. თუ ამ დისპოზიციის პირველ წინადადებაში ითქვა „სახსრების გადასახადისაგან თავის არიდება“, რატომ არ შეიძლებოდა მეორე წინადადებაშიც თქმულიყო ამგვარად, რაც მის შინაარსს უფრო ნათელს გახდიდა. თუ ერთიმეორეს შევადარებთ ამ მუხლის ორ წინადადებას — „შვილების რჩენისათვის სახსრების გადახდისაგან თავის არიდება“ და „თავის არიდება მათ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი ან შრომის უუნარო ბავშვების რჩენისათვის“ ნათელი გახდება „თვის“ თანდებულის გამოყენებისას დაშვებული შეცდომა. პირველ შემთხვევაში ეს თანდებული ერთვის სასარგებლო აზრის გამომხატველ სიტყვას, კონკრეტულად „რჩენას“ და ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის სამართლებრივი ნორმა ტექსტში გამოყენებულ სიტყვათა ერთობლიობით აწესებს სასჯელს, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ სასჯელი დაწესებულია კანონსაწინააღმდეგო ქმედობისათვის. სულ სხვანაირად აღიქმება მეორე წინადადება, რადგან აქ თანდებული „თვის“ სრულიად ზედმეტადაა ნახმარი.

ასეთივე შეცდომებია დაშვებული სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე (ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისათვის თავის არიდება), 82-ე (მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება), 83-ე (ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადთა გადახდისათვის თავის არიდება) და 122-ე (ვენერიული სენის შეყრა ან ვენერიული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება) მუხლებში. აქ თანდებული „თვის“ არსებითად სხვა მნიშვნელობის აზრს გამოხატავს, არასწორადაა ნახმარი და ამიტომ აზრი გაუგებარია. თუ მის ნაცვლად „გან“ თანდებულს გამოვიყენებთ, მაშინ გამოირიცხება კიდევ კანონის ტექსტების ასეთი შინაგანი წინააღმდეგობები და ზუსტად გამოიყენება კანონმდებლის აზრი.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 167-ე მუხლის ქართული ტექსტი ჩამოყალიბებულია ასე: „კომერციული უამაველობა, ესე იგი კერძო პირის მიერ მოქალაქეთათვის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სამრეწველო საქონლის, პროდუქტების ან სხვა საგნების შეძენა, აგრეთვე მოქალაქეთა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კუთვნილი საქონლის, პროდუქტების ან სხვა საგნების რეალიზაციის მოვა-

ლებობის აღება, რაც ჩადენილია ხელობის სახით, ან რომელსაც მნიშვნელოვანი გამდიდრება მოჰყვა —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით ან ჯარიმით შვიდას მანეთამდე“.

როგორც ტექსტიდან გამომდინარეობს, აღნიშნული ქმედობისათვის პირი ისჯება იმ შემთხვევაში, თუ მან ეს ქმედობა ჩაიდინა ხელობის სახით. თუ იგი ხელობის სახით არ არის ჩადენილი, მაშინ პირი ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი ქმედობებიდან რომელიმეს მოჰყვა ჩამდენის მნიშვნელოვანი გამდიდრება. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი მოითხოვს სახეზე იყოს მნიშვნელოვანი გამდიდრება, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი არ უნდა დაისჯოს. სწორედ ეს ნაწილი „რაც ჩადენილია ხელობის სახით ან რასაც მნიშვნელოვანი გამდიდრება მოჰყვა“, ამავე კოდექსის რუსულ ტექსტი ასეა ჩამოყალიბებული: «совершаемое в виде промысла или приводящее к значительному обогащению».

მიგვაჩნია, რომ ასეთი თარგმანი სწორი არ არის. სიტყვა «совершаемое»-ს ნაცვლად უნდა იყოს «совершенное» და «приводящее»-ს ნაცვლად «приведшее» ან შესაბამისი ცვლილებებით ტექსტში შეიძლება იყოს «повлекшее значительное обогащение».

ამ მუხლის ქართულ ტექსტში კანონმდებელი ხაზს უსვამს უკვე მომხდარ ფაქტს და არა იმას, რაც ხდება, ან მოხდება. შესაბამისი მუხლის რუსული ტექსტი კი ამას არ გადმოსცემს.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართული საკანონმდებლო ტექსტები ძირითადად რუსული წყაროებიდან ითარგმნება. სხვადასხვა გაუმართლებელი მიზეზების გამო კი ეს ტექსტები ხშირად მახინჯდება, რადგან მოქნილი და სხარტი წინადადებების ნაცვლად მათში ვხვდებით ტლანქ, გაუგებარ, ქართული ენისათვის არაბუნებრივ, მიუღებელ გამოთქმებსა და კონსტრუქციებს.

აი მაგალითიც: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის დისპოზიცია ჩამოყალიბებულია ასე: „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის თვითნებურად, სათანადო ნებართვის გარეშე აშენება, აგრეთვე თვითნებურად მიშენება“. ჩვენ კი ვთვლით, რომ ეს წინადადება უფრო ეკონომიურად და ამავე დროს აზრის შეუცვლელად შეიძლებოდა ასე ჩამოყალიბებულიყო: „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის თვითნებურად აშენება ან მიშენება“. განა სიტყვა „თვითნებურად“ თავისთავად არ გულისხმობს სათანადო ნებართვის უქონლობას?

ამ მუხლის სანქციაც არაა მთლიანად დახვეწილი. იგი ასეთია: „...ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, უკანონოდ აგებული შენობის კონფისკაციით“.

განა უკეთესი არ იქნებოდა უფრო ლაკონურად და ეკონომიურად რომ თქმულიყო, თუნდაც აი ასე: „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის თვითნებურად აშენების ან მიშენებისათვის ისჯება —

თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, უნებართვო ნაგებობის კონფისკაციით“.

ამ მუხლის ამგვარად ჩამოყალიბება გამართლებულია შემდეგი გარემოებების გამო:

- ა) მუხლი მოცულობით საგრძნობლად არის შემცირებული, 26 სიტყვის ნაცვლად, იგივე აზრი გამოცემულია 19 სიტყვით;
  - ბ) ქმედობა (აშენება, მიშენება), რისთვისაც ისჯება სუბიექტი, უცვლელია;
  - გ) რაც მთავარია, ჩანს, რომ ისჯება ამ ქმედობის ჩამდენი პირი (დანაშაულის სუბიექტი) და არა ქმედობა (ამ დანაშაულის ობიექტური მხარე) აშენება და მიშენება.
- საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ამგვარი ანალიზი იმას მოწმობს, რომ მასში შეტანილი ზოგიერთი ნორმა ენობრივი თვალსაზრისით ნამდვილად საჭიროებს გადამუშავებასა და დაზუსტებას.

### პრიტიკა და გიგლიოზრაფია

## საჭირო ფიგნი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ რუსულად გამოსცა პროფ. ვ. ა. ლორიას მონოგრაფია — „ადმინისტრაციული პროცესი და მისი კოდფიკაცია“, რომელსაც თან ერთვის მოკლე რეზიუმე ფრანგულ ენაზე. ამ ნაშრომის ღირებულებას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ იგი მეცნიერულ კვლევასთან ერთად, აქვე პრაქტიკულ გზებსაც სახავს. ადმინისტრაციული პროცესის მომწესრიგებელი აქტების საკოდფიკაციოდ.

ნაშრომი დაწერილია ადმინისტრაციული პროცესის არა მარტო საბჭოთა თეორიისა და პრაქტიკის მიღწევების, არამედ ამ დარგში მომუშავე საზღვარგარეთის მეცნიერთა კვლევისა და საკანონმდებლო მონაცემების საფუძველზე. საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაში შეინიშნება ადმინისტრაციული პროცესის თეორიის ორი მიმდინარეობა. ერთი ამტკიცებს, რომ ადმინისტრაციული პროცესი კლასიკური იურიდიული პროცესის მსგავსია და დაკავშირებულია იძულების გამოყენებასთან (ადმინისტრაციული დავის საქმისწარმოება, ადმინისტრაციული გადაცდომის საქმისწარმოება და სხვ.). მეორე შეხედულების მომხრეთა აზრით კი ადმინისტრაციული პროცესი მოიცავს არა მარტო სამარ-

თალდარღვევის საქმეთა წარმოებას, არამედ ყველა ინდივიდუალური საქმის გადაწყვეტას მმართველობის სფეროში.

პროფ. ვ. ლორია ე. წ. მეორე შეხედულების მიმდევარია და იძლევა ამ ინსტიტუტის საკუთარ ინტერპრეტაციას, მისი შესაბამისი ადმინისტრაციული პროცესის ახლებურ გაგებას.

ავტორის ამოსავალი დებულება ის არის, რომ იურიდიული პროცესი ფორმალური თვალსაზრისით იყოს გაგებული, რადგან პროცესი მატერიალური სამართლის რეალიზაციის ფორმაა. იგი ასკვნის: იურიდიული პროცესი პროცესუალური ფორმების შინაარსს წარმოადგენს, ხოლო ეს უკანასკნელი პროცესუალურ მოქმედებათა გარეგნული სამართლებრივი გამოვლინებაა. იურიდიული პროცესის რაობა დამოკიდებულია საქმის გადაწყვეტის პროცესუალურ ფორმებზე, რაც ავტორის აზრით იმას ნიშნავს, რომ თუ საკითხის გადაწყვეტა სასარჩელო განცხადების ფორმას იღებს, მაშინ საქმე გვაქვს სამოქალაქო პროცესთან, თუ სისხლის სამართლის საქმის ფორმას — სისხლის სამართლის პროცესთან, ხოლო თუ ადმინისტრაციული საქმის ფორმას, მაშინ ადმინისტრაციულ პროცესთან.

ინდივიდუალურად განსახილველი საქმის ფორმა დამოკიდებულია იმ ზოგად მატერია-

ლურ ნორმაზე, რომელიც უფლებას აძლევს პროცესის სუბიექტს გამოიყენოს უფლების განხორციელების ესა თუ ის პროცესუალური ფორმა. მაგალითად, მოქალაქეს უფლება აქვს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართოს მმართველობის ორგანოს დარღვეული უფლების აღსადგენად და ისარგებლოს ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმით, მაგრამ თუკი ის მიზანშეწონილად ჩათვლის გამოიყენოს სასარჩელო განცხადებით მიმართვის უფლება, წარმოიშობა სამოქალაქო პროცესი.

ინდივიდუალური საქმის გამოვლინების ფორმა მართო პროცესის სუბიექტის სურვილზე არ არის დამოკიდებული. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მართო მატერიალური სამართლის ამა თუ იმ დარგს (სისხლის სამართალს შეესაბამება სისხლის სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართალს — სამოქალაქო სამართლის პროცესი), არამედ „ქვეყანაში სამართლებრივი სისტემის განვითარების დონეს, მთლიანად დემოკრატიის განვითარებას, ამა თუ იმ პროცესუალური ფორმის სრულყოფას, ხოლო ყოველივე ამის საფუძველზე — კანონმდებლის შეხედულებას“ (გვ. 27).

ავტორის აზრით ინდივიდუალური საქმის გამოვლინების ფორმა ხშირად არაა დამოკიდებული მის მატერიალურ შინაარსზე, ვინაიდან ერთი და იმავე ფორმის მქონე ინდივიდუალურ საქმეს შეიძლება მრავალი მატერიალური შინაარსი გააჩნდეს (ადმინისტრაციული საჩივარი შეიძლება შეეხებოდეს სამუშაოზე მიღებას, ბინის განაწილებას, უკანონო დაჯარიმებას, მიწის ნაკვეთის გამოყოფას და ა. შ. მაგრამ ყველა ეს საჩივარი ადმინისტრაციულია, რამდენადაც შეეხება მმართველობის სფეროს). მიმოიხილავს რა მმართველობის სფეროში ინდივიდუალურ საქმეთა გამოვლინების ფორმებს, ავტორი იძლევა მათ კლასიფიკაციას, რამდენადაც ისინი ადმინისტრაციულ პროცესს შეადგენენ, მათ შინაარსს ქმნიან. ამ ფორმებს იგი ადმინისტრაციული წარმოების სახეებს უწოდებს.

ადმინისტრაციული პროცესისა და წარმოების ორიგინალური გაგების საფუძველზე ნაშრომში მოცემულია ადმინისტრაციული წარმოების შემდეგი სახეები: 1. განცხადებების საქმეთა წარმოება, რომელიც შესდგება მოქალაქეთა განცხადებებისა და წინადადებების საქმეთა წარმოებებისაგან, აგრეთვე ორგანოების, ორგანიზაციების, ადმინისტრაციის, თანამდებობის პირთა მიმართვების საქმეთა წარმოებებისაგან; 2. ადმინისტრაციული საჩივრების საქმეთა წარმოება; 3. მმართველობის სფეროში წამოჭრილი სამართლებრივი დავების საქმეთა წარმოება (აქ ძირითადად იგულისხმება საარბიტრაჟო საქმის

წარმოება), 4. მმართველობის აპარატის პირადი შემადგენლობის დაკომპლექტების საქმეთა წარმოება, რომელშიც იგულისხმება თანამდებობებზე არჩევის, კონკურსის, ატესტაციის საქმეთა წარმოება, აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტთა სამუშაოზე განაწილების საქმეთა წარმოება და თანამდებობებზე წამოყენების, გადაყენის, გათავისუფლების საქმეთა წარმოება; 5. წახალისების საქმეთა წარმოება, რომელშიც იგულისხმება დაჯილდოებების, საპატიო წოდებების მინიჭების და სხვ. საქმეთა წარმოება; 6. მმართველობის სფეროში იძულების გამოყენების საქმეთა წარმოება, რომელიც მოიცავს: ადმინისტრაციული გადაცდომების საქმეთა წარმოებას, დისციპლინური გადაცდომის საქმეთა წარმოებას, ადმინისტრაციული აღმკვეთი და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საქმეთა წარმოებას (გვ. 82-88).

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ამ სახეების კლასიფიკაციის შექმნით ავტორმა საფუძველი დაუდო ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის კოდიფიკაციას, რამდენადაც საკოდიფიკაციო აქტებით ავტორისეული პროექტები (განსაკუთრებით რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსის პროექტი) სწორედ მათ ეყრდნობა. ეს კი დიდი წარმატებაა პროცესუალური სამართლის ამ დარგის სრულყოფისა და კოდიფიკაციის საქმეში.

ნაშრომის შემდეგი თავები ეძღვნება საკავშირო და რესპუბლიკური ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის თავისებურებათა განხილვას, საკოდიფიკაციო სამუშაოების ჩატარების ორგანიზაციასა და პრინციპებს, ხოლო ბოლო მე-4 თავი მთლიანად დათმობილი აქვს ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის კოდიფიკაციის პრობლემებს და ამ სფეროში შედგენილ საკოდიფიკაციო აქტების პროექტებს. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ნაკლებადაა დამუშავებული ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის კოდიფიკაციის საკითხები, ხოლო საკოდიფიკაციო აქტების პროექტები, საერთოდ, დღემდე არავის შეუდგენია. საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში (განსაკუთრებით პოლონეთსა და ბულგარეთში) უკვე დიდი ხანია მოქმედებს ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსები, ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ეს ინსტიტუტი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დამუშავდა, მაგრამ ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის ვ. ლორისეული საკოდიფიკაციო აქტების პროექტები სრულიად განსხვავებულია, იგი ეყრდნობა ადმინისტრ-

ციული პროცესის ახლებურ გაგებას და შეეხება მმართველობის ფორმებისა და მეთოდების კარდინალურ საწყისებს, ხელს უწყობს მმართველობის სრულყოფას მთლიანად, სოციალისტური ორგანიზაციული ხელმძღვანელობის პროცესში კანონიერების დაცვის სამართლებრივი გარანტიის შექმნას.

ავტორს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის კოდიფიკაცია ორი მიმართულებით უნდა განხორციელდეს. ესაა ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის საკავშირო საფუძვლების შემუშავება და რესპუბლიკური ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსების შედგენა. საფუძვლების ავტორისეული პროექტი შედგება მხოლოდ ზოგადი ნაწილისაგან, ხოლო კოდექსი— ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილისაგან. კოდექსის ზოგადი ნაწილი ძირითადად შეიცავს საფუძვლების დებულებებს, მაგრამ უფრო დეტალურად. კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი

კი აგებულია ადმინისტრაციული წარმოების ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის შესაბამისად.

ე. ა. ლორიას მონოგრაფია კარგი შენაძენია ჩვენი იურიდიული მეცნიერებისათვის, რადგან იგი უდავოდ უწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში ადმინისტრაციული პროცესის მეცნიერული და პრაქტიკული საკითხების შემდგომ გადაწყვეტას. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ აღნიშნული შრომა ქართულ ენაზე არ გამოიცა. მით უმეტეს, როდესაც ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსის ავტორისეული პროექტი სწორედ საქართველოს თავისებურებების გამომხატველია და რაც მთავარია, ქართველი მკითხველი არ არის განებევრებული ასეთი ლიტერატურით.

**3. თორღია,**

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი**

**ინფორმაცია**

**დიდი სამართლებრივი რეფორმისათვის**

გაიმართა რესპუბლიკის ინსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, სადაც განიხილეს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად სისხლის სამართლის კოდექსის დახვეწა-ჩამოყალიბების პრობლემური საკითხები.

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში ნათქვამია, რომ სოციალისტური საზოგადოების ბუნებაში ჩაქსოვილ შესაძლებლობათა გამოვლინებისათვის უნდა განხორციელდეს დიდი სამართლებრივი რეფორმა, რათა რადიკალურად გაუმჯობესდეს ყველა იმ ორგანოს მუშაობა, რომლებიც მოვალენი არიან განამტკიცონ კანონიერება, დაიცვან სახელმწიფო ცხოვრების დემოკრატიული პრინციპები. მოქალაქეთა უფლება-

თავისუფლებანი. ამ მიზანს ისახავს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებაც. კონფერენციის მონაწილეებმა მიიჩნიეს, რომ ამ კოდექსის ფორმირება უნდა მოხდეს ორი ძირითადი მიმართულებით — კოდექსის მოდერნიზაცია უნდა შეესაბამებოდეს გარდაქმნის მოთხოვნებს და ამაღლდეს კანონის პროფილაქტიკური ფუნქციები. მთლიანობაში კანონმდებლობა უნდა გახდეს მოქნილი და მაქსიმალურად სტაბილური. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ამ ფაქტორს, რადგან მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, მისი მიღებიდან სამი ათეული წლის მანძილზე დაახლოებით 200 ცვლილება და დამატება შევიდა, რამაც გარკვეულწილად შეამცირა მისი გამოყენების პოტენციალი.

კონფერენციის მონაწილეებმა ჭეროვანი ყურადღება დაუთმეს აგრეთვე სისხლის სამართ-



თლის კოდექსის ენას, აღინიშნა, რომ რესპუბლიკის იურისტთა პატრიოტული მოვლევობაა კანონმდებლობაში ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მკაცრი დაცვა. ამ საქმეში მათ აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ მეცნიერ-ლინგვისტებმა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის და განიხილავს კონფერენციაზე გამოთქმულ რეკომენდაციებს.

კონფერენციაზე მოსხენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ო. გამყრელიძე**, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი, იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატი **მ. უგრეხელიძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **გ. ნაჭუბია**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. ტყეშელაძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **მ. ლეკვიშვილი**, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე **მ. გამზარდია**, ადვოკატი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი **ზ. ხომერიკი**, საქართველოს სსრ უმაღლე-

სი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ზ. ფაფიაშვილი**, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის კათედრის ხელმძღვანელი **ა. კვაშილავა**, საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **გ. ნიშნაძე**, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. კობახიძე** და სხვები.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, სამართლის პრობლემების კვლევის მეცნიერული ცენტრის ხელმძღვანელმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **თ. შავჭულიძემ**.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ვ. შარაშენიძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. ედიშერაშვილი**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. რატიანი**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ყოლბია**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე **თ. ნიშიძე**, ყურნალი „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი **ლ. თალაკვაძე**.

### საპარტველოს ადვოკატთა კონფერენცია

გამართა საქართველოს სსრ ადვოკატთა XI კონფერენცია, რომელზეც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი **გ. როინიშვილი**.

სარევიზო კომისიის მუშაობის ანგარიში გააკეთა **ვ. ლეხელიძემ**, საფინანსო — **ლ. კორძაია**.

კამათში მონაწილეობდნენ ადვოკატები **ბ. ხომერიკი**, **ა. ლომინაძე**, **ვ. უვანია**, **ჯ. ბაქრაძე**, იურიდიული კონსულტაციის გამგეები **ა. გოგობე-**

**რიშვილი**, **ო. აგლაძე**, **ვ. კილაძე**, **მ. რობაქიძე**, **გ. გახევი**. სიტყვები წარმოთქვეს: საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ **რ. გილაგაშვილმა** და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა **ვ. შარაშენიძემ**.

კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმისა და სარევიზო კომისიის ახალი შემადგენლობა, მიიღო რეზოლუცია და შეიმუშავა პერსპექტიული სამუშაო გეგმა.

პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია **გ. როინიშვილი**.





## თათბირ-სემინარი ნოტარიატისა და მმჩის ორგანოების საკითხებზე

**საქართველოს** სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მმჩის ორგანოების სამმართველოს ინიციატივით ამასწინათ სიღნაღში ჩატარდა თათბირ-სემინარი, რომლის მიზანი იყო პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა სასოფლო საბჭოების აღმასკომებისათვის იმ მოქმედებათა ჩატარებისათვის, რაც დაკავშირებულია სანოტარო პრაქტიკასთან, დაბადების, გარდაცვალების, მამობის დადგენის, ქორწინებისა და განქორწინების საკითხებთან.

თათბირ-სემინარზე მოწვეულ იყვნენ სიღნაღის რაიონის სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, მდივნები, ტექნიკური ბიუროს წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სიღნაღის რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსი **ნ. ლომაშვილი** და ამავე რაიონის მმჩის განყოფილების გამგე **დ. დლონტი**, ლაგოდეხის რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსი **თ. ლომიძე** და მმჩის განყოფილების გამგე **გ. დონდოლაძე**, წითელწყაროს სა-

ხელმწიფო ნოტარიუსი **ო. საგიაშვილი** და მმჩის განყოფილების გამგე **მ. შეთინაშვილი**, წნორის სახელმწიფო ნოტარიუსი **თ. ზუნაშვილი**.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმჩის ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილემ **ვ. კოდუაშვილმა**, რომელმაც ვრცლად ისაუბრა მმჩის განყოფილებათა საქმიანობაზე, მათ წინაშე დასახულ ამოცანებზე, იმ სირთულეებზე, რომლებიც მათ ხვდებათ ყოველდღიურ საქმიანობაში. სანოტარო პრაქტიკის საკითხებზე საინტერესოდ ილაპარაკა **ქ. თბილისის** პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის უფროსმა სახელმწიფო ნოტარიუსმა **ვ. ჭაოშვილმა**.

მომხსენებლებმა ამომწურავი და კანონშესაბამისი პასუხები გასცეს თათბირ-სემინარის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, პრაქტიკული მაგალითებით განუმარტეს მათ სადაბო საკითხები.

\* \* \*

**ასეთივე** თათბირ-სემინარი ჩატარდა ცხაკაიას რაიონშიც, სადაც მოწვეული იყვნენ აგრეთვე მეზობელი რაიონების აბაშის, ჩხოროწყუს, ხობის, გუგუშკორის სახელმწიფო ნოტარიუსები და მმჩის განყოფილებათა გამგეები. აქვე იყვნენ ცხაკაიას რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მდივნები, რაიონის სამშობიარო სახლის წარმომადგენლები, ტექნიკური ბიუროს მუშაკები და სხვა.

თათბირ-სემინარს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმჩის ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილემ **ვ. კოდუაშვილი** და ამავე სამმართველოს კონსულტანტები **მ. ცირდავა** და **თ. იახეშვილი**, მათ ამომწურავი პასუხები გასცეს სემინარის მონაწილეთა შეკითხვებს და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინეს სასოფლო საბჭოების აღმასკომების მდივნებს.



# სანოტარო და მხარის ორგანოების პრაქტიკა

## სახელმწიფო ბაჟის გადახდვინება საცხოვრებელ სახლზე მემკვიდრეობის მოწმობის გაცემის დროს

**დამატებითი შედგავთი სახელმწიფო ბაჟის გადახდაზე სოფლად მდებარე საცხოვრებელი სახლის მემკვიდრეობით მიღების დროს**

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 19 სექტემბრის დადგენილებით, „მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობის, მებაღეობისა და მე-ბოსტნეობის განვითარების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“, სოფლად მდებარე საცხოვრებელ სახლზე მემკვიდრეობის მოწმობის გაცემის დროს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ის მემკვიდრეები, რომლებიც მუდმივად იცხოვრებენ ამ სახლებში და იმუშავენ სოფელში.

ამ შედგავთის აუცილებელი პირობაა: მემკვიდრეობით მიღებულ სოფლად მდებარე სახლში მემკვიდრეთა მუდმივობა ბინადრობა (ეს გარემოება დასტურდება ჩაწერით) და აგრეთვე მათი სოფელში მუშაობა.

როგორც წესი, სოფლად მდებარე საცხოვრებელ სახლზე მემკვიდრეობის მოწმობის მიღებისას მემკვიდრეები ვერ იქნებიან ჩაწერილნი ამ სახლში, რამდენადაც ამ დროისათვის ჯერ არ არსებობს საამისო სამართლებრივი საფუძველი. ამიტომ ისინი სახელმწიფო ბაჟს იხდიან დადგენილი წესით. მაგრამ შემდგომში, როდესაც წარმოადგენენ მემკვიდრეობით მიღებულ სოფლად მდებარე სახლში ჩაწერისა და სოფლად მუშაობის დამადასტურებელ ცნობებს, გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უკან დაუბრუნდებათ მოქალაქეებს მათ მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე. ამისათვის კი აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტში ბაჟის ჩარიცხვიდან გასული არ იყოს ერთ წელზე მეტი (სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1988 წლის 29 ოქტომბრის განმარტება).

### **მემკვიდრეების განთავსუფლება ბაჟის გადახდისაგან სამკვიდროს დამტოვებელთან მათი ერთად ცხოვრების შემთხვევაში**

საცხოვრებელ სახლზე ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში დაჯგოვილ საბაიო შენატანზე მემკვიდრეობის მოწმობის გაცემის დროს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ის მოქალაქენი, რომლებიც სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად ცხოვრობენ და ასევე განაგრძობენ ცხოვრებას ამავე სახლში (კოოპერატიულ ბინაში) სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგაც.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1985 წლის 15 მაისის განმარტებით მემკვიდრეებისა და სამკვიდროს დამტოვებლის ერთად ცხოვრების ფაქტი დასტურდება ამ სახლში ჩაწერით.

თუ სამკვიდროს დამტოვებელი არ ცხოვრობდა მემკვიდრეებთან ერთად და არ იყო ჩაწერილი საკუთარ სახლში, მემკვიდრეები მოვალენი არიან მემკვიდრეობის მოწმობის მიღებისათვის გადაიხადონ საერთო წესით დადგენილი სახელმწიფო ბაჟი.

### **საცხოვრებელი სახლის ღირებულების განსაზღვრა და სახელმწიფო ბაჟის გამოანგარიშება**

თუ მემკვიდრეობის მოწმობა გაიცემა იმ ადგილებში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, სადაც ინვენტარიზაცია ჩატარებული არ არის, სახლის ღირებულება განისაზღვრება მისი სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შეფასების მიხედვით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებით, „მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შესახებ“, ნაგებობათა ღირებულების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება სადაზღვევო შეფასებითი ნორმები და შენობის ცვეთა.

ამასთანავე უნდა განვასხვავოთ სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის მიზნით წარმოებული საცხოვრებელი სახლის შეფასება, ე. ი. სადაზღვევო შეფასება იმ სადაზღვევო თანხებიდან, რაც საცხოვრებელი სახლის სადაზღვევო შეფასების მხოლოდ 40 პროცენტს შეადგენს.

მაგალითად თუ საცხოვრებელი სახლი სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევისათვის შეფასებულია ათი ათას მანეთად, მისი სადაზღვევო თანხა შეადგენს მხოლოდ ოთხი ათას მანეთს, სახელმწიფო ბაჟი კი გამოიანგარიშება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შეფასებიდან, ე. ი. 10 ათასი მანეთიდან.

საცხოვრებელი სახლების ღირებულების განსაზღვრისა და სახელმწიფო ბაჟის გამოანგარიშების ასეთივე წესი უნდა იყოს დაცული სახლების გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმების დროს.

### მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა აღდგენის წესის განმარტებისათვის

დაპარბულ სააქტო ჩანაწერებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი საქალაქო და რაიონული განყოფილებები აღადგენენ. მათი რეგისტრაციის დროს კი მტკიცედ უნდა იყოს დაცული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 დეკემბრის დადგენილება („ძირითადი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა შეცვლის, აღდგენის და გაუქმების წესს და სააქტო დავთრების შენახვის წესს და ვადებს“) და სსრკ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ 1977 წლის 7 ოქტომბერს დამტკიცებული წესი დაკარგულ ჩანაწერთა აღდგენის შესახებ.

განცხადება მოქალაქეობრივი მდგომარეობის დაკარგულ ჩანაწერთა აღდგენის შესახებ შეტანილი უნდა იყოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მხარის განყოფილებაში განმცხადებლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთი განცხადების შეტანის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, ვის სახელზეც შეტანილია სააქტო ჩანაწერი. მოქალაქის დაბადების აქტის ჩანაწერის აღდგენაზე განცხადების შეტანის უფლება არა აქვთ ამ პირის დებს, ძმებს, მეუღლეებს და სხვა ნათესავებს.

ისეთი პირის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩანაწერთა აღდგენა, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია, უნდა მოითხოვონ მისმა მშობლებმა, შვილად ამყვანებმა, სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოებმა, იმ დაწესებულებებმა, სადაც არასრულწლოვანი იზრდება.

არაქმედუნარიანი პირის სახელით განცხადება უნდა შეიტანოს მისმა მეურვემ. განცხადებას თან უნდა აღერთოს შეტყობინება რესპუბლიკური მხარის არქივიდან და იმ მხარის განყოფილიდან, სადაც ინახებოდა დაკარგული აქტის ჩანაწერი, განმცხადებლის ვრცელი ავტობიოგრაფია, ამონაწერი პირადი აღრიცხვის ბარათიდან ან საკომლო წიგნიდან, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილი, ოჯახის შემადგენლობა ყველას დაბადების თარიღის აღნიშვნით, სხვა საბუთები, რომლებიც დაადასტურებენ განმცხადებლის დაბადების თარიღს და მის მშობელთა მონაცემებს. თუ განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტები და შემოწმების მასალები არ შეიცავენ იმ პირის ასაკის დამადასტურებელ ცნობებს, ვისი სააქტო ჩანაწერიც უნდა აღდგეს, ან რაიმე წინააღმდეგობა მათში, იგი გადაეგზავნება სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) აღმასრულებელი კომიტეტის ასაკის დამდგენ კომისიას. ასაკის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტში.

ქორწინების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის, გვარის, სახელის და მამის სახელის გამოცვლის, განქორწინების და გარდაცვალების შესახებ დაკარგული ჩანაწერები აღდგება მხოლოდ იმ საბუთების წარდგენის შემდეგ, რომლებიც ადასტურებენ, რომ შესაბამისი ჩანაწერი ადრე არსებობდა.

მასალები მოქალაქეობრივი მდგომარეობის დაკარგულ ჩანაწერთა აღდგენის შესახებ იმ პირებზე, რომლებიც ნასამართლევნი არიან, აქვთ რამდენიმე გვარი, სახელი და მამის სახელი, აგრეთვე ზოგიერთ სხვა აუცილებელ შემთხვევაში, შესამოწმებლად ეგზავნებათ შინაგან საქმეთა ორგანოებს. ამას აკეთებს მხარის ის განყოფილება, რომელმაც განცხადება მიიღო. შინაგან საქმეთა ორგანო შემოწმების შემდეგ მასალებს დაუბრუნებს მხარის განყოფილებას და ნასთან ერთად გასცემს დასკვნას შემოწმების შედეგების შესახებ.

წარმოდგენილი საბუთების შემოწმების შედეგებისა და ასაკის დამდგენი კომისიის დაწვევების საფუძველზე, მმართველობის განყოფილება შეადგენს დასკვნას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის დაკარგული ჩანაწერის აღდგენის ან ამაზე უარის თქმის შესახებ. ეს დასკვნა უნდა დამტკიცდეს სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით. მმართველობის განყოფილების დასკვნა მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩანაწერის აღდგენის შესახებ, დამტკიცებული სახალხო დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და მთელი მასალები აღდგენილი ჩანაწერის სარეგისტრაციოდ, გაეგზავნება მმართველობის განყოფილებას იმ ადგილის მიხედვით, სადაც ინახებოდა დაკარგული ჩანაწერი.

აღდგენილი ჩანაწერის რეგისტრაციას ახდენს მმართველობის განყოფილება იმ ადგილის მიხედვით, სადაც ინახებოდა დაკარგული ჩანაწერი. იგი უნდა გატარდეს მიმდინარე რეგისტრაციის წიგნში, დაბადების აქტის აღდგენილი ჩანაწერის რეგისტრაცია კი დაბადების აღდგენილი აქტების რეგისტრაციის წიგნში. ამის საფუძველზე გამოიწერება მოწმობა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის შესახებ და იგი მიეცემა განმცხადებელს ან გადაგზავნება მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მმართველობის განყოფილებისათვის ჩასაბარებლად.

თუ უარი ეთქვა განმცხადებელს, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის დაკარგული ჩანაწერის აღდგენაზე იმ მიზეზით, რომ მმართველობის ორგანოებს არ შეუძლიათ მისი აღდგენა, შეიძლება ეს ფაქტი აღდგეს და დადგინდეს სასამართლოს წესით.

ვალენტინა კოლუაშვილი

## რეკლამა

# საქაროობა თუ საქვეყნობა?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1948 წელს ქართულ ენაზე დასტამბა პროფ. მიხეილ სტროგოვიჩის „სისხლის სამართლის პროცესი“. წიგნი რუსულიდან თარგმნა ქართული ენის შესანიშნავმა მცოდნემ გ. კვარაცხელიამ.

ნაშრომი 45 სავეტორო თაბახია და 546 გვერდს მოიცავს. ამ წიგნის ქართული თარგმანის რედაქტორი იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. ალექსანდრე ვაჩიშვილი.

წიგნის თარგმანის დროს დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ თარგმნილიყო «публичность» და «гласность» ქართულად. მთარგმნელმა უპირატესობა „საჯაროობა“-ს და „საქვეყნობა“-ს მიანიჭა.

რას ნიშნავს პროცესის საქაროობა?

მ. ს. სტროგოვიჩი ამასთან დაკავშირებით მართებულად წერდა: „სისხლის სამართლის პროცესის საქაროობა ეწოდება მის ისეთ აგებულებას, სადაც სისხლის სამართლის საქმეთა გამოკვლევას, განხილვას და გადაწყვეტას ახდენენ სახელმწიფო ორგანოები (გამოძიების, პროკურატურის და სასამართლო ორგანოები) სახელმწიფო ინტერესებისათვის და თავიანთ თანამდებობრივ მოვალეობათა გამო, იმ მოქალაქეების და ორგანიზაციების ნებისა და მიხედვლებსაგან დამოუკიდებლად, რომელთა ინტერესებს უშუალოდ ეხება დანაშაული. თუ არის მონაცემები, რომ დანაშაული ჩადენილია ან მზადდება, პროკურორი და გამოძიებელი ვალდებული არიან აღძრან სისხლის სამართლის საქმე, გამოიკვლიონ იგი და გადასაწყვეტად გადასცენ სასამართლოს, ხოლო სასამართლო ვალდებულია გაარჩიოს საქმე, შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც კი საჭიროა სამართალში მიცემულის ბრალეულობის თუ არაბრალეულობის გამოსარკვევად, და, თუ საამისო კანონიერი საფუძველი არსებობს დასაჯოს დანა-

შაულის ჩამდენი პირი“.

შემდეგ ავტორი განმარტავდა რა ხსენებულ პრინციპს, აღნიშნავდა: „საჯაროობა იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის პროცესის წარმოება და მისი შედეგი დამოკიდებული არ არის იმაზე, საჭიროდ მიაჩნია თუ არა დაზარალებულს განაცხადოს დანაშაულის შესახებ, მიიღებს თუ არა იგი ამა თუ იმ ზომას თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. თუ დარღვეულია მართლწესრიგი, თუ ჩადენილია დანაშაული, სახელმწიფოსათვის საშიში მოქმედება, სათანადო ორგანოებმა თავიანთი მოვალეობის გამო და კანონის საფუძველზე, უნდა მიიღონ ყველა ის ზომა და შეასრულონ ყველა ის მოქმედება, რომლებსაც მიზნად აქვთ გამოარკვიონ საქმის გარემოებანი, ამხილონ და დასაჯონ დამნაშავე“<sup>1</sup>

ამიტომაც სისხლის სამართლის პროცესის საჯაროობის პრინციპს ზოგჯერ ოფიციალურობის პრინციპსაც უწოდებენ.

საჯაროობის პრინციპის გამოყენებიდან გამონაკლისად ითვლება, კერძო და ე. წ. კერძო-საჯარო ბრალდების საქმეები.

მ. ს. სტროგოვიჩი მოითხოვდა, რომ ერთიმეორეში არ აგვერია საჯაროობა და საქვეყნობა, რადგან ძალიან გვანან ისინი ერთმანეთს. საჯაროობაზე უკვე ითქვა, საქვეყნობაში კი იგულისხმება საქმის ღრმად, საზოგადოების დასწრებით განხილვა.

სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნობა (Гласность) ნიშნავს, იმას, რომ სამსჯავრო განხილვა ხდება საქვეყნოდ, ღიად, ხალხის თანდასწრებით. იგი მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისა და მასზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალებაა.

საქვეყნობა საზოგადოებრივ კონტროლს უქვემდებარებს სახელმწიფო ორგანოების მუშაობას და განამტკიცებს წარმოება-ორგანიზაციების კავშირს მოსახლეობასთან.

ამიტომ ვთვლით, რომ უმჯობესი იქნება თუ „გლასნოსტ“-ის შესატყვისად ქართულად ვიზმართ საქვეყნობას.

მართლაც, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ. 6) „საქვეყნო“-ს მნიშვნელობა ახსნილია, როგორც სახალხო, სააშკარაო, საჯარო, ყველასათვის გასაგები. ილია ჭავჭავაძე ასე წერდა: „საქვეყნოდ თქვენ წინ ბოდის ვინი!“, აკაკი წერეთელი — „ამას საქვეყნოდ ვიტყვი!“, სოფრომ მგალობლიშვილი — „თუ ჩვენები არიან დამნაშავენი, საქვეყნოდ ლაფი დავასხათ თავზე“ და ა. შ. ეს საილუსტრაციო მასალებიც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, მოტანილი. ვფიქრობთ, მართებული იქნება ერთიმეორისაგან განვასხვაოთ „საქვეყნობა“ და „საჯაროობა“.

1968 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა გ. უვანიას, დ. ფურცელაძის, პ. ქავთარაძის და თ. წერეთლის მიერ შედგენილი ლექსიკონი „იურიდიული ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული ნაწილი). აქაც ПУН-ЛИЧНОСТЬ — საჯაროობა, ხოლო ГЛАСНОСТЬ — საქვეყნობა.

საჭიროა აღდგეს „იურიდიული ტერმინოლოგიის“ მიერ დამკვიდრებული ტრადიცია.

პროფ. ბიორბი ნადარეიშვილი

<sup>1</sup> მ. ს. სტროგოვიჩი, „სისხლის სამართლის პროცესი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომც. 1948, გვ. 78.

# „ქმნა მართლისა სამართლისა..“

აღუარდ ყიფიანი, თბაჯ ზავაშვილი

„ვთქვით, დამნაშავემ გადაწყვიტა ვინმეს მოკვლა. თვით ქცევა, რომელიც მიმართულია ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად (თოფის გატენა, დამიზნება, ჩახმახის დაცემინება და ა. შ.) შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც იმპულსური მოქმედება. მაგრამ თუ ქცევის განხორციელების დროს თავი იჩინა წინააღმდეგობამ (მაგალითად, გამოჩნდა მილიციელი), დამნაშავეს შეუძლია თავი შეიკავოს მოქმედების გაგრძელებისაგან. ახლად შექმნილი ვითარების შეფასება ხელახლა ხდება და სუბიექტს უნარი აქვს შეცვალოს ადრე მიღებული გადაწყვეტილება. ახლად მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება ნებელობით ქცევად მოგვევლინება.

სოციალური კონტროლის სუბიექტი ნებისყოფის სუბიექტია. ის, ვინც კარგავს სოციალური კონტროლისადმი დამორჩილების უნარს, კარგავს სამართლებრივი კონტროლის უნარსაც, ე. ი. უნარს შეასრულოს სამართლებრივი ნორმის მოთხოვნა. ასეთი ადამიანი არ აგებს პასუხს თავისი მოქმედებისათვის.

სოციალური და სამართლებრივი კონტროლი შეუძლებელია თვითკონტროლის გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაკავშირებულია „მტ“ კონცეფციის ჩამოყალიბებასთან, ე. ი. იმის წარმოდგენასთან თუ როგორ გამოიყურება მოქმედი პირი იმ ადამიანთა თვალში, რომლებიც ჩართული არიან კონკრეტულ ვითარებაში. ქცევის შაბლონის არჩევას ადამიანი ჩვეულებრივ მოტივაციის მეშვეობით ახერხებს. მოტივაციის პროცესში ხდება არა მხოლოდ მოქმედების შედეგის აწონ-დაწონა, არამედ იმ ვითარების შეფასებაც, რომელშიც უნდა გაიშალოს მოქმედება. მაგრამ თვით მოტივაციის პროცესი სოციალური კონტროლის გარეშე არ მიმდინარეობს, სოციალური კონტროლის ზემოქმედება.

ძირითადად სწორედ მოტივაციის პროცესში ვლინდება.

ისეთი ფსიქიკური პროცესები, როგორიცაა მოტივაცია, გადაწყვეტილების მიღება და ა. შ. დამახასიათებელია მხოლოდ ნებელობითი ქცევისათვის, რაც შეეხება იმპულსურ ქცევას, იგი მიედინება მოთხოვნილებისა და სიტუაციის შესაბამისად წარმოშობილი ისეთი განწყობის ძალით, რომელიც განიმუხტება ქცევად გადაწყვეტილების აქტის გარეშე. მაგრამ, შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ იმპულსურად მოქმედი პირი არ ემორჩილება სოციალურსა და, კერძოდ, სამართლებრივ კონტროლს? თუ დადებითად ვუპასუხებთ, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანი, რომელიც იმპულსურად მოქმედებს და თითქოსდა არ შეუძლია დაემორჩილოს სამართლებრივ კონტროლს, პასუხს არ აგებს დანაშაულისათვის. ამგვარი დასკვნა სწორი არ იქნება.

ზშირად მოქმედება იმპულსურად მიმდინარეობს სწორედ სოციალური თუ სამართლებრივი კონტროლის წყალობით, ადამიანი, რომელიც ასრულებს სოციალურსა და, კერძოდ, სამართლებრივ ნორმებს და არაერთგზის ემორჩილება შესაბამის კონტროლს, ისე ეჩვევა გარკვეულ მოქმედებას, რომ ასრულებს მას იმპულსურად, ვერც კი გრძნობს, რომ სოციალური თუ სამართლებრივი კონტროლის ზეგავლენას განიცდის, მაგალითად, ადამიანი, რომელიც შემხვედრ ნაცნობს ქუდის მოხდით ესალმება ან მოხუცს სკამს უთმობს, იმპულსურად მოქმედებს წორედ სოციალური კონტროლის ზეგავლენით. იგივე შეიძლება ითქვას სამართლებრივ კონტროლზეც: ავტომობილის მძღოლი იმპულსურად აჩერებს მანქანას წითელი შუქნიშნის დანახვაზე.

სოციალურმა და სამართლებრივმა კონტროლმა შეიძლება იმოქმედოს ქცევის შაბლონის

არჩევანზე იმ გაგებით, რომ გარკვეული ობიექტი გამორიცხოს მოთხოვნების დაკმაყოფილების სიტუაციიდან. მაგალითად, მორწმუნე შაჰმადიანისათვის ღორის ხორცი შიმშილის შემთხვევაშიც არ იწვევს ჭამის განწყობას, მას არ სჭირდება ნებისყოფის საგანგებო გამოვლენა, რათა ღორის ხორცი არ შეჭამოს. და ეს იმიტომ, რომ შაჰმადიანისათვის სოციალური კონტროლის ძალით ღორის ხორცი გამორიცხულია როგორც ობიექტი შიმშილის დაკმაყოფილების სიტუაციიდან.

სამართლებრივი კონტროლის ძალით მაღალი მართლშეგნების მქონე მოქალაქე, როგორც წესი, ნებისყოფის დაძაბვის გარეშე ემორჩილება კანონის მოთხოვნას. ასეთი კაცი, როცა იგი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ქცევის შაბლონს ირჩევს, არც კი მსჯელობს იმაზე ჩაიდინოს თუ არა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რადგან სამართლებრივი კონტროლის ძალით, მისთვის სამართლით დატული ობიექტი წინასწარ გამორიცხულია მოთხოვნების დაკმაყოფილების სიტუაციიდან.

სოციალურმა და სამართლებრივმა კონტროლმა შეიძლება მოახდინოს ზემოქმედება იმპულსურ ქცევაზე როგორც ობიექტური ხასიათის წინააღმდეგობა.

ქცევა ხშირად მიმდინარეობს იმპულსურად, რამდენადაც მას არ ეღობება ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის წინააღმდეგობა. თუ ამგვარი წინააღმდეგობა გაჩნდა, მოქმედების მიმდინარეობა ფერხდება, კაცი შეიგნებს ვითარებას და მიიღებს გადაწყვეტილებას, როგორ წარმართოს მოქმედება შემდეგში. ასეთ შემთხვევაში იმპულსური ქცევა გადაიქცევა ნებლობით ქცევად, იმპულსური ქცევის ნებლობითი ქცევით შეცვლის მიზეზად შეიძლება მოგვევლინოს სწორედ სოციალური ან სამართლებრივი კონტროლი.

ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს არა მხოლოდ ნებლობით ქცევას, არამედ იმპულსურსაც, როდესაც ადამიანს აქვს უნარი შეიცნოს თავისი ქცევა და ამით მას ნებისყოფა შეუზიაროს. რეფლექტორული და ისეთი იმპულსური მოქმედების დროს, როდესაც ნებლობითი სფერო შებორკილია, ადამიანი არ გვევლინება ნებისყოფის სუბიექტად. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ნებისყოფის სუბიექტს, რადგან მხოლოდ ნებისყოფას შეუძლია გაათავისუფლოს კაცი მოთხოვნების იმპულსთა ბატონობისაგან და მისცეს მას საშუალება შეასრულოს სამართლებრივი ნორმების მოთხოვნა. როცა გა-

მორიცხულია ნებლობითი ქცევის შესაძლებლობა, გამორიცხულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც. დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ ნებისყოფის სუბიექტი. მაგრამ ნებისყოფის სუბიექტად გვევლინება არა მხოლოდ ის, ვინც ნამდვილად ჩაიდინა ნებლობითი საქციელი, არამედ ისიც, ვინც კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედებდა როგორც სამართლებრივი კონტროლის სუბიექტი, ე. ი. ის, ვისაც შესწევდა თვითკონტროლისა და აღმდენად ნებლობითი ქცევის უნარი. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეუძლებელია, თუ ადამიანს არ აქვს თვითკონტროლის უნარი და მასთან უნარიც დაემორჩილოს სამართლებრივ კონტროლს<sup>4</sup>.

გოჩამ კითხვა დაამთავრა.  
— გასაგებია? — ფეხზე წამოდგა ბიძინა.  
— დაუფშვით, რომ შეეძელით იმპულსური მოქმედების დროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაბუთება. მაშინ მეორე საკითხი მაინც გვრჩება გაუგებარი, — წამოიწყო მამიამ.

— მაინც, რა არის ასეთი? — შეეკითხა ბიძინა.

— შენ თქვი, რომ მაღალი მართლშეგნების ადამიანი დანაშაულს არ ჩაიდენს, ისიც თქვი, რომ იმპულსური მოქმედება გაუცნობიერებელი, მოუფიქრებელი, ე. ი. შეუგნებელი მოქმედებაა. ხომ თქვი?

— ვთქვი!

— მაშინ, გამოდის, რომ იმპულსური მოქმედების დროს მართლშეგნება არაფერ შუაშია!

— რატომ?

— იმიტომ, რომ მართლშეგნება შეგნების ნაწილია და იქ, სადაც ცნობიერება არ არის, არ არის არც შეგნება და იქ, სადაც შეგნება არ არის, არ იქნება არც მართლშეგნება, ხომ ვარ სწორი?

— არა ხარ სწორი, — თავი გააქნია ბიძინამ.

— რატომ არა ვარ სწორი? — გაიკვირა მამიამ, — მაგალითად ვთქვათ, კაცი დაბრუნდა სახლში და ეზოში საკუთარი შვილი დინახა ყელგამოჭრილი, მკვლელი კი მშვიდად მიდის. შევარდა ის კაცი ოთახში, გამოიტანა სანადირო თოფი, გაეკიდა მკვლელს, ესროლა და მოკლა. რას ეძახით თქვენ ასეთ მკვლელობას?

— ეს აფექტში ჩადენილი მკვლელობაა. იგი ისევეა, მაგრამ გაცილებით მსუბუქად, ვიდრე ჩვეულებრივი განზრახი მკვლელობა.

— დაუფშვით, რომ ასეთი მკვლელობისათვის დასჯა სწორია, მაგრამ აქ მართლშეგნების საკითხი მაინტერესებს... როგორ გინდა დასაბუთო, რომ იმ კაცს, რომელიც აფექტში კლავ-



და მკვლელს, შეგნებულნი ჰქონდა თავისი მოქმედება, და როგორ გინდა ასეთ შემთხვევაში მისი საქციელი დაუკავშირო მართლშეგნებას?  
— ნუ ღელავ, მამია, მაგ კითხვაზეც არის ამ წიგნში პასუხი.

ბიძინამ წიგნი გამოართვა ვოჩას, გადაფურცლა და ფანქრით მოხაზა ადგილი

— აი აქედან დაიწყე, თორემ ბაბუაშენი გაგვექცევა და დავიღუპებით!

გოჩამ ხმამაღლა დაიწყო კითხვა.

„მოთხოვნილების შესაბამისი მიზნის დასახვა, მოტივაციის პროცესი, ამ პროცესის შედეგად მოტივის გამომუშავება და გადაწყვეტილების მიღება დამახასიათებელია მხოლოდ ნებელობითი ქცევისათვის. იმპულსურ ქცევას ამგვარი ფსიქოლოგიური ეტაპები არ ახასიათებს. მის დროს მოთხოვნილება უმოკლესი გზით კმაყოფილდება. ამასთანავე, როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულის ჩადენა შეიძლება არა მარტო ნებელობითი, არამედ იმპულსური ქცევითაც, როცა გარკვეულ სიტუაციაში მოთხოვნილება მოტივაციის გარეშე ქმნის დანაშაულებრივი ქცევის განწყობას, რომლის რეალიზაციაც უშუალოდ დანაშაულებრივ ქცევაში ხდება.

იხადება კითხვა, რაკი იმპულსური ქცევა მოტივაციის გარეშე წარმოებს, ხომ არ გამოირიცხავს ეს მართლშეგნების ზემოქმედებას ქცევაზე?

რასაკვირველია, არა.

ფიქსირებული განწყობის დროს ანდა, როცა ქცევის განწყობა არ მოიცავს საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, დანაშაულის ჩადენა შეიძლება გაცნობიერების გარეშე, იმპულსურად მოხდეს. იმპულსური დანაშაულის მიზეზად შეიძლება გახდეს გარკვეული სიტუაცია, ალკოჰოლის გავლენა, უცარი ემოციური განცდა, განსაკუთრებით კი აფექტი. ყველა ამ შემთხვევაში აფექტური ქცევის დროსაც კი, ადამიანი პასუხს აგებს კანონის წინაშე თავისი იმპულსური ქცევისათვის, რადგან იგი სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ქვეშ იმყოფება.

იმპულსურ ქცევას, როგორც გაუცნობიერებელ ქცევას, არ ახასიათებს მიზნის დასახვის ფსიქოლოგიური ეტაპი, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფსიქოლოგები ლაპარაკობენ მიზანზე იმპულსური ქცევის დროსაც, თუმცა ნებელობითი ქცევის მიზნისაგან განსხვავებით იმპულსური ქცევის მიზანი უშუალოდ მოთხოვნილების პროდუქტია, იგი გაუცნობიერებელია და ისევე, როგორც თვით ქცევაც მოუფიქრებელია. იმპულსური ქცევის განწყობას არ უძღვის წინ მოტივაციის პროცესი, მაგრამ ეს არ აძლევს საფუძველს ფსიქოლოგებს უარ-

ყონ მოტივის არსებობა იმპულსური ქცევის დროს. იმპულსური ქცევის მოტივი განსხვავდება ნებელობითი ქცევის მოტივისაგან იმით, რომ იგი მოცემულია თვით მოთხოვნილებაშივე და მისი დაკმაყოფილების პროცესში. იმპულსური ქცევის დროს მოტივად გვევლინება გრძნობა, რომელიც ამცნობს სუბიექტს ქცევის ღირებულებას. იმპულსური ქცევა მიზანშეწონილი ქცევაა და არ ეჭუთენის ისეთ შეუზღებელ ქცევებს, როცა კაცმა არ იცის რას სჩადის. იმპულსური ქცევის დროს ინდივიდი შეიგრძნობს თავისი ქცევის ძირითად მიმართულებას, მაგრამ საკითხავია, აქვს თუ არა მას წარმოდგენა თავისი იმპულსური ქცევის სოციალურსა და სამართლებრივ მნიშვნელობაზე?

ამ საკითხის გამო საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული დასავლეთ გერმანელ მეცნიერს გუტენერ შევეს. ისინიც კი, ამბობს იგი, ვინც კანონს პატივს სცემენ, არც თუ ისე კარგად ერკვევიან საკანონმდებლო ნორმებში და ამიტომ ზედმეტია ვეძებოთ კანონის დამრღვევში „შეგნებულობის“ ელემენტები, როგორც ნათლად გამოხატული განცდა. მთავარია იმის გარკვევა, აქტუალური დამოკიდებულება აქვს პირს დარღვეული საკანონმდებლო ნორმისადმი თუ „ცოდნა“ ჩადენილი დელიქტის არამართლზომიერების შესახებ „პოტენციურ ველს“ განეკუთვნება. შევეს მიაჩნია, რომ აფექტის დროს ხდება კონცენტრაცია შესატყვისი ობიექტზე, ხოლო ამით ადამიანის ინტელექტუალური სფერო იზღუდება და ცოდნის ერთი ნაწილი „პოტენციურ ველში“ გადადის. მიუხედავად ამისა, ადამიანი აფექტის დროსაც ინარჩუნებს აქტუალურ დამოკიდებულებას გარკვეული ცოდნისადმი. შევეს მოაქვს მონადირის მაგალითი, რომელიც სახუნდარში ელოდება ნადირის გამოჩენას; თუმცა მან იცის მომრეკის გამოსაჩენი ადგილი, მაგრამ გეტაცების გავლენით ეს ცოდნა პოტენციურ ველში ინაცვლებს და მონადირეს მის მიმართ აქტუალური დამოკიდებულება აღარ აქვს. ავტორის აზრით, იმ ღებულების სისწორეს, რომ აფექტში ჩადენილი დანაშაულის დროს დამნაშავეს მაინც აქვს აქტუალური დამოკიდებულება მოქმედების არამართლზომიერებისადმი, ყველაზე უფრო ადასტურებს დამნაშავის ყოფაქცევა დანაშაულის ჩადენამდე და ჩადენის დროს, რომელიც არ შეიძლება შევადაროთ იმის მოქმედებას, ვისაც მიაჩნია, რომ ურიგოს არაფერს სჩადის. მართლწინააღმდეგობის მხოლოდ „პოტენციური ცოდნა“ ვერ გამოიწვევს ასეთ მდგომარეობას, მას რომ ეს შესძლებოდა მაშინ ზემორე მაგალითში მონადირესაც გასროლის დროს თავი მკვლელად უნდა მიეჩნია.

აფექტურ მოქმედებას შევე აღარებს პათოლოგიურ სიმთვრალეში ჩადენილ მოქმედებას, რომლის დროსაც ზოგიერთ სოციალურ კავშირს ნამდვილად ეკარგება მნიშვნელობა და დიდად ირღვევა სინამდვილის უწყვეტობის შეგრძნება, ყველაფერი, რაც ხდება, ურთიერთდამოუკიდებელ, უწყსრიგო ელემენტად აღიქმება. ასეთ სომოგენურ ან ეგზოგენურ, დაბინდულ მდგომარეობაში ადამიანი ჩვეულებრივ მოქმედებს ისე, ვითომ არაფერ უგულებელყოფს ფსიქიკურ ნორმებს, „არ უთანხმებს თავის მოქმედებას გარემოს“, არამედ ეს ნორმები საერთოდ თითქოს დაკარგულიყოს მისი გონებიდან, თითქოს ისინი არც არსებობდნენ. ამის კვალობაზე, შევეს შეხედულებით, შეურაცხადობის მდგომარეობაში სუბიექტს დარღვეული აქვს ყოველგვარი კავშირი თავის ცოდნასთან. იგი ისე მოქმედებს, თითქოსდა ეს ცოდნა არასოდეს ჰქონოდა. ხოლო აფექტის დროს მას აქვს კავშირი თავის ცოდნასთან. ქმედობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეგნებას შევე უკავშირებს ცოდნის გააქტუალურებას, ცოდნისა, რომელიც მანამდე „პოტენციურ ველს“ ეკუთვნოდა.

საკითხი სწორად არის დასმული, მაგრამ დასავლეთ გერმანელმა მეცნიერმა თავი აარიდა მთავარს. მან ვერ გვაჩვენა, თუ როგორ ხდება გაცნობიერების გარეშე ცოდნის სწორედ იმ სფეროს გააქტუალურება, რომელიც სუბიექტს ამ ვითარებაში სჭირდება და როგორ შეიძლება დასაბუთდეს აფექტის დროს დამოკიდებულება მართლწინააღმდეგობისადმი, ეს და სხვა საკითხები შევეს განუხილველი დარჩა, იმიტომ მისი საინტერესო კონცეფცია დაუმთავრებელია და ზოგჯერ მას თანმიმდევრულობაც აკლია.

ამ რთული საკითხის ამოხსნას დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია იძლევა: — ადამიანის მიერ ცოდნისა და გამოცდილების, ე. წ. პოტენციური ველის შექმნა და გაფართოება ძირითადად ნებელობითი პროცესებია, სწავლით, შრომით, ადამიანებთან ურთიერთობით ხდება. მაგრამ დაგროვილი ცოდნის გამოყენება წარმოებს როგორც ნებელობითი პროცესების შემწყობით, ისე მათ გარეშე. გარკვეული ცოდნის აქტუალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, წარმოებს აზროვნების მეოხებით სიტუაციის გაცნობიერებისა და მოტივაციის პროცესში. მაგრამ ცოდნის გააქტუალურება შეიძლება უამისოდაც ხდებოდეს. მაგალითად სტუდენტი, რომელიც გუშინ აბარებდა გამოცდას მათემატიკაში, დღეს ელექტროგაყვანილობას აკეთებს სახლში. მას გაუთავდა საიზოლაციო ლენტის, მივიდა კარდასთან, გამოიღო ახალი და განა-

გრძო მუშაობა. მან გააკეთა ეს თავისი ქცევის გაუცნობიერებლად, რადგან იცოდა, რომ კარდაში საიზოლაციო ლენტი იდო. მას არ უმსჯელია ლენტის თვისებებზე და იმაზე, გამოადგებოდა იგი თუ არა, ვინაიდან აღრვეე იცოდა მისი თვისებები. იგი გაუცნობიერებლად აღიქვამს ლენტს, როგორც ფიზიკურ საგანს, არა მისი გარკვეული მასის, ფორმის, ფერის განცალკევების პირობებში, არამედ ყველა მის თვისებას მთლიანობაში. და ასე ხდება იმიტომ, რომ მან იცის საიზოლაციო ლენტის თვისებები და აქვს ამ ცოდნისადმი აქტუალური დამოკიდებულება. ლენტისა და მისი თვისებების შესახებ მან იცოდა გუშინაც, როდესაც გამოცდაზე მათემატიკურ ამოცანას ხსნიდა, მაგრამ მაშინ ამ ცოდნისადმი მას აქტუალური დამოკიდებულება არ ჰქონია, იგი ცოდნის პოტენციურ ველს ეკუთვნოდა.

საკითხავია, რატომ ხდება, რომ სიტუაციის გაუცნობიერებლად სხვადასხვა შემთხვევაში ცოდნის სხვადასხვა სფერო აქტუალურდება, რა უწყობს ხელს, რომ გააქტუალურების შემთხვევაში სუბიექტი გაცნობიერების გარეშე იყენებს ცოდნას მოწესრიგებულად და მიზანდასახულად. ყოველივე ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ გაუცნობიერებელი მოქმედებაც განწყობით წარიბარებება.

ფსიქოლოგები განწყობას განიხილავენ როგორც ქცევის უშუალო წყაროს, როგორც ფაქტორს, რომელიც განაპირობებს მის მიზანშეწონილობას. ქმედობის შესაბამისობა სიტუაციისადმი, ე. ი. მისი მიზანშეწონილი ხასიათი აიხსნება იმით, რომ განწყობაში წინასწარ მოცულია ის, რაც მომავალში უნდა მოხდეს, რაც მოთხოვნილების დამაყოფილება არ აწყდება სუბიექტურ თუ ობიექტურ დაბრკოლებას, ანდა არ ხდება ქცევის ახალი შაბლონის გამომუშავება, მოქმედება მიმდინარეობს გაუცნობიერებლად, მაგრამ განწყობის მეოხებით, რომელიც მოთხოვნილებისა და აქტუალური სიტუაციის საფუძველზე წარმოიშობა. ასეთი ქცევა მოწესრიგებულია. მისი მიზანშეწონილობა და მოწესრიგებულობა აიხსნება თვით განწყობის შინაარსით, იმით, რომ განწყობა ინდივიდის მთლიან მდგომარეობას მოიცავს. განწყობა წარმოიშობა მოთხოვნილების სუბიექტში და იწვევს მის მოდფიკაციას გარკვეული ქცევის მიმართულებით.

მაგრამ, თუ კი განწყობა სწორედ რომ სუბიექტის გარდაქმნას წარმოადგენს, მის მზაობას განსაზღვრული მოქმედებისათვის, მაშინ იგი პიროვნების ყველა ფსიქოფიზიკური ძალებისა და, კერძოდ, დაგროვილი ცოდნის მოდფიკაციად ისახება. ცხადია, გარკვეული ქცევის გან-

წყობის შექმნა გულისხმობს სუბიექტის ცოდნის იმ სფეროს გააქტუალურებას, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა კონკრეტული ქცევის განსახორციელებლად.

გავიხსენოთ შევეს მაგალითი. მონადირემ იცის საიდან მოდის და სად უნდა გამოჩნდეს ნადირის მომრეკი. მაგრამ მონადირული გატაცება ავიწყებინებს ამას, იგი ესვრის ნადირს და ჰკლავს ადამიანს. ამ შემთხვევაში მონადირის ცოდნამ, რომ მისთვის ამ მიმართულებით თოფის გასროლა საზიფათოა, „პოტენციური ველისაქენ“ გადაინაცვლა. ნადირის მოპოვების მისწრაფებამ და შესაბამისმა სიტუაციამ (ნადირის გამოჩენამ) შეუქმნა მონადირეს ქცევის გარკვეული განწყობა. ამ განწყობის მიხედვით მოხდა მხოლოდ იმ ცოდნის გააქტუალურება, რომელიც შესაბამისი ქცევისათვის იყო საჭირო. მონადირემ მიზანში ნადირი ამოიღო და ესროლა. მისი განწყობა მოიცავდა ნადირის და არა ადამიანის მოკვლას. ამიტომ მონადირეს თოფის გასროლისას არ ჰქონია აქტუალური დამოკიდებულება იმ გარემოებისადმი, თუ სად იმყოფებოდა მომრეკი. ცოდნა ამის შესახებ პოტენციურ ველში რჩებოდა. მონადირერეს მართალია, შერჩენილი აქვს შექმნილი სიტუაციის შეფასების შესაძლებლობა, მაგრამ ნამდვილად იგი ვერ აფასებს მას. ასეთი ფსიქიკური მდგომარეობის დროს შესაძლებელია დასაბუთდეს გაუფრთხილებლობა და არა განზრახვა.

მოვითხოვთ სხვა მაგალითიც. ან-ი განრისხებულია ბან-ზე, რომელმაც დიდი შეურაცხყოფა მიაყენა მას. ან-ი აფექტით შეპყრობილი შერბის ოთახში, იღებს სანადირო თოფს და მისდევს ბან-ს, ეწვევა მას, ესვრის და ჰკლავს. ან-ის მოქმედება იმპულსურია, იგი გაცნობიერებული არ არის: მისი არც ფაქტობრივი მხარე და არც საზოგადოებრივი მნიშვნელობა წინასწარ მოფიქრებული არ ყოფილა. მას მოტივაციის პროცესი არ გაუვლია. მაგრამ განა შეიძლება უარვეყოთ, რომ ან-ს თავისი ქმედების ფაქტობრივი და იურიდიული მხარე შეცნობილი ჰქონდა? ვგონებთ, არა.

ფსიქიკურმა ტრავმამ გამოიწვია ან-ში შეურისძიების მოთხოვნილება, რაც ემოციური განცდით, რისხვის აფექტით გამოიხატა. შურისძიების მოთხოვნილებამ და სათანადო სიტუაციამ (თოფის ხელმისაწვდომობამ, რისხვის ობიექტის სიახლოვემ) გამოიწვია მკვლელობის განწყობა. რადგან განწყობაში ქცევის მიზანი და სიტუაცია აისახება, ხდება ცოდნის იმ სფეროს გააქტუალურება, რომელიც საჭიროა ამ ვითარებაში მიზნის მისაღწევად. განწყობის წყალობით ქცევა მიზანშეწონილია და

საკმაოდ მომჭირნე: მკვლელი შერბის სწორედ იმ ოთახში, სადაც, როგორც იცის, კედელზე თოფი ჰკიდია. იქნებ მას ამ დროს ხელში წიგნი ეჭირა, მაგრამ მან თავის შეურაცხმყოფელს ამ საგნით კი არ შეუტია, რადგან იცის, რომ იგი საამისოდ უვარგისია, იგი თოფით შეიარაღდა, მისდევს მსხვერპლს, ცდილობს მიუახლოვდეს და თავში, ე. ი. სწორედ სასიკვდილო ადგილას უმიზნებს.

ცხადია, რომ სწორედ განწყობის შედეგად აფექტური მოქმედების დროს მკვლელს არაცნობიერად უჩნდება აქტუალური დამოკიდებულება თავისი მოქმედების არა მართო ფაქტობრივი მხარისადმი, არამედ მისი შეფასებისადმიც. მან იცის ისიც, რომ კედელზე თოფი ჰკიდია და იგი საიმედო იარაღს წარმოადგენს მიზნის მისაღწევად, და ისიც, რომ საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას სჩადის. და თუ მას, სასროლად გამოადებულს, ვინმე შესახებს, არ ესროლო, ეს საზოგადოებრივად საშიშაო, მკვლელი არაფერს ახალს არ გაიგონებს.

ამრიგად, განწყობის გამო იმპულსური და ასევე, კერძოდ, აფექტური ქცევის დროს ხდება ცოდნის იმ სფეროს გააქტუალურება, რომელიც საჭიროა ამ კერძო ვითარებაში განწყობით მოცული მიზნის მისაღწევად. ამასთანავე ხდება ცოდნის იმ სფეროს გააქტუალურება, რომელიც არა მართო საგანთა თუ მოვლენათა ურთიერთკავშირის ფაქტობრივ მხარეს ეხება, არამედ მათ შეფასების მხარესაც მოიცავს. ამ შემთხვევაში ქმედობის ფაქტობრივი და შეფასებითი მხარე ერთიანია და გათიშულად არ აღიქმება. ამიტომ აფექტში მყოფმა მკვლელმა იცის არა მართო ის, რომ თოფით შეიძლება ადამიანი მოკლას, არამედ ისიც, რომ ამის მქმნელი მკვლელია, რომ იგი მართლსაწინააღმდეგოდ იქცევა.

თუ იმპულსური ქცევის განწყობა ცოდნის პოტენციური ველის იმ ნაწილის გააქტუალურებას იწვევს, რომელიც მოცემულ ვითარებაში საჭიროა განსაზღვრული ქცევის შესასრულებლად, მაშინ სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის განხორციელების დროს გაცნობიერების გარეშე მოხდება შეგნების იმ ნაწილის გააქტუალურება, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროს მოიცავს. ამ სფეროს კი მართლშეგნება ასახავს.

მართლშეგნება, რომელიც ადამიანის სოციალიზაციის და სამართლებრივი აღზრდის კვალობაზე იქმნება, არ არის მხოლოდ სამართლებრივი ნორმების და მათგან გამომდინარე თუ მათზე დამყარებული ურთიერთობის ცოდნა და აგრეთვე ამ სფეროში მიღებული გამოცდილება. იგი წარმოადგენს სამართლებრივ ღირე-

ბულებათა მთელ სისტემას, ქცევის შაბლონების წინასწარ გამოუმუშავებას სამართლებრივი მნიშვნელობის სიტუაციისათვის და, რაც მთავარია, დამოკიდებულებას სამართლებრივი მნიშვნელობის გარკვეულ მოქმედებათა მიმართ, მართლშეგნება არის მზაობა კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად.

მაღალი მართლშეგნება გამოირიცხავს მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან სამართლით დაკული ობიექტის ხელყოფას, ე. ი. ქცევას, რომელიც აკრძალულია კანონით. სწორედ ამიტომ გაპყიდველმა რომ დახლზე უყურდებოდ ფული დატოვოს, ამით მაღალი მართლშეგნების ადამიანისათვის არ იქმნება სიტუაცია, რომელშიც მას შეუძლია ფულის მოთხოვნილება დაკმაყოფილოს. შექმნილი გარემოება არ გამოიწვევს მასში იმპულსურად ქურდობის განწყობას. იმისათვის კი, ვისაც ადრეც მოუპარავს და ამით ქურდობის ფიქსირებული განწყობა გასჩენია, დახლზე დატოვებული ფული ქურდობის განწყობის წარმოშობს სიტუაციას ქმნის, ქურდობის განწყობა შეიძლება მოტივაციის გარეშე გაუჩნდეს დაბალი მართლშეგნების ისეთ ადამიანსაც, რომელსაც, მართალია, ადრე არ მოუპარავს, მაგრამ თუ ხერხიანი გარემოება შეხვდა, ქურდობა ხელსაყრელ საქმედ მიაჩნია. მას ქურდობის მოტივი და შესაბამისი ქცევის შაბლონი ადრევე აქვს შემუშავებული. ის, ვისაც მანამდე არ უქურდია და ქურდობა ქცევის შაბლონად შემუშავებული არა აქვს, დაუფიქრებლად, მოტივაციის გარეშე ქურდობას ვერ ჩაიდენს. ასეთი მოქმედებისათვის მას ნებისყოფის დაძაბვა და მოტივაციის რთული პროცესი დასჭირდება.

ამრიგად, მოტივაციის გარეშე კანონის შესრულება მაღალი მართლშეგნების მაჩვენებელია. ამ შემთხვევაში კანონი გაცნობიერების გარეშე სრულდება, რამდენადაც მოქალაქეს საამისოდ წინასწარი მზაობა აქვს შექმნილი.

პირიქით, დანაშაულის იმპულსურად ჩადენა პიროვნების დაბალი მართლშეგნების, მისი დაბალი სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია — ასეთ ადამიანს დანაშაულებრივი ქცევის შაბლონი, დანაშაულის ჩადენის მზაობა წინასწარვე გამოუმუშავებული ჰქონია და დანაშაულის ჩადენისათვის მოტივაციის პროცესიც აღარ სჭირდება. მისთვის სამართლებრივი კონტროლი მხოლოდ სასჯელით მუქარის სახით არსებობს. დანაშაულს ხშირად იმპულსურად სჩადიან რეციდივისტები, რომელთა მოტივაციის პროცესი მიმართულია არა იქითკენ, ჩაიდინონ თუ არა დანაშაული, არამედ იმაზე, უფრო მოხერხებულად როგორ დაუძვრნენ მართლმსაჯულებას, ანდა ხომ არ გადადოს დანაშაულის ჩადენა სხვა დროისათვის რაკი საქმეს „კარგი პირი“ არ უჩანს.

მაშასადამე, მართლშეგნების ზემოქმედების ძალა იმპულსური ქცევის დროს უფრო მკვეთრად მოჩანს. მაღალი მართლშეგნების ადამიანმა არც კი უნდა განსაჯოს, ჩაიდინოს თუ არა დანაშაული თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; მისთვის დანაშაულებრივი ქმედობა მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან წინასწარვე გამოირიცხებულია და ამიტომ იგი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი ქცევის არჩევის დროს გაუცნობიერებლად გვერდს უვლის დანაშაულებრივ ქცევას, იმპულსურად ირჩევს ქცევას იმ შაბლონთაგან, რომელიც დანაშაულებრივ ქცევათა მიღმა არიან“.

გოჩამ წიგნი დახურა.

— გასაგებია ყველაფერი? — იკითხა ბიძინამ.

— გასაგებია, კი, მაგრამ ძალიან სერიოზულად არის ნათქვამი, — ჩაილაპარაკა მამიამ.

— რას იზამ, გზა ქვეშაირტებისკენ რთული გასაგებია, — ბიძინა წამოდგა და სტუმრები ჰიშკრამდე გააცილა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



# ქრიძინალოხცივის ისტორიიდან

## ცნობილი სიხლის სამართლის საქმეები

### ვან მთავარიანი და ყალბი ვერმთავრები

ჯონ შავი

#### სკოლის მასწავლებელი, მეთე და ლომები

**მრავალი** სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი ჰენრისიუს ვან მეთეგერენი დევენტერის პედაგოგიურ სასწავლებელში ასწავლიდა ინგლისურ ენასა და ისტორიას. მკაცრი დისციპლინის მომხრე გახლდათ და როგორც ოჯახში, ისე მოსწავლეთა შორის ვერ ეგუებოდა აზროვნებისა და ქცევის ტრადიციებიდან ოდნავ გადახრასაც კი თავისი სასტიკი ხასიათის გამო. იგი სრულიად უგულვებელყოფდა და უარყოფდა ყველაფერს, რაც სულ მცირედითაც კი დაკავშირებული იყო ხელოვნებასთან. გამოჩენილი დევენტერელი მხატვარი ტერბორხიც კი, რომელსაც მშობლიურ ქალაქში თავიანთ სცემდნენ, მის თვალში არაფერს წარმოადგენდა. და ცხადია, ეს კაცი, რომელიც შეპყრობილი იყო წესრიგის სიყვარულით, ვერც კი გაიფიქრებდა, რომ მისი ერთ-ერთი შვილთაგანი როდისღაც შესძლებდა რამდენადმე თვითმყოფად წარმოსახვას.

ჰან ვან მეთეგერენი სწორედ სკოლის ამ მასწავლებლის ვაჟია. დაიბადა 1889 წლის 3 მაისს და ოჯახის ხუთ შვილში იგი მესამე იყო. მისი დედა, აუგუსტა, გათხოვების შემდეგ იძულებული გახდა უარი ეთქვა ადრე გამომცლადებულ მუსიკისა და ხატვისაკენ მიდრეკილებაზე. მასში ჩაზნობილია არტიტულმა ნატურამ ხორცი შეისხა ახალგაზრდა ჰანში — ამ მეტად მორცხვ და ხუთ შვილს შორის ყველაზე სუსტ ბიჭში. სულ მალე მისთვის ხატვა იქცა ფიზიკური არასრულფასოვნების განცდის კომპენსაციის საშუალებად. ამის თაობაზე მან მოგვიანებით განაცხადა:

„წარმოვისახე ისეთი სამყარო, რომელშიც მე მეფე ვიყავი, ჩემი ქვეშევრდომები კი — ლომები“.

ექვიანი მამა ნიადაგ წუხდა ბიჭის ამ გატაცების გამო. ანადგურებდა ვაჟიშვილის ნახატებს და უკრძალავდა ცოლს, რათა არ გამოეჩინა იოტისოდენი მოწონებაც კი შვილის შემოქმედებითი წყურვილისადმი. სინამდვილეში კი პამის მიერ გაუთავებელმა აკრძალვებმა ჰანს კიდევ უფრო გაუძლიერეს წინააღმდეგობის სულისკვეთება და თვითგამოხატვისადმი სწრაფვა.

სრულიად გასაგებია, რომ ჰან ვან მეთეგერენს უკვე ცხრა წლისას კარგად ეხერხებოდა ყველანაირი და არცთუ ისე უწყინარი ოინების ჩადენა. ერთხელ საპოლიციო უბნის კარები ჩაკეტა — ვილაცას გასაღები გარედან დარჩენილია. ღირსებაშელახული პოლიციელები ფანჯრებიდან ძვრებოდნენ და წყალსადინარი მილების საშუალებით ძირს ეშვებოდნენ. ერთხელ კი მისი ბიძის ეკლესიაში წირვის დაწყების წინ გაქრა ზიარებისათვის განკუთვნილი ღვინის მთელი მარაგი. ჰანს უყვარდა სიმბოლოებთან ბრძოლა — ეს იქნებოდა ხელისუფლებისა თუ რწმენის სიმბოლო.

#### მეორე მასწავლებელი, საღვთაყვანის პაცნოვა

ჰან ვან მეთეგერენის ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საშუალო სკოლაში სწავლისას ხატვის მასწავლებელთან ბარტუს კორტელინგთან შეხვედრამ. იგი ამავე დროს ფერწე-

რის დიდი ოსტატი იყო, მაგრამ ნაკლებად ცნობილი. სულ მალე ვან მეგერენმა თავი გამოიჩინა, როგორც მისმა საუკეთესო მოსწავლემ. ისინი ჭეშმარიტ მეგობრებად იქცნენ და ეს მეგობრობა გაგრძელდა სიცოცხლის ბოლომდე. მიუხედავად მამის უკმაყოფილებისა, ამიერიდან ვან მეგერენი მთელ თავისუფალ დროს თავისი მასწავლებლის კორტელინგის სახელოსნოში ატარებს. მასწავლებელი უნერგავს მას ხატვის ძველებური მანერის გემოვნებას და ამასთან ერთად, წერტნის ამ მანერის დაუფლებას. კორტელინგისათვის ჭეშმარიტი ფერწერა XVII საუკუნით მთავრდება. ეს მისი მოწავის კრედიტად იქცა. მათი მასწავლებლები არიან გ. ტერბორხი, ფ. ჰალსი, პ. დე ჰოხი, ი. ვერმეურტი.

ამრიგად, კორტელინგის წყალობით ვან მეგერენმა იპოვა საკუთარი გზა, რომელსაც, იმავედროულად, განსაზღვრული საზღვრები გააჩნდა. იმ მხატვრის გავლენით, რომელსაც თანამედროვე ფერწერა „დროის უაზრო ხარჯად“ მიაჩნდა, მოსწავლემ უარყო თანამედროვე მეთოდები, რადგან მათ, ტექნიკური თვალსაზრისით, მიიჩნევა იოლ და უფერულად. ამიტომ იგი თავს მოვალედ თვლის, რათა თვითონვე შეეშალოს საღებავებს, როგორც ეს მიღებული იყო დიდი ოსტატების ხანაში. კორტელინგი გულმოდგინედ ხელმძღვანელობს მას ამ ალქიმიურ ძიებებში, რაც მოსწავლის სამომავლო კარიერისათვის ფრიად ნაყოფიერი გამოდგა.

მინერალი სინგური ვერცხლისწყლის შერევით იძლევა მოწითალო-მოყავისფრო პიგმენტს; გამომწვარი სინა (გახურებული თიხის, რკინის ქანგის ჰიდრატისა და მარგანცის ორქანგის ნარევი) — ხასხასა წითელს; ყვითელი ფერი მწკნარმა მიიღო თვითნაბადი ქანგმიწის დაწყვიტა და გარეცხვით, თეთრი — ტყვიის თეთრისაგან, შავი — ნახშირისაგან და ა. შ. ცხადია, იმ დროს კარგა ხანია უკვე იყენებდნენ სინთეტიკურ საღებავებს, და თავისი მასწავლებლის კვალს მიყოლილი ვან მეგერენის ასეთი საქციელი საკმაოდ კარგად ადასტურებს მის არჩევანს: იგი ვახლება არა ავანგარდისტი, არამედ იქნება ტრადიციების გამგრძელებელი.

მამასთან იმდროინდელ განუწყვეტლივ კონფლიქტში გამოიძებნა დროებითი გამოსავალი — მამამ და შვილმა მიმართეს კომპრომისს. სკოლის მასწავლებელი იძულებულია აღიაროს, რომ ჰანი, ვის ნიჰსაც იგი არ აფასებს, შვილებს შორის ერთადერთია, ასევე როგორც თავის დროზე თვითონ, რომელსაც საშუალო განათლება არ აკმაყოფილებს. 18 წლის ჰან ვან მეგერენი ჩაირიცხება დელფტის ტექნოლოგი-

ურ ინსტიტუტში, რათა იქ, მართალია, არცთუ განსაკუთრებული ენთუზიაზმით, მოისმინოს არქიტექტურის კურსი. მამა მოთმინებით შეხვდა შვილის ასეთ არჩევანს, რადგან იგი ამას საკუთარ პრინციპებთან ასე თუ ისე უთავსებდა. მაგრამ იგი ძველებურად სახვითი ხელოვნების სკოლაშიც დადის და მას კვლავინდებურად დიდ ყურადღებას უთმობს. მას ფერწერა უფრო იტაცებს, ვიდრე არქიტექტურა და არდადეგებსაც ბარტუს კორტელინგთან ატარებს. სწორედ ამ დროს ხდება მისი მხატვრად ჩამოყალიბება.

მიუხედავად ამისა იგი წლიდან წლამდე წარმატებით აბარებს გამოცდებს ინსტიტუტში.

1911 წელს, მეოთხე კურსის დასრულებისას, იგი ხვდება ევრაზიელ, მშობლებს ჩამოშორებულ ანა დე ვოიხტს. მომავალი წლის გაზაფხულზე ისინი ქორწინდებიან, მიუხედავად ვან მეგერენის მამის წინააღმდეგობისა: ანა ამ დროს უკვე შვილს ელოდებოდა. მეუღლეები საცხოვრებლად მიემგზავრებიან რაისვიკში, ანას ბებიასთან.

ასეთ პირობებში 23 წლის ვან მეგერენი იწყებს თავისი ნახატების გაყიდვას. მისი ექვსიოდე ნაწარმოები გაიყიდა, თუმცა მეტად მცირე ფასად. ცოლის მხარდაჭერით იგი სეროიზულად ფიქრობს პროფესიონალ მხატვრად გახდომას. ამრიგად, იგი იძულებულია ისეთი საქმიებისაკენ წარემართა მთელი თავისი ენერჯია, რომლებიც თხოულობდნენ ბევრ დროს, რაც ბუნებრივია არქიტექტურაში მეცადინეოს აკლებდოდა.

**წარუმატებლობის წარმატებად გადაქცევა**

**დელფტაში** ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება ფერწერის კონკურსი სტუდენტებისათვის. ოქროს მედალი, რომელსაც აკუთვნებდნენ საუკეთესო ნაწარმოებს, ლურჯატს უზრუნველყოფდა გარკვეული პრესტიჟითა და სახელით, რაც სხვა მხარეებთან ერთად, ხელსაყრელი იყო ფინანსური პერსპექტივის თვალსაზრისითაც.

**მედალი**

**ვან მეგერენმა** გადაწყვიტა ბედი ეცადა. დაიწყო მუშაობა აკვარელზე, რომლის სიუჟეტიც ზუსტი განზრახვით შეარჩია — ეს იყო როტერდამის სენ-ლორანის ეკლესიის ინტერიერი. მოდელის დიდმა სირთულემ საშუალება მისცა გამოეყენებინა თავისი ცოდნა არქიტექტურაში, ამავე დროს ეჩვენებინა თუ რა შესანიშნავად ფლობდა ხატვის ტრადიციულ მანერას. აკვარელზე მუშაობას ანდომებს მთელ თავს.

ვის დროს, რის გამოც ინსტიტუტის გამოცდებზე ჩაიჭრა. მამამ პროცენტებით ფული ასესხა, რათა განმეორებით ევლო ამ წლის მეცადინეობებზე.

ამთავრებს მუშაობას თავის „სენ-ლორანის ეკლესიის ინტერიერზე“, ტრადიციული ჰოლანდიური სტილითა და შესრულების ვირტუოზობით მოჭადრებული კონკურსის ვიუტი პირველ პრემიას ერთხნად ვან მეგერენს ანიჭებს. იგი ადგილობრივ გამოჩენილ პირად იქცა, ხოლო მისი აკვარელი მაღალ ფასად (2500 მაშინდელი ფრანკი) გაიყიდა. ახლა უკვე მისმა სხვა ნახატებმაც მოიპოვეს აღიარება და შეედლო მათი გაყიდვით დიდი მოგების მიღება. მაშინ მან გადაწყვიტა საბოლოოდ ხელი აეღო არქიტექტურაში მეცადინეობაზე და უარი ეთქვა მომავალი სესიების ჩაბარებაზე. ახლა უკვე მხატვარია.

მაგრამ ისწრაფვის მყარი სოციალური მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის და შედის ჰააგის სახვითი ხელოვნების აკადემიაში. 1914 წლის 4 აგვისტოს, 25 წლის ასაკში, მიენიჭა ხელოვნების ოსტატის წოდება. დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.

**ისევ ის ინტერიერი**

**რამდენიმე** ხნის შემდეგ ვან მეგერენს შესთავაზეს მასწავლებლის ადგილი აკადემიაში. მან უარყო ეს წინადადება, რათა მთელი თავისი დრო დაეთმო შემოქმედებისათვის. თუმცა, დროებით დათანხმდა პროფესორ ვიკსის ასისტენტობაზე. ასეთი მდგომარეობა მას ბევრი თავისუფალი დროით უზრუნველყოფდა. მაგრამ ხელფასი აშკარად ცოტა იყო, მიუთმეტეს, რომ იგი ეს-ესაა დაფუნდდა დღელტაში, ხოლო მეუღლე მეორე ბავშვს ელოდებოდა. სურათების გაყიდვით მიღებული თანხები საკმარისი არ არის ყველა ფინანსური პრობლემის გადასაწყვეტად. აი, სწორედ ამ დროს ვან მეგერენი დგამს ნაბიჯს, რომელმაც მის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა: იგი იწყებს ყალბი... ვან მეგერენის ხატვას!

აკვარელი „სენ-ლორანის ეკლესიის ინტერიერი“, რომელმაც ოქროს მედალი მოუტანა, კვლავ მის ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებად რჩება. საიდუმლოდ აკეთებს მის ასლს, რათა მიჰყიდოს ერთ მდიდარ კოლექციონერს. რადგან ამ უცხოელმა მყიდველმა მალე უნდა დატოვოს დღეფტა, ვან მეგერენს გადაწყვეტილი აქვს ასლი მიასაღოს როგორც ორიგინალი, ვითომდა, ის სურათი, რომელმაც პრემია დაიმსახურა, მხოლოდ ასლიაო. მაგრამ ჩაფიქრებულნი ეს სტენარი ჩაიშალა, რადგან ცოლმა და-

აფიცა, რათა ასეთი რამ არ ჩაედინა. ამრიგად, ასლი გაიყიდა როგორც ასლი სულ რაღაც 100 ფრანკად, ესე იგი, 25-ჯერ უფრო იაფად, ვიდრე ორიგინალი.

ამან ვან მეგერენში წარმოშვა იმ საბაზრო სისტემის მიმართ ზიზღი, რომელიც მართავდა ფერწერის სამყაროს. მისთვის ხომ ორივე ნაწარმოები აბსოლუტურად იდენტური იყო, ორივე მისი ხელით არის დახატული და ორივე ერთიდაიგივე ფასეულობას წარმოადგენს.

**საზოგადოება, ფურიერები, მაღალი წრის აღამიანები**

**1.** **ამასობაში** ვან მეგერენი ძლიერდება როგორც მხატვარი. მისი ოსტატობა კვლავ მაღლდება, და მართალია, სურათების სიუჟეტები ტრადიციულია, მაგრამ მან მტკიცე აღიარება მოიპოვა მოყვარულთა ვიწრო წრეში, რომლებსაც იგი მიანიჭათ „მიზაძვის ღირს ოსტატად“. მალე ერთმა ნახატებით მოვაჭრე ვან დერ ვილკმა კონტრაქტი დაუდო და 1916 წელს გახსნა მისი პირველი გამოფენა. უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ვირტუოზული ტექნიკა ფარავს მხატვრის ნაწარმოებებში ეპარის ერთიანობის უქონლობას. პირველ ნახატებს შორის დამთავლიერებელთა მოწონებას იმსახურებენ როგორც ფანქრით, კალმითა და ნახშირით, ისე აკვარელითა და ზეთით შესრულებული ეკლესიათა ინტერიერები, მძინარე ვაჟიშვილის პორტრეტები, მოცურავენი პლაჟზე, სოფლის პეიზაჟები.

მაგრამ კრიტიკოსებს არ აღუნიშნავთ ნაწარმოებთა ეს „ისპურლეუ“, პირიქით, მეტად თბილად მიიღეს გამოფენა. ყველა სურათი გაიყიდა და ვან მეგერენმაც მოიპოვა პატივისცემა ადგილობრივი უმაღლესი საზოგადოებრიობისა, რომელიც ამიერიდან პორტრეტების შეკვეთებს იძლევიან და იწვევენ მას, როგორც ხატვის კერძო მასწავლებელს. მომდევნო წელს მას უკვე საშუალება მიეცა ჰააგაში დასახლებულიყო. აქ იგი საკუთარ სახელოსნოში გაკვეთილებს უტარებს ფერწერით გატაცებულ მაღალი წრის მდიდარი ახალგაზრდების ჯგუფს. თანდათან ითვისებს მსუბუქად მუშაობას და ეჩვევა კიდევ მას.

სწორედ ამ დროს იგი იღებს კომერციული ხასიათის (აფიშები, მისალოცი ღია ბარათები) შეკვეთებს. ამ მიმართებით განსაკუთრებით დამახასიათებელია ფურიერებთან დაკავშირებული ეპიზოდი. შეიტყო თუ არა, რომ შესაძლებელი იყო მოწინააღმდეგე ფურიერების სტუდიაში ყოველდღე მოყვანა, რომელიც პრინცესა იულიანეს ეკუთვნოდა, ვან მეგერენი ხატავს რამდენიმე სურათს. უკებ აზრად მოუვა, რომ



ერთ-ერთი მათგანი შესთავაზოს კალენდრების გამოცემებს. გამოცემელი თავდაპირველად შეეყოყმანდა, მაგრამ, როცა გაიგო, რომ ფურჩიკი სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა, ნახატის სიმშვენიერემ უცებ აღაფრთოვანა. ამ ნახატს ეწოდება უჩვეულო წარმატება, რამდენადაც მომავალში მისი რეპროდუქცია პოლანდიაში გაცილებით ხშირად იბეჭდებოდა, ვიდრე მსგავსი ჟანრის სხვა ნებისმიერი სურათი.

ვან მევეგერენი გრძნობს ამ წარმატების ორაზროვნ და არასერიოზულ ხასიათს. მას კვლავინდებურად უყვარს ხატვა, მაგრამ უკვე სრულიად უგულვებელყოფს სხვათა აზრებს.

**კომერცია, შავკეთები, კრიტიკოსები**

**კომერციული საქმიანობა** კი კვლავ გრძელდება. ვან მევეგერენი ახლა უკვე ბევრ ფულს აკეთებს. მისი გამდიდრების წყაროდ იქცა ის ნახატები, რომლებსაც შეკვეთებით ასრულებს. ამასთან, მისი შემოქმედების ინდივიდუალობა თანდათან ღარბდება. კრიტიკოსები უკვე ეჭვის ქვეშ აყენებენ მისი შემოქმედებითი ტალანტის ჭეშმარიტებას. აქა-იქ ჩნდება აზრი, რომ იგი როგორც მხატვარი „დასრულდა“ და მეს ელის მხოლოდ მოდური პორტრეტისტის კარიერა. რემბრანდტისა და ჰალსის მანერაში ხატავს ტექნიკურად უზალო სურათებს, რომლებიც მეტად უხედბოდა ამა თუ იმ საწარმოს პატრონის ან მაღალი თანამდებობის მოხელის ღვარჯნილი სტილის ავეჯით გაწყობილ ბინებს (თითოეული სურათის ფასი იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი იყო და მერყუობდა 6300-დან 12000-მდე მაშინდელ ფრანკს შორის).

იგი უარს ამბობს უადრესად ხელსაყრელი კონტრაქტის დადებაზე შეერთებულ შტატებში. რადგან კვლავ ისწრაფვის შემოქმედებითი ინდივიდუალობის შენარჩუნებისათვის. მიანია, რომ ადრე თუ გვიან მის გენიას აღიარებენ მიუხედავად მისადმი კრიტიკის სულ უფრო მზარდი გულგრილობისა. რაც უფრო კლებულობს საკუთარი ხედვით შექმნილი ნახატები, მით უფრო მარცხდება ამ ხედვის გამო. აი, ამ დროს იგი იწყებს კონტრშეტევას. რადგან კრიტიკა დუმს, იგი თავის ორ საუკეთესო მუგობართან — მხატვარ თეო ვან ვაინგაარდენთან და ჟურნალისტ იან უბინკონთან ერთად იწყებს ჟურნალის გამოცემას, რომლის მიზანია გაანადგუროს მისი გამსჯელობის ამპარტავნული ქედმაღლობა და განცხადებანი მათი შეუცდომლობის თაობაზე. ჟურნალი „De Kemphaan“ („მებრძოლი“), ქვა ქვაზე არ ტოვებს თანამედროვე მხატვრულ ღირებულებებს და

აქებს წარსულის დიდი ტრადიციების რეტროგრადულ პოზიციებს. იღვა 1926 წელი. თორმეტი ნომრის გამოსვლის შემდეგ, რაც მეტად ძვირი დაჯდა, ჟურნალმა ისე შეწყვიტა თავისი არსებობა, რომ სულ მცირე გამოხმაურებაც კი არ გამოუწვევია.

**მითოვანილუის უკონლოვა, შეძღოვა, ბამასხარავება**

მისი მეგობრის ვან ვაინგაარდენის ჩარჩულმა ნიჭმა ვან მევეგერენს უბოძა, რათა დაეწყო XVII და XVIII საუკუნეების უბრალო ტილოების რესტავრაცია, რომლებსაც იაფად ყიდულობდნენ ანტიკვარებთან. ბრწყინვალე ტექნიკის წყალობით იგი ამ უიღბლო ნახატებს ანიჭებს ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოების ღირსებას. ამასთან, ასეთი საქმიანობა მეტად შემოსავლიანიცაა, გარდა ამისა, ყველაფერი ჯერ-ჯერობით წესიერების ფარგლებში ხდება. მაგრამ შეუმჩნევლად მისი რესტავრატორული საქმიანობა სულ უფრო ფრთხვებს შლის და უახლოვდება სიყალბეს. თუმცა, ეს ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამს. აქ კი მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც საბოლოოდ წაართვა მეგობრებს პატიოსნების ღირსება.

1928 წელს ვან ვაინგაარდენმა და ვან მევეგერენმა აღმოაჩინეს სურათი, რომელშიც მაშინვე შეიცნეს ფრანს ჰალსის ქმნილება. ცხუნოსნის ეს პორტრეტი, თუკი დადასტურდებოდა მისი ორგინალობა, მთელი სიმდიდრე იყო. ამიტომ მთელი სიზუსტითა და სიფრთხილით შეუდგნენ მის რესტავრაციას, შემდეგ კი ნახატი აჩვენეს გამოჩენილ კრიტიკოსსა და ხელოვნებათმცოდნეს დოქტორ ჰოფსტედემ დე გროოტს. მან ყოველგვარი ჭკომანის გარეშე აღიარა, რომ სურათი მართლაც უდიდეს ისტატს ეკუთვნოდა და მყიდველის მოძებნაც კი შესთავაზა მათ.

როგორც კი სურათი გაიყიდა, უცილობელი განმსჯელის რეპუტაციის მქონე გამოჩენილმა კრიტიკოსმა ბრედისუმმა განაცხადა, რომ ნახატი ყალბიაო. ასეთ საკითხებში მის აზრს კი წინ ვერაფერი აღუდგებოდა. ვან ვაინგაარდენი იძულებულია ფული დაუბრუნოს მყიდველს. რაც შეეხება ვან მევეგერენს, მან სასტიკად შეიძულა ბრედისუმის აზრების ასეთი აღიარებული შეუმცდარობა. მაშინ ვან ვაინგაარდენმა გადაწყვიტა დაემტკიცებინა სპეციალისტთა სრული არაკომპეტენტურობა.

მან ბრედისუმის გამასხარავება განიზრახა და მას თითქმის რემბრანდტის ნახატი აჩვენა, რომელიც სინამდვილეში ცოტა ხნის წინ თვით ვან ვაინგაარდენმა დახატა. სახელგანთქ-



მულმა პირმა ერთი შეხედვითვე აღიარა სურათის ორიგინალობა: მაშ ასე, ეს რემბრანდტია, რომლის გაყიდვითაც ოქროს გროვას მოიბოვებდა. ამასთან დაკავშირებით, ბრედელის ვან ვინგაარდენს შენიშნავს, რომ ამ სურათის სინამდვილის დადასტურება შეიძლება თავისებური კომპენსაციით იმისა, რაც ფრანს ჰალსის შემთხვევაში დაგაყრვენიო.

მაგრამ შეურიგებელმა ვან ვინგაარდენმა მოგებას შურისძიება ამჯობინა, თეატრალური ექსტით ჯიბიდან საკეცი დანა ამოიღო და ამ საშინელებით შეძრწუნებული ბრედელისს თვალწინ გულგრილად ზოლებად დაჭრა „თავისი“ რემბრანდტი. მიუხედავად ამისა, გამასხარავებული ბრედელისი ამით ოდნავადაც არ დაზარალებულა: ფერწერის ბირჟა ძლიერია თუნდაც ბრწყინვალედ გათამაშებული მისტიფიკაციით.

ხოლო ვან ვინგაარდენი და ვან მეგვერენი ახლა უფრო რწმუნდებიან ხელოვნებათმცოდნეების არაკომპეტენტობაში და იმ პირობითობის ძალაში, რაც ბორკავს ხელოვნების სამყაროს. უეჭველია, რომ ყალბი რემბრანდტის ეპიზოდი ვან მეგვერენისათვის თავისებურ გამოცდად იქცა. მან იგი შეაფასა, როგორც სრულყოფილების შესანიშნავი ექსპერიმენტი.

### გადავადება

ვან მეგვერენი მეორმოცე წელშია. ანა დე ვოოხტთან განქორწინების შემდეგ იგი ბობოქარ ცხოვრებას ეწევა. ქალი — იო დე ბერი, რომელსაც ყველაზე ხშირად ხვდება, იმ მცირე კრიტიკოსთა შორის ერთ-ერთის ცოლია, ვინც მის მიმართ ჯერ კიდევ იჩენს კეთილმოსურნეობას. ბოლოსდაბოლოს, 1929 წელს იგი ცოლად ირთავს მას, თუმცა ქორწილის შემდეგ ყამიდან ყამზე წუთიერი რომანები აქვს მენატრე ქალბთან. მამასთან ურთიერთობა საბოლოოდ შეწყდა: მამამ ხელი აიღო შვილზე. ვან მეგვერენი ამით კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მას ყველამ ზურგი შეაქცია. თავი განდევნილად მიაჩნია.

ახლა უკვე მის იშვიათ მხატვრულ ნაწარმოებებში, რომლებშიც აღბეჭდილია შემამოფოთებელი უსიციოცხოობა, აღარ არის გამოკვეთილი თვითმყოფადობა და შთაგონება. მათში აღარ იგრძნობა ის სიმძაფრე, რასაც თავის დროზე კვებავდა თავისი მსაჯულების მიმართ ბოღმა, მკვევარი გამოხდომები და სიძულვილი. მასში დაფარული ძალა და ძლევამოსილების წყურვილი გამოსავალს ვერ პოულობს და არ აისახება ფერწერაში. მხოლოდ ცოლიო და მეგობართა მცირე წრე ძველებურად დარწმუნ-

ნებულია, რომ იგი უცნობი გენიაა. ხოლო კრიტიკოსები ახლა უკვე აშკარად დასცინიან მოძველებულ სტილს მისი ნახატებისას, რომლებშიც „სახლობენ აყვავებული ნუშის არომბით გაბრუებული შვლები, ან პადრევეკის ტიპის პიანისტები, რომლებიც შთაგონებულნი არიან დიდი ლისტის აჩრდილით“.

ვერ დაუძლო შექმნილ ატმოსფეროს, რომელსაც აფასებდა როგორც მის მიმართ საყოველთაო შეთქმულებად და 1932 წელს ვან მეგვერენი ცოლთან ერთად სტოვებს ჰოლანდიას. იტალიაში ცოტა ხნით ყოფნის შემდეგ მეულეები სახელდებათ როკობრიუნიში, პროვანსში, სადაც სრულიად შემთხვევით წააწყდნენ გამოთავისუფლებულ ვილა „პრიმავერას“, რომელიც მთის ფერდობზე მდებარეობდა. აქ დაპყოფენ ექვს წელიწადს.

### სტარტი

როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ვითარება ისე აეწყო, რომ ვან მეგვერენმა გადაწყვიტა გამოეძებნა გამოსავალი თავისი პატივმოყვარული განზრახვის — ყალბი ნახატების შექმნის — სისრულეში მოყვანისათვის. მას შურისძიების წყურვილი უღრღნის გულს და მესაათის სიზუსტით ამოქმედებს რემბრანდტისებური ტალანტის მექანიზმს. სურს დაამტკიცოს, რომ შეუძლია დადგეს მისთვის ისეთი დიდი მხატვრების დონეზე, როგორებიც არიან ფრანს ჰალსი, ტერბორხი და ვერმერი. გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ გააოცოს ამ საქმის მცოდნენი, რათა იგი შეაქონ ცნობილი სახელების მეშვეობით და ასევე აღფრთოვანებულები იყვნენ თვით მისი ნიჭითაც. ამ მისტიფიკაციის გახსნას იგი აპირებს მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი მიადწევს უსაზღვრო გაქანებას.

ამ პროგრამამ მოითხოვა შეუთხოვარი მუშაობის, ძიებებისა და ექსპერიმენტების ოთხი წელი. თუმცა იგი კვლავ ხატავს შეკვეთებითაც (ლაჟვარდოვან სანაპიროზე ჩამოსული მდიდარი ტურისტების პორტრეტებს), რათა დააფინანსოს თავისი გიჟური საქმე. ყალბი ნახატების ჩვეულებრივ შექმნელთან განსხვავებით ვან მეგვერენს წუთითაც არ შეპარვია ეჭვი თავის უნარში მოაღიონოს სამყაროს ახალი სიძინელები არ აწუხებს, რადგან დარწმუნებულია საკუთარ ვირტუოზობაში. მას მხოლოდ ტექნიკური საკითხები აფიქრებს: როგორ შექმნას ისეთი ნახატი, რომელსაც ვერავითარი ხერხით, თვით ყველაზე გულმოდგინე მეცნიერული გამოკვლევებითაც კი, ვერ განასხვავებ-

დნენ სამსაუკუნოვანი სიძველის ტილოებისაგან? პრობლემის სირთულე ცხადია. თითოეული კონკრეტული საკითხი ბადებს ახალ სიძნელეებს. მაგრამ დაუცხრომელი ვან მეეგერენი რიგ-რიგობით ლახავს მათ.

როგორ მოიქცეს, რომ თვით ტილო და მისი დასაჭიშავი ქვეჩარჩო იყოს ნამდვილი? ეს იოლი საქმეა. გაყიდვაში საკმაოდ თავისუფლად შეიძლება ნახო XVII საუკუნის კარგად შენა ხული მდარე ნახატები. ჰოდა, საჭიროა საღებავების ფენებისაგან გაასუფთაო, ოღონდ ისე, რომ არ დაზიანებულიყო დამატებითი შეფერილობა. ეს მეტად ფაქიზი, მაგრამ ერთსახოვანი და ხანგრძლივი ოპერაციაა.

როგორ დანატოს სურათი ისე, რომ გამოიყენოს მხოლოდ ისეთი პიგმენტები, რომლებსაც ვერმეერი ხმარობდა? მართლაც, არ შეიძლება ისეთი ნივთიერებების გამოყენება, და ამას აღვივალდ დაადგენს ქიმიური ანალიზი, რომლებიც დიდი ოსტატის ეპოქის შემდგდროინდელია. მაგრამ ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ ვან მეეგერენი უკვე კარგა ხანია დაუფლა საღებავების შემზადებას. მან იცის მინერალური საღებავი ნივთიერების ხელით გაქნის შედეგად საკუთარი ვერმეერის ფერების მიღება. მაგრამ ბევრი ასეთი ნივთიერება, კერძოდ, ლაპისი — ლაჟვარდი, ძნელდასაშოვი და მეტად ძვირადღირებული იყო. ვან მეეგერენი იძულებულია ასეთი ნივთიერებები შეიძინოს ლონდონში მოსკატელის საქონლით მოვაჭრე ვინძორთან და ნიუტონთან, მაგრამ როგორ გადაეჭრა ყველა-

ზე მნიშვნელოვანი და ცნობილი პრობლემა — კრაკელიური (ბზარები სურათზე)? როგორც წესი, სწორედ ამით ამხილებენ ხოლმე სიყალბეთა უმეტესობას. საქმე ის არის, რომ ზეთის ფერწერა, მიაჩნდათ თითქოს მალე შერბოდა, სინამდვილეში კი მაგრდება მხოლოდ საღებავის ზედა ფენა, ხოლო მის მთლიანად გამოშრობას სულ მცირე ნახევარი საუკუნე მაინც უნდა. მოგვიანებით ჩნდება ცნობილი ბზარები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში სულ უფრო მრავლდებიან.

მაშასადამე, თუ ეცდები ვერმეერის დანატვას, საჭიროა ხელოვნურად შექმნა ერთმანეთში გადახლართული ისეთი ბზარები, რომლებიც გაჩნდებოდნენ სამასი წლის მანძილზე. ამასთან, მათი ხელოვნურობა რომ არ დადასტურდეს რენტგენოსკოპიით, აუციცლებელია ბზარების ბაღე მეორედბოდეს საღებავის ყველა ფენაში, ცხადია, გამეორება უნდა იყოს უაღრესად ერთსახოვანი და იდენტური. ნებისმიერი სურათი, რომელზეც ბზარების ბაღე ქვედა ფენებში განსხვავებული იქნება ზედა ფენებთან შედარებით, დაუყოვნებლივ გამოიწვევს ეჭვს. ვან მეეგერენის გენიალური აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ სურათზე ძველი გამოსახულება ისე გაესუფთავებინა და ახალი ისე დაეხატა, ზუსტად შეენარჩუნებინა თავდაპირველი შეფერილობის თითოეული ბზარი. ამრიგად, სიყალბეთა ავტორი თითქოს აიძულებდაო დროს, რათა სურათის სიღრმიდან ამოსულიყო ზედაპირზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში მოქალაქეთა მიღების დღეები და საათები:

3. ბ. შარაშენიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი	ორშაბათი 15 საათიდან 20 საათამდე.
წ. მ. რბიანი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე	ორშაბათი და ხუთშაბათი 15 საათიდან 20 საათამდე
ბ. კ. კვიციანი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე	ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი 15 საათიდან 20 საათამდე
თ. ბ. ნინიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე	ორშაბათი და პარასკევი 15 საათიდან 20 საათამდე.
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების უფ- როსები, მათი მოადგილეები — უოველდლი- ურად, გარდა გამოსასვლელი დღეებისა.	15 საათიდან 18 საათამდე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პასუხისმგებელი მორიგე კვირის ბარდა უოველდლიურად იღებს მოქალაქეებს 18 საათიდან 20 საათამდე, შაბათობით 9 საათიდან 13 საათამდე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 3, 1988 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Илеханова, 103. тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВА ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина, 14.

6/15/20



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ფანი 60 353

ინდექსი 76185